


არჩილ ვრაგიშვილი, გია სულიერაძე,  
ირინა ვაჟარაძე

ბიზნეს-პროცესის მესამერთულ  
შექმასებების გადაწყვეტილებათა  
მიღების მხარდამჭერი მეთოდები  
და მოდელები



„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არჩილ ფრანგიშვილი, გია სურგულაძე,  
ირინა გაჭარაძე

ბიზნეს-კომპრამების ექსპრტულ  
შეცასტაბზე გადაფყვეტილებათა  
მიღების მხარდამჭერი მეთოდები  
და მოდელები



რეგისტრირებულია  
სტუ-ს სარედაქციო-  
საგამომცემლო  
საბჭოს მიერ

თბილისი – 2009

## უაკ 681.3.06

გადმოცემულია კორპორაციული მართვის სისტემებში ბიზნეს-პროგრამების შემუშავების პროცესების ავტომატიზაცია ექსპერტულ შეფასებათა მეთოდებისა და უნიფიცირებული, ობიექტ-ორიენტირებული მოდელირების, ანალიზის, დაპროექტების და პროგრამული რეალიზაციის საფუძველზე. შემოთავაზებულია ორგანიზაციული მართვის საინფორმაციო სისტემებში კოლექტური მოხმარების რესურსების გამოყენების ეფექტუანობის ამაღლების ამოცანის გადაწყვეტა. UML-ტექნოლოგიის, კატეგორიალური მიდგომის, ობიექტ-როლური მოდელირებისა და პეტრის ქსელების ინსტრუმენტული საშუალებით განხორციელებულია ექსპერიმენტული შედეგების კვლევა.

მონოგრაფია განკუთვნილია მართვის საინფორმაციო სისტემების სპეციალისტების, მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და სტუდენტებისთვის, რომლებიც მოღვაწეობენ ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სფეროში.

რეცენზენტები:

ტ.მ.დ., პროფ. ზ. გასიტაშვილი

ტ.მ.კ., ასოც.პროფ. ე. თურქია

ტ.მ.დ., პროფ. გ. სურგულაძის რედაქციით

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2009

ISBN 978-9941-14-450-9

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



გველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.


საგვტორო უფლებების დარღვევა ისფერა ქანონით.

**Georgian Technical University**

**ARCHIL PRANGISHVILI, GIA SURGULADZE,  
IRINA VACHARADZE**

**METHODS AND MODELS OF  
SUPPORT OF DECISION-MAKING IN  
EXPERT ESTIMATIONS FOR  
BUSINESS PROGRAMS**

Supported by DAAD  
(Germany)



© Publication House "Technical University", Tbilisi, 2009  
ISBN 978-9941-14-450-9

## Abstract

In presented thesis “Development of Methods and Models of Support of Decision-Making in Expert Estimations for Business Programs” the problems of perfection of corporate planning processes in organizational control systems, based on the automation of the management consulting business-processes, are considered.

Development of object-oriented methods and models of support of decision-making in expert estimations for these processes is offered as well, as designing of their dynamic processes, based on unified modeling language, and program realization .by the group CASE-methods, based on the modern information technologies, particular, on NET-platform.

The problems of use of the modern systems of database construction and analysis of the operative information for commercial-financial banks are displayed. Visual-analysis model of designing of multi-dimensional, relational, meaning-dependent star scheme, based on the tools of objective-role diagrams, is developed. As the illustration example, the problem of monitoring of clients' income in the bank is considered.

The problem of use of OLAP-tools for the operative analysis of business-processes is considered. The structured organization of data, selected from the distributed databases, into the uniform system of support of decision-making is offered as well, as the corresponding program realization of an applied package of system on the basis of components of Decision Cube of object-oriented programming C ++ language for a problem of multi-factorial analysis.

The problems of object-oriented modeling, designing and realization of processes of expert estimations of business-programs, realization of procedures of objective-role modeling of business-processes on the basis of categorial approach and logical-algebraic methods in UML/ORM environment are offered as well, as the results of automated designing of the distributed database system of the client-server architecture (ERM) for Ms SQL Server packet.

Automation of processes of documents circulation in distributed business-objects of the organizational control is considered. The object-oriented analysis and the object-oriented modeling of such large and

complicated systems are carried out by the standards of unified modeling language (UML) and by the graph-analytical tools of Petri networks. As a result, the alternative networks and characteristics are received for effective use of the common resources and for decrement in the time of requests elaboration.

For modeling, simulation and analysis of the client-server architecture of business-processes the equivalent graphs of Petri network are constructed, the time-dependent characteristics of current processes are investigated and the community of relatively effective, acceptable models is stated.

For creating of information supply of the system the questions of solution of the problems of designing and realization of distributed, relational bases, based on the modern information technologies, are displayed in the thesis. In particular, the conception concerning the inter compatibility of reversible, object-oriented programming, objective-role model (ORM), meaning-dependent model (ERM) and data description language (DDL) is considered. The corresponding realization, algorithmic schemes for work in MsSQL Server and ADO NET environments are offered.

In organizational control systems except of Windows programs of support of decision-making in expert estimations, the problems of designing and realization of web-applications are offered. In particular, the example of service of clients of the financial bank illustrates the problems of construction of their interface components and of organization of server databases as well. The system is elaborated on NET-platform, using the object-oriented tools of C#, ASP.NET, ADO.NET and MsSQL Server.

## წინასიტყვაობა

მონოგრაფიაში განიხილება ორგანიზაციული მართვის სისტემების კორპორაციული დაგეგმვის პროცესების სრულყოფის საკითხები მმართველობითი კონსულტირების ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციის საფუძველზე. შემოთავაზებულია ამ პროცესებში ექსპერტულ შეფასებათა მხარდამჭერი გადაწყვეტილებების მიღების ობიექტ-ორიენტირებული მეთოდებისა და მოდელების შემუშავება, მათი დინამიკური პრიცესების დაპროექტება უნიფიცირებული მოდელირების ენის საფუძველზე და პროგრამული რეალიზაცია ჯგუფური CASE-მეთოდებით, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების, კერძოდ .NET-პლატფორმის ბაზაზე. გადმოცემულია კომერციულ-საფინანსო ბანკებისათვის მონაცემთა საცავის აგებისა და ოპერატორული ინფორმაციის ანალიზის თანამედროვე სისტემების გამოყენების საკითხები. შემუშავებულია მონაცემთა მრავალგანზომილებიანი, რელაციური არსოთა-დამოკიდებულების ვარსკვლავური სქემის დაპროექტების ვიზუალურ-ანალიზური მოდელი ობიექტ-როლური დიაგრამების ინსტრუმენტის საფუძველზე. საილუსტრაციო მაგალითისათვის განიხილება ბანკში კლიენტთა შემოსავლების მონიტორინგის ამოცანა. განხილულია ბიზნეს-პროცესების ოპერატორული ანალიზის OLAP-ისტრუმენტის გამოყენების საკითხი. შემოთავაზებულია განაწილებული მონაცემთა ბაზებიდან შეჩრეული მონაცემების ერთიან გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერ სისტემაში სტრუქტურიზებული ორგანიზება და შესაბამისი პროგრამული პაკეტის რეალიზაცია ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამების C++ ენის Decision Cube კომპონენტის გამოყენებით მრავალფაქტორული ანალიზის ამოცანებისთვის.

შემოთავაზებულია ბიზნეს-პროგრამების ექსპერტულ შეფასებათა პროცესების ობიექტ-ორიენტირებული მოდელირების, დაპროექტებისა და რეალიზაციის საკითხები, კატეგორიალური და ლოგიკურ-ალგებრული მეთოდების საფუძველზე ბიზნეს-პროცესების ობიექტ-როლური მოდელირების პროცედურების რეალიზაცია UML/ORM გარემოში და კლიენტ-სერვერ არქიტექტურის განაწილებული სისტემის მონაცემთა ბაზის სტრუქტურის (ERM) ავტომატიზებული დაპროექტების შედეგები Ms SQL Server პაკეტისათვის. განიხილება ორგანიზაციული მართვის განაწილებული ბიზნეს-ობიექტების

დოკუმენტბრუნვის პროცესების ავტომატიზაცია. ასეთი დიდი და რთული სისტემების ობიექტ-ორიენტირებული ანალიზი და ობიექტ-ორიენტირებული მოდელირება განხორციელებულია უნიფიცირებული მოდელირების ენის (UML) სტანდარტებით და პეტრის ქსელების გრაფო-ანალიზური ინსტრუმენტით. შედეგად მიღებულია ალტერნატიული სქემები და მახსაიათებლები საერთო რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და მოთხოვნების დამუშავების დროის შესაძლებლად. კლიენტ-სერვერული არქიტექტურის ბიზნეს-პროცესების მოდელირებისა და იმიტაციური ანალიზისათვის აგბულია პეტრის ქსელის ეკვივალენტური გრაფები, გამოკვლეულია მათში მიმდინარე პროცესების დროითი მახსაიათებლები და დადგენილია შედარებით ეფექტური, მისაღები მოდელების ერთობლიობა.

სისტემის ინფორმაციული უზრუნველყოფის ასაგებად ნაშრომში გადმოცემულია განაწილებული, მონაცემთა რელაციური ბაზების დაპროექტებისა და რეალიზაციის ამოცანის გადაწყვეტის საყითხები ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე, კერძოდ განიხილება კონცეფცია რევერსიული, ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამების, ობიექტ-როლური მოდელის (ORM), არსოა-დამოკიდებულების მოდელის (ERM) და მონაცემთა აღწერის ენის (DDL) ურთიერთთავებადობის შესახებ. შემოთავაზებულია რეალიზაციის შესაბამისი ალგორითმული სქემები MsSQL Server და ADO.NET გარემოში სამუშაოდ. ორგანიზაციული მართვის სისტემებში ექსპერტულ შეფასებათა გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი Windows-პროგრამების გარდა შემოთავაზებულია Web-აპლიკაციების დაპროექტების და რეალიზაციის საკითხები. კერძოდ საფინანსო ბანკის კლიენტთა მოშვასურების მაგალითზე ილუსტრირებულია მათი ინტერფეისული კომპონენტების აწყობისა და მონაცემთა სერვერული ბაზების ორგანიზების ამოცანები. სისტემა დამუშავებულია .NET-პლატფორმაზე, C#, ASP.NET, ADO.NET და MsSQL Server ობიექტ-ორიენტირებული ინსტრუმენტების გამოყენებით.

პროფ. ა. ფრანგიშვილი

## შინაარსი

წინასიტყვაობა . . . . .	6
შესავალი . . . . .	11
<b>1 თავი. პორტატიული მოწყეტების მართვის მექანიზმების სრულყოფის მიზნები და გათი სრულყოფის გზები საინიციატივით მოწყეტობის მიზნები . . . . .</b>	<b>14</b>
1.1. კორპორაციული ობიექტების მართვის მექანიზმების სრულყოფის მიზნები და ამოცანები . . . . .	14
1.2. საკვლევი ობიექტის დიაგნოსტიკური ანალიზის ოთხეტაპიანი მოდელი . . . . .	18
1.3. მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანები . . . . .	23
1.4. გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობი ინსტრუმენტით . . . . .	26
1.5. მონაცემთა საცავი ოპერატორული ანალიზის ინსტრუმენტით . . . . .	27
1.6. საბანკო სისტემების კომუნიკაციები და საინფორმაციო ტექნოლოგიები . . . . .	35
1.7. მდგომარეობათა და პროცესების მოდელირება პეტრის ქსელებით . . . . .	41
1.8. დაპროგრამების UML2 ტექნოლოგია . . . . .	53
1.9. .NET პლატფორმა და პროგრამული ინსტრუმენტები . . . . .	57
1.10. პირველი თავის დასკვნები . . . . .	66
<b>2 თავი. ბიზნეს-პროგრამების მართვის ხალვების მომართებელი დისტანციური აგენტის აგენტის მოთვლებისა და მოდელების შემუშავება . . . . .</b>	<b>67</b>
2.1. ბიზნეს-პროგრამების ექსპერტულ შეფასებათა გადაწყვეტილების მიღების პროცესების მოდელირება UML-ის სტატიკური და დინამიკური დიაგრამებით . . . . .	67
2.2. მონაცემთა ბაზაში ექსპერტთა ცოდნის ასახვის ობიექტ-როლური მოდელების შემუშავება კატეგორიალური მიღებით . . . . .	79
2.3. ობიექტ-როლური მოდელების დაპროექტება და აგება ავტომატიზებულ რეჟიმში . . . . .	88

2.4. კონცეპტუალური მოდელებისა და კლასთა ურთიერთკავშირების სქემის დაპროექტება ობიექტროლური მოდელების ბაზაზე . . . . .	92
2.5. განაწილებული ბიზნეს-პროცესების ობიექტორიენტირებული მოდელირება და ანალიზი პეტრის ქსელებით . . . . .	95
2.6. მეორე თავის დასკვნები . . . . .	106
<b>3 თავი. იცორმაციული უზრუნველყოფის დამუშავება MaSQL Server პაპეტით . . . . .</b>	<b>107</b>
3.1. განაწილებული მონაცემთა ბაზების აგების ავტომატიზაცია NET გარემოში . . . . .	107
3.2. მონაცემთა საცავის დაპროექტება გადაწყვეტილებათა მიღების მხარდამჭერი სისტემისათვის . . . . .	113
3.3. Ms SQL Server სისტემის არქიტექტურა და ობიექტები . . . . .	117
3.3.1. ცხრილები . . . . .	121
3.3.2. ატრიბუტები (სვეტები) . . . . .	122
3.3.3. ინდექსები . . . . .	123
3.3.4. წარმოდგენები . . . . .	125
3.3.5. მთლიანობის შეზღუდვები . . . . .	126
3.3.6. შენახვადი პროცედურები . . . . .	127
3.4. მოთხოვნების დამუშავების ინსტრუმენტი Query Analyzer . . . . .	128
3.5. მესამე თავის დასკვნები . . . . .	130
<b>4 თავი. პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავება . . . . .</b>	<b>131</b>
4.1. გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერ სისტემაში მრავალფაქტორული ამოცანის გადაწყვეტის პროგრამული რეალიზაცია . . . . .	131
4.2. ავტომატიზებული საბანკო სისტემის პროცესები და ინფორმაციული ნაკადების დიაგრამები . . . . .	137
4.3. კორპორაციული მართვის სისტემის Web-აპლიკაციის დამუშავება Internet-Intranet გარემოში .NET- პლატფორმაზე	142
4.4. ავტომატიზებული ანალიზის სისტემის დაპროექტება სატენდერო კომისიის ექსპერტებისთვის. . . . .	147
4.5. მეოთხე თავის დასკვნები . . . . .	154

<b>5 თავი. ეპსკორტულ შეფასებათა ამონათიზებული დამუშავების სისტემის საღემოცენტრაციო გერადა</b>	<b>155</b>
<b>5.1. სამუშაო გარემო: Ms Visual Studio .NET პლატფორმა . . . . .</b>	<b>177</b>
<b>5.2. მონაცემთა ბაზის ცხრილები . . . . .</b>	<b>181</b>
<b>5.3. Expert dbo მონაცემთა ბაზის View წარმოდგენები SQL-ტექსტებით . . . . .</b>	<b>187</b>
<b>5.4. Expert dbo მონაცემთა ბაზის Stored Procedures . . . . .</b>	<b>188</b>
<b>5.5. შენახვადი პროცედურების ლისტინგები . . . . .</b>	<b>190</b>
<b>5.6. მეხუთე თავის დასკვნები . . . . .</b>	<b>191</b>
<b>დასკვნა . . . . .</b>	<b>193</b>
<b>ლიტერატურა . . . . .</b>	<b>199</b>
<b>დანართი . . . . .</b>	<b>.</b>

## შესავალი

თანამედროვე კორპორაციულ სისტემებს, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება დარგობრივი დაწესებულებები, საწარმოები, სავაჭრო ფირმები, კომერციული ბანკები და ა.შ., ზოგადად – ბიზნეს-ობიექტები, აქვს რთული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ტოპოლოგიურად განაწილებული ფილიალების სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ. მათი ეფექტური მართვა შესაძლებელია ყველა დეპარტამენტის, ფილიალის და განყოფილების მდგომარეობისა და მოქმედების შესახებ სრული ოპერატორული ინფორმაციის არსებობისას. ამ ფაქტორმა გამოიწვია ორგანიზაციული სისტემების ავტომატიზაციის აუცილებლობა და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების, ტელეკომუნიკაციების საშუალებათა, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების ფართო გამოყენება.

ბიზნეს-ობიექტებზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მარკეტინგისა და მენეჯმენტის პროცესების სწორად და დროულად წარმოართვას. ახალი ბიზნეს-პროგრამები, რომელთა განხორციელება, ერთის შხრივ სასიცოცხლოთა თანამედროვე კონკურენციის პირობებში, ხოლო მეორეს შხრივ, ძნელადრეალიზებადია საკმაო მოცულობის ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, მოითხოვს ფირმის ხელმძღვანელებისა და ექსპერტ-სპეციალისტებისაგან სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას გააზრებული ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე [1].

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ორგანიზაციული მართვის სისტემის სრულყოფა, მისი ბიზნეს-პროგრამების შეფასების შეარდამჭერი გადაწყვეტილებათა მიღების ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და მათი უნიფიცირებული პროგრამული რეალიზაციის საფუძველზე, რაც უდავოდ აქტუალური და მნიშვნელოვანი მიმართულებაა [2,3].

აღნიშნული მიზნის მისაღწევად მონოგრაფიაში განიხილება შემდეგი საკითხები:

- გაანალიზებულია ორგანიზაციული მართვის სისტემებში კორპორაციული დაგეგმვის პრობლემები და გამოვლენილია მათი გადაწყვეტის ამოცანები და გზები;

- შემუშავებულია ბიზნეს-პროგრამების ექსპერტულ შეფასებათა გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი კომპიუტერული სისტემის სტრუქტურა და შედგენილობა, ობიექტ-ორიენტირებული მეთოდები და მოდელები;

- განაწილებულია განაწილებული კორპორაციული სისტემის მონაცემთა რელაციური საცავის აგებისა და მისი ოპერატორული ანალიზის ეფექტური ალგორითმული სქემები მრავალფაქტორული ამოცანებისათვის, ვიზუალურ-კომპონენტური დაპროგრამების მეთოდის საფუძველზე;

- დამუშავებულია ბიზნეს-პროგრამების ექსპერტულ შეფასებათა პროცესების ობიექტ-ორიენტირებული მოდელირების, დაპროექტებისა და რეალიზაციის საკითხები კატეგორიალური და ლოგიკურ-ალგორიტმული მეთოდების გამოყენებით;

- შემოთავაზებულია კლიენტ-სერვერული არქიტექტურის განაწილებული ბაზების დაპროექტებისა და აგების პროცესების ავტომატიზაცია ობიექტ-როლური და კონცეპტუალური მოდელების საფუძველზე;

- აგებულია ბიზნეს-პროცესების მართვის იმიტაციური მოდელირებისა და ანალიზის ალტერნატიული სქემები სისტემური პეტრის ქსელების გრაფების გამოყენებით;

- დამუშავებულია Windows- და Web- აპლიკაციების დანართები, მომხმარებელთა სერვისული ინტერფეისები კომერციული ბანკების მაგალითზე, .NET-პლატფორმის, C#, ASP.NET, ADO.NET და Ms SQL Server პაკეტების გამოყენებით.

ნაშრომის პირველ თავში გადმოცემულია ორგანიზაციული მართვის ობიექტების კორპორაციული დაგეგმვის არსებული მექანიზმების ანალიზი, გამოვლენილია პრობლემები და ამოცანები თანამედროვე საბაზრო კონკურენციისა და მმართველობითი კონსულტირების ეფექტური მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით. ყურადღება გამსხვილებულია პროდუქციის საწარმოო ფირმებისა და კომერციული ბანკების ბიზნეს პროგრამების მართვის საკითხებზე. გადმოცემულია დღეისათვის არსებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების, აგრეთვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მოკლე, კრიტიკული ანალიზი. დასმულია ამოცანა ბიზნეს-პროგრამების

ექსპერტულ შეფასებათა ჯგუფური გადაწყვეტილების მხარდამჭერი კომპიუტერული სისტემის ასაგებად.

მეორე თავში აღწერილია ბიზნეს-პროგრამების მართვის და ჯგუფური შეფასების ტექნოლოგიური პროცესების უნიფიცირებული Case-მეთოდები და ობიექტ-ორიენტირებული მოდელები; სისტემის მონაცემთა ბაზაში ექსპერტთა ცოდნის ასახვის ობიექტ-როლური მოდელები კატეგორიალური მიღვომით, აგრეთვე ამ პროცესების ავტომატიზებულ რეჟიმში გადაწყვეტის პროცედურები ვიზუალურ-კომპონენტებური დაპროგრამების საფუძვლზე; წარმოდგენილია განაწილებული ბიზნეს-პროცესების ობიექტ-ორიენტირებული მოდელირებისა და იმიტაციური ანალიზის ალტერნატიული სქემები სისტემური პეტრის ქსელების გამოყენებით.

მესამე თავი ეხება ბიზნეს-პროგრამების ექსპერტულ შეფასებათა მხარდამჭერი კომპიუტერული სისტემის ინფორმაციული და პროგრამული უზრუნველყოფების დამუშავებას და რეალიზაციას. შემოთავაზებულია კორპორაციების მონაცემთა საცავების დაპროექტების, აგებისა და მათი ოპერატიული მრავალფაქტორული ანალიზის ამოცანების გადაწყვეტა. გამოყენებულია კლიენტ-სერვერული კონფიგურაცია ექსპერტთა შეფასებების ავტომატიზებული დამუშავებისათვის, Borland C++Builder, MsSQL Server, Ms Office პაკეტებისა და .NET პლატფორმის (C#.NET, ADO.NET, ASP.NET) ბაზაზე.

მეოთხე თავი ეხება ბიზნეს-პროგრამების ექსპერტულ შეფასებათა მხარდამჭერი კომპიუტერული სისტემის პროგრამული უზრუნველყოფების დამუშავებას და რეალიზაციას.

მეუთხე თავში მოცემულია ექსპერიმენტული შედეგები, რომლებიც განხორციელდა პროდუქციის საწარმოო ფირმის და კომერციულ-საფინანსო ბანკის ობიექტებზე. შემოთავაზებულია მომხმარებელთა ინტერფეისების სადამონისტრაციო პაკეტი Web-აპლიკაციის სახით, კომერციული ბანკის სერვისის ამოცანების გადასაწყვეტად.

# I თავი

## კორპორაციათა ბიზნეს-პროგრამების დაგენერაციის პროცესები და მათი სრულყოფის ამოცანები საინიციატივო ფესტოლოგიების ბაზაზე

### 1.1. კორპორაციული ობიექტების მართვის მექანიზმების სრულყოფის მიზნები და ამოცანები

კორპორაციულ ობიექტებს მიეკუთვნება სახელმწიფო ან კერძო სტრუქტურების საწარმოო, ორგანიზაციული, საბანკო-საფინანსო და სხვა ტიპის იურიდიული სუბიექტები. მათი ფუნქციონირების კეთილდღეობა, კონკურენციის მძაფრ პირობებში, ბევრადაა დამოკიდებული მართვის აპარატის მოქნილობასა და საიმედოობაზე. როგორი ბიზნეს-პროცესების კორპორაციული დაგემვისა და ოპერატორიული მართვის მექანიზმების ეფექტური ორგანიზებითა და მუდმივი სრულყოფით შესაძლებელი ხდება ამ ობიექტების სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივება.

კორპორაციული ობიექტების მართვის ავტომატიზებული სისტემა მოიცავს დაიგნოსტიკური ანალიზის, ექსპერტული შეფასებების, ბიზნეს-პროგრამების დაგემვის, მათი განხორციელების ორგანიზების, ფაქტ-შედეგების აღრიცხვის, ეკონომიკური ანალიზისა და შეფასების, ობიექტზე ეფექტური ზემოქმედების მმართველი გადაწყვეტილების მიღების პროცესების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავებას და მათ კომპიუტერულ რეალიზაციას.

ასეთი ობიექტების მართვის მექანიზმების მოდელი საკმაოდ როგორია და მიეკუთვნება მნელად ფორმალიზებად დიდი სისტემების კლასს. მათი აგებისა და ეფექტური გამოყენებისათვის მიზანშეწონილია არაერთგვაროვანი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების კომპლექსური გამოყენება. კერძოდ, ერთის მხრივ, კოგნიტური მოდელების ასაგებად ექსპერტულ შეფასებათა სხვადასხვა მეთოდების ინტეგრირებული გამოყენება, და მეორეს მხრივ, ბიზნეს-პროგრამების დაგემვის პროცესების ოპტიმიზაცია და კვლევა მასობრივი მომსახურების სისტემების თეორიის საფუძველზე, მარკოვის პროცესებით.

ექსპერტულ შეფასებათა დამუშავების ავტომატიზებული სისტემის ძირითადი მიზანია საწარმოო ფირმებისა ან ორგანიზაციების

სტრატეგიული განვითარების გეგმების (კორპორაციული დაგეგმვა) შედეგის პროცესის ავტომატიზაცია.

თვით ასეთი კორპორაციული გეგმების ოპტიმალური ან „უკეთესი“ ვარიანტების შერჩევას აქვს გლობალური მიზანი – ესაა ფირმის მუშაობის ეფექტურობის ამაღლება (სწორი დაგეგმვის გზით). ამ საკითხებს ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და ექცევა საზღვარგარეთ [1].

ჩვენშიც, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ, როცა მრავალი საწარმოო ფირმა და ორგანიზაცია პრივატიზებულია და კერძო საკუთრების ფორმით მოგვევლინა, აქტუალური გახდა აღნიშნული მიმართულება.


ამგვარად, დისერტაციაში დასმული ამოცანების გადაწყვეტის მიზანი ფირმის სასიცოცხლო ციკლთან – არსებობის საკითხთანაა დაკავშირებული და ამგვარად მისი აქტუალურობა და მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს.

კორპორაციული ობიექტების მართვის პროცესისთვის ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ექსპერტულ შეფასებათა მეთოდებით მოპოვებული ინფორმაცია და გადავამუშავოთ ისინი კომპიუტერის გამოყენებით. ეს გადამუშავება კი გულისხმობს სპეციალური პროგრამული პაკეტის ("Expert\_UML") დამუშავებას, ანუ უნდა შეიქმნას კომპიუტერული დიალოგური სისტემა - ასალი, ობიექტ-ორიენტირებული მოდელირებისა და UML-ტექნოლოგიის საფუძველზე [3].

დღეისათვის ერთ-ერთი აქტუალური და პერსპექტიული მიმართულებაა სამეცნიერო-ეკონომიკური ობიექტების მართვის კომპიუტერული სისტემების დაპროექტება და რეალიზაცია უნიფიცირებული მოდელირების ენის (UML/2 – Unified Modeling Language) საშუალებით [4].

ეს UML-ენა არის პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგია, რომელიც განაპირობებს პროგრამული პაკეტების მაღალ დონეზე სტანდარტიზაციას.


UML ტექნოლოგია ეყრდნობა ობიექტ-ორიენტირებული მოდელირებას და რამდენიმე ეტაპისაგან შედგება:



**ნახ. 1.1 UML -ტექნოლოგიის ოთხი ეტაპი**

პირველ ეტაპზე ხორციელდება საკვლევი ობიექტის შესწავლა და მისი ფუნქციონირების მოთხოვნილების დადგენა.

სისტემის არქიტექტურა მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც გამოიყენება მომზმარებელთა განსხვავებული თვალსაზრისების მიზანიმიმართული მართვისათვის, მაგალითად, პროგრამული სისტემის ორგანიზება; სტრუქტურული ელემენტების არჩევა, რომელთაგანაც შედგება სისტემა და ინტერფეისები; ამ ელემენტების ყოფაქცევა სხვებთან მიმართებაში და ა.შ. პროგრამული სისტემის არქიტექტურა შეიძლება კარგად აისახოს ხუთი ურთიერთდაკავშირებული ელემენტით (ნახ.1.2). თითოეული თვალთახედვა დამოუკიდებულია, მაგრამ სისტემის აგების დროს UML ტექნოლოგიით ხდება მათი ურთიერთმოქმედება.



**ნახ. 1.2. სისტემის არქიტექტურის მოდელირება**

ჩვენ საკვლევ ობიექტად განვიხილავთ პროდუქციის მწარმოებელ ფირმას (ან კომერციულ ბანქს), მის ორგანიზაციულ-საწარმოო სტრუქტურას. საწარმოო ფირმა ამზადებს განსხვავებული ასორტიმენტის პროდუქციას (კომერციული ბანკი ემსახურება იურიდიულ და ფიზიკურ პირებს სხვადასხვა სერვისული ამოცანებით). მას აქვს საფირმო მაღაზიები. ჰყავს როგორც პარტნიორები: სავაჭრო ბაზები, მუდმივი დამგვეთები, ასევე კონკურენტები ბაზარზე. ფირმას უხდება „ბრძოლა“ თავისი არსებობის შესანარჩუნებლად. მისი მდგომარეობა შეიძლება იყოს კარგი, დამაკმაყოფილებელი ან ცუდი, ანუ გაკოტრების ფირმის მდგომარეობის გასაანალიზებლად საჭიროა ექსპერტების შეფასებების შეგროვება და მათი კომპლექსური გადამუშავება. ამ პროცესის საკმაო სირთულისა და ინფორმაციის დიდი მოცულობის გამო, სასურველია გადამუშავდეს იგი კომპიუტერის დახმარებით.

ჩვენი სისტემის აქტიური მოშემარებლებია ექსპერტები (საწარმოო ფირმის ან ბანკის ხელმძღვანელები და მთავარი სპეციალისტები) და კონსულტანტი, რომელიც მეთოდურად ხელმძღვანელობს ექსპერტებს და წარმართავს როგორც მათი განსწავლის პროცესს, ასევე ჯგუფური ინფორმაციის შეგროვებას, შეფასებას და გადამუშავებას.


აქედან გამომდინარე, სისტემის ძირითადი მოთხოვნები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: - შეიქმნას კონსულტანტის ავტომატიზებული სამუშაო აღვილი (სერვერზე, ან ცალკე კლიენტის სახით); - აიგოს მონაცემთა განაწილებული ბაზა ფირმის ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების ცოდნის ამსახველი ინფორმაცით (კლიენტების სახით); - შეიქმნას ალგორითმული და პროგრამული პაკეტები, რომლებიც შეაჯერებს ექსპერტულ შეფასებათა შედეგებს და გამოიმუშავებს კოლექტიურ გადაწყვეტილებებს; - მოხდება ამ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების ღონისძიებათა შემუშავება და მათი დანახარჯების ანალიზი და შეფასება; - აიგება კონსულტანტისა და ექსპერტების სამუშაო აღვილების ინტერფეისული პროგრამები.

ამგვარად, ფირმის ხელმძღვანელობა და მთავარი სპეციალისტები თვითონ არიან ექსპერტები, ეხმარებიან კონსულტანტს საბოლოო გადაწყვეტილებათა მოძებნაში. კონსულტანტს აქვს მეთოდიკა, თუ


როგორ წარმართოს მუშაობა ექსპერტებთან. ეს მეთოდიკა გულისხმობს ობიექტის კვლევისათვის სისტემური მიღებომისა და ექსპერტულ შეფასებათა მეთოდების გამოყენებას. ჩვენ მათ შემდგომში განვიხილავთ.

## 1.2. საკულტო იძიებების დიაგნოსტიკური ანალიზის ოთხეტაპიანი მოდელი


ამერიკელი მეცნიერები ეკონომიკური დაგეგმვისა და ფირმების მუშაობის კონსულტინგების სფეროში რობერტ აბრამსონი და უოლტი ჰალსეტი გვთავაზობენ ოთხეტაპიან მოდელს ორგანიზაციის გამოსაკვლევად და სტრატეგიული ღონისძიებების შესადგენად (ნახ. 1.3-1.7) [1].




ნახ.1.3 სტრატეგიული დაგეგმვის ოთხეტაპიანი სქემა




ნახ. 1.4. პირველი სტადიის ეტაპები



ნახ.1.5. მეორე სტადიის ეტაპები



### ნახ.1.6. მესამე სტადიის ეტაპები



### ნახ.1.7. მეოთხე სტადიის ეტაპები

### 1.3. მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანები

ექსპერტულ შეფასებათა დამუშავების ავტომატიზებული სისტემა არის ავტომატიზებული სამუშაო ადგილი კონსულტანტის და ექსპერტებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, კონსულტანტი მოწვეული პიროვნებაა და იგი წარმართავს ექსპერტებთან (ფირმის ხელმძღვანელობა, მთავარი სპეციალისტები) დისკუსიებს. მოსაპოვებელი ინფორმაცია ექსპერტებს ცოდნის, გამოცდილების სახით აქვთ დამახსოვრებული. არაა გამორიცხული მათი სუბიექტური შეხედულებების გავლენა ამ ცოდნის გამოყენებისას.

გარევეული ინფორმაციის ნაწილი კონსულტანტმა შეიძლება მიიღოს ფირმის მართვის ავტომატიზებული სისტემის სხვა ფუნქციონალური ქვესისტემებიდან. მაგალითად, დაგეგმვის მართვის ავტომატიზებული ქვესისტემა – არსებული ხუთწლიანი და 1 წილიანი – ოპერატორული გეგმების მისაღებად; აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის ქვესისტემები – ფირმაში პროდუქციის ფაქტობრივი გამოშვებისა და მისი რეალიზაციის მდგომარეობის შესახებ; სასაწყობო მეურნეობის ქვესისტემები – ფირმაში ნედლეულისა და მზა პროდუქციის არსებობის მდგომარეობა და ა.შ. (კომერციულ ბანკს ექნება მისთვის დამახიასთებელი ბიზნეს-პროცესები).

თუ ფირმის მართვის ავტომატიზებული სისტემა არ ფუნქციონირებს, მაშინ ყველა ზემოაღნიშნული ინფორმაცია კონსულტანტმა უნდა მიიღოს ფირმის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოო ქვედანაყოფების ხელმძღვანელებიდან უშუალოდ. მთავარია სრული და სწორი ინფორმაციის შეკრება, რათა კონსულტანტმა ზუსტად დასვას დააგნოზი, თუ რა უჭირს ფირმას.

ბიზნეს-პროგრამების ექსპერტულ შეფასებათა გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი ავტომატიზებული სისტემა ემსახურება ფირმის განვითარების (სტრატეგიული) გეგმის სწორად ჩამოყალიბებას. ალტერნატიული ბიზნეს-პროგრამებიდან უკეთესის შერჩევას. ამგვარად, სისტემის საბოლოო პროდუქტი ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიული გეგმაა, რომელიც კომპიუტერშია ჩადებული თავისი პროგრამული პაკეტითა და ინფორმაციული ბაზებით, და რომელსაც სისტემა ინფორმაციის სახით მიაწვდის გადაწყვეტილების მიმღებ

პირს, ანუ შესთავაზებს საუკეთესო ალტერნატიულ ვარიანტებს. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ადამიანი – პასუხისმგებელი პირი.


მომავალში ასეთი ინფორმაციული ბაზები შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაგეგმვის განყოფილებაში ე.წ. ოპერატორები (1 წლიანი) გეგმების შესაღენად. ექსპერტთა შეფასებების დამუშავების ავტომატიზებული სისტემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ ფირმის (ზედა) დონეზე, არამედ ფირმის ქვეგანყოფილებებსა და სამქროებში, თუ ამ უკანასკნელთა განვითარების კონცეფცია იქნება შესაქმნელი.

მთავარია ის, რომ ამ სისტემის საშუალებით შესაძლებელი უნდა იქნეს კოლექტიური გადაწყვეტილების მიღება ექსპერტთა შეფასებების შეკერების ხარჯზე, რომელიც ჩადებულია ამ მეთოდებში (მაგალითად, დელფისა და პატერნის მეთოდებში). მათ ჩვენ მე-2 თავში შევეხებით.

დისერტაციის მიზანია კორპორაციული ობიექტების ბიზნეს-პროგრამების აგების ავტომატიზაცია და მისთვის გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი საინფორმაციო სისტემის შექმნა.

როგორც აღნიშნეთ, ამისათვის საჭიროა მონაცემთა მრავალდონიანი საცავების აგება, მათი ფუნქციურ-ანალიზური პაკეტების დამუშავება, ექსპერტულ შეფასებათა მეთოდების გამოყენება ფირმის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად (მესამე სტადია, ნახ. 1.6). ამაგვარად, არსებობს ორი მიზანი: ლოკალური და გლობალური. ლოკალური მიზანია მონაცემთა საცავისა და ექსპერტულ შეფასებათა დამუშავების კომპიუტერული სისტემის შექმნა, ანუ ჩვენი დისერტაციის თემის პრაქტიკული რეალიზაცია.

გლობალური მიზანია ამ კომპიუტერული სისტემის გამოყენებით კორპორაციული ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიული გეგმის ოპტიმალური ვარიანტის შედგენა და ექსპერტული შეფასება. ეს აზრი ფორმალიზებულია 1.8 ნახაზზე.



**ნახ.1.8. ლოკალური (1) და გლობალური (2) მიზნები**

ჩვენ შემოქმედითარგლებით ლოკალური მიზნით. ამიტომ აქ ჩამოვთვლით იმ ძირითად ფუნქციებს, რომლებიც ექსპერტულ შეფასებათა დამუშავების ავტომატიზებული სისტემის აგებისათვისაა საჭირო:

- 1) ობიექტის დიაგნოსტიკური ანალიზი სისტემური მიღებით;
- 2) ექსპერტულ შეფასებათა მეთოდების ანალიზი და მათი შერჩევა დასმული მიზნის მისაღწევად;
- 3) კონსულტანტის მეთოდიკის ფორმალიზება და ფუნქციონალური ბლოკ-სქემის აგება;
- 4) ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხების დამუშავება;
- 5) დიალოგური პროცედურების აგება კონსულტანტისა და ექსპერტებისათვის;
- 6) პროგრამული პაკეტის დამუშავება და ტესტირება;
- 7) მომხმარებლის ინსტრუქციების ჩამოყალიბება.

## 1.4. გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი სისტემები

როგორც აღვნიშნეთ, დიდი კორპორაციების ეფექტურად სამართავად გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის მიზნით, აუცილებელია სრული და უტყუარი ინფორმაციის არსებობა ბიზნესის სხვადასხვა ასპექტებზე. ამზეა დამოკიდებული ორგანიზაციის მართვის ხარისხი, დაგეგმვის ეფექტურობა და ა.შ. ამასთანავე მნიშვნელოვანია ინფორმაციის ასახვის ფორმების თვალსაჩინოება, ახალი სახის რეპორტების მიღების სისტრაფე, მიმდინარე და ისტორიული მონაცემების ანალიზის შესაძლებლობა. ასეთ შესაძლებლობათა მქონე სისტემებს უწოდებენ გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერ სისტემებს (გმშს) [5]. ისინი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დარგებში, როგორიცაა, მაგალითად ტელეკომუნიკაციები, ბიზნესი და ფინანსები, ვაჭრობა, მრეწველობა და სხვ., თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიის ინსტრუმენტის სახით. გადაწყვეტილებათა მიღების მხარდაჭერი სისტემები (DSS - Decision Support Systems), ზოგადად, აგებულია მონაცემთა ბაზების, ხელოვნური ინტელექტის, იმიტაციური მოდელებისა და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების საფუძველზე. გმშს-ების საშუალებით შესაძლებელია არასტრუქტურირებადი და სუსტად სტრუქტურირებადი მრავალგრიტერიუმიანი ამოცანების გადაწყვეტა. ამ მიზნით გამოიყენება აგრეთვე კატეგორიალური ანალიზისა და კოგნიტური მოდელირების შემეცნებითი მეთოდები [25,26,84,85].

გმშს შედგება ორი ძირითადი, აუცილებელი კომპონენტისგან: მონაცემთა საცავისა (data warehouse) და ანალიზური საშუალებებისგან (ინსტრუქტებისგან) [62,68,71,72]. მონაცემთა საცავი წარმოადგენს კორპორაციული მონაცემების ერთიან სივრცეს, რომელშიც მონაცემები ისეთი სტრუქტურებითაა მოწესრიგებული, რომელიც იძლევა ანალიზური ოპერაციების ჩატარების ოპტიმიზაციის საშუალებას. ანალიზური ინსტრუქტები საშუალებას აძლევს უუნიციურ მოშბმარებელს, რომელსაც არ გააჩნია სპეციალური განათლება ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, მოახდინოს მონაცემების მარტივად გამოიყენება და მათი ასახვა საგნობრივი სფეროს ტერმნებში. სხვადასხვა კვალიფიკაციის მოშნარებულთათვის გმშს-ს აქვს მონაცემებთან მიმართვის სერვისის სხვადსხვა ტიპის ინტერფეისები.

## 1.5. მონაცემთა საცავი და ოპერატიული ანალიზის OLAP-ინსტრუმენტი

მონაცემთა საცავი, როგორც ახალი ინფორმაციული ტექნოლოგია, აქტუალური გახდა ამერიკელი მეცნიერის, კ. ინმონის შრომებიდან [6,7].

მონაცემთა საცავი აღიწერებოდა, როგორც „მონაცემთა სუპერმარკეტი“, „სუპერ მონაცემთა ბაზა“. ამ მიმართულებით პირველი პროექტი „ევროპის ბიზნეს ინფორმაციული სისტემა“ 1988 წელს IBM ფირმის მიერ განხორციელდა. გლობალურ მონაცემთა შენახვა და მათი ანალიზი სავაჭრო კომპანიების მუშაობისას არა მარტო ამაღლებს მუშაობის ეფექტურობას, არამედ უძლებს მკაცრ კონკურენციას, რომელიც საერთაშორისო ბაზაზე ყოველწლიურად ძლიერდება [8].

მონაცემთა საცავის ფართო გამოყენება, მსოფლიო ბიზნეს გაერთიანებაში ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ამ ტექნოლოგიაზე დაყრდნობით მოგება ყოველწლიურად იზრდება ათობით მილიარდი დოლარით.

კომერციულ ბანკებში ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ საბაზო ტრანზაქციების და სასურველ მონაცემებზე არსებული ინფორმაციის მოცულობა ძალიან დიდია. პირველადი ანალიზისათვის უნდა მომზადდეს გაფართოებული მონაცემები და მიუცეს ინდექსაცია. ამისათვის საჭიროა ფართო კომპიუტერული რესურსები, რომელიც საშუალებას იძლევა მცირე დროის განმავლობაში შესრულდეს ძებნა რამდენიმე ცხრილიში, რომლიც ათობით მილიონ ჩანაწერს შეიცავს და განხორციელდეს მონაცემთა შერჩევა.

მონაცემთა საცავი არის კომპლექსური სისტემა, რომელიც შედგება შემდეგი ძირითადი ფუნქციების ბლოკებისაგან:

- მონაცემთა განაწილებული, რელაციური ბაზების მართვის სისტემები;


- ინფორმაციის წყაროებიდან ოპერატიულ მონაცემთა ჩატვირთვის და გარდაქმნის საშუალება;

- საცავის დაპროექტების მეთოდური და ინსტრუმენტული საშუალებანი;

- საცავის აგებისა და მოდიფიკაციის საშუალებანი;

- საცავის მეტამონაცემთა იერარქიული ორგანიზების ჰიპერლინკები საშუალებანი;
- საცავის ფუნქციურ მომხმარებელთა მოთხოვნების წინასწარი ანალიზისა და ტრანზაქციების ეფექტურად შესრულების დაგეგმვის საშუალებანი;
- საცავის საინფორმაციო ბლოკებისა და არქივის ოპერატიული ანალიზის ინსტრუმენტული საშუალებანი.

1.9 ნახაზზე მოცემულია განაწილებული ავტომატიზებული მართვის სისტემის მონაცემთა საცავის ზოგადი სქემა.



ნახ.1.9. მონაცემთა საცავის ზოგადი სქემა

მონაცემთა საცავის მუშაობის პრინციპი ასეთია: პირველ ეტაპზე DWH-ს ტექნოლოგიის გამოყენების საშუალებით, რელაციურ ბაზებში ერთად თავმოყრილი მონაცემები ლაგდება გარკვეული სტრუქტურული თანამიმდევრობით, ხდება მათი „დაწმენდა“. მეორე ეტაპზე წარმოებს მათი ტექნოლოგიური დამუშავება მონაცემთა ოპერატიული ანალიზის OLAP – ტექნოლოგიის გამოყენებით [68,69]. ხოლო მესამე ეტაპზე ეს მონაცემები მომხმარებლებს მიეწოდებათ ინტერნეტის საშუალებით.

ინფორმაციული ბლოკები, რომლებიც მონაცემთა საცავებშია განაწილებული, მიზანმიმართულად თავსდება ინტერნეტ – გვერდებზე და ხელმისაწვდომია ფართო მომხმარებლისთვის.

მონაცემთა რელაციურ მოდელებზე აგებულ ბაზებისა და საცავებისათვის SQL (Structured Query Language) მონაცემთა სტრუქტურირებადი ენა არის ერთ–ერთი ეჯექტური, საუკეთესო საშუალებაა მონაცემთა მანიპულირებისათვის. იგი აღიარებულია საერთაშორისო სტანდარტად, ამიტომაც ინფორმაციული საცავებისათვის მიზანშეწონილია რელაციური პლატფორმა.

მონაცემთა საცავი ორგანიზებულია განსაზღვრულ საგნობრივ სფეროზე და ორგანიზებულია მონაცემთა ოპერატორული ბაზიდან შემოსულ სტრუქტურულად გადამუშავებულ მონაცემთა ქვესიმრავლების საფუძველზე. ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს სხვადასხვა ორგანიზაციათა დანართები (აპლიკაციები), რომლებიც გამოიყენებს განსხვავებულ პროგრამულ პლატფორმებს და უკავშირდება ოპერატორულ მონაცემთა ბაზას ინტერნეტის საშუალებით (on-line რეჟიმი). შესაძლებელია აგრეთვე სხვა სახის კავშირების (off-line რეჟიმი) გამოყენებაც.

მონაცემთა საცავში ინახება მონაცემთა სტრიქონების არა მთელი სიმრავლე, არამედ ამა თუ იმ ხარისხით გაერთიანებული (აგრეგატული) ინფორმაცია, რაც ხელს უწყობს მექსიერების ეჯექტურად გამოყენებას.

მონაცემთა საცავი მოიცავს ტრანსფორმაციისა და კონვერტაციის პროგრამებს, საბაზო მეტამონაცემთა სისტემას, არქივირებული შენახვის სისტემას და ინტეგრირებულ მონაცემთა საცავს [9].

მონაცემთა ბაზების სიტემა: მონაცემთა საცავს ემსახურება ისე, როგორც სხვა მონაცემთა ბაზების სისტემები, რომელთა საშუალებითაც ხდება, მონაცემთა დამოუკიდებელ პროგრამათა ინტეგრაცია, შენახვა და მართვა. მონაცემთა ბანკების მართვის სისტემა მომზმარებელთათვის უზრუნველყოფს ადამიანსა და კომპიუტერს შორის ინფორმაციის გაცვლას. იგი შეიცავს მონაცემთა დიდ რაოდენობას, რომელთა შორისაც დამყარებულია კანონზომიერი კავშირები. მონაცემთა ბანკების მართვის სისტემა შეადგენს მონაცემთა საცავის ცენტრალურ სისტემას.

**ტრანსფორმაციის პროგრამა:** ახორციელებს ინტერფეისის ფუნქციას მონაცემთა საცავსა და მონაცემთა წყაროებს შორის. მონაცემები (ინფორმაცია) განსხვავებულ მონაცემთა ბაზებიდან ან განსხვავებული ფორმატის ფაილებიდან (ASCII, ANSI, EBCDIC და ა.შ.) ექსტრაგირდება. ტრანსფორმაციის წესის თანახმად ისინი ერთიანდება (Bridging), როგორც ინტეგრირებული, სუბიექტ-ორიენტირებული, მუდმივი და დროში ცვალებადი სტრუქტურები. ტრანსფორმაციის პროგრამაში უნდა უზრუნველყოს ტრანსპორტირებისათვის ფუნქციათა წარმოდგენა და აგრეთვე მონაცემთა მომზადება საცავში გადასაგზავნად. მონაცემთა საცავში შეიცვლილი მონაცემების (ინფორმაციის) უდიდესი ნაწილი შესაძლოა მიღებული იქნას განაწილებული ოპერატიული სისტემიდან. მონაცემთა საცავში ისტორიული და მიმდინარე მონაცემების შევსება, ხდება ბაზებიდან, სადაც პერიოდულად მიმდინარეობს მონაცემთა აქტუალიზაცია. თუ ოპერატიულ მონაცემთა ჩანაწერების რეგისტრაციაში მონაცემის შეტანის თარიღი უფრო ახალია, ვიდრე ბოლო ტრანსფორმაციის შეტანის დრო, მაშინ მოხდება ამ უკანასკნელის ლიკვიდაცია. ე.ო. აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს ცალკეულ ტრანსფორმაციის პროცესებს შორის ვადები.

მონაცემთა გარე მიმწოდებლებია შეტყობინებათა სამსახურები, ბირჟები, პოლიტიკური საინფორმაციო სამსახურები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ბაზარი. ინფორმაციის მოწოდებისათვის გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა მაგალითად: Internet, CD-ROM, Flash-Memory, FD და ა. შ. ბევრი ამ მონაცემთა ტრანსფორმაციის პროგრამის საშუალებით, სანამ გადავა მონაცემთა საცავში უნდა წარმოდგეს გარკვეული Internet-სტანდარტული-ფორმატის სახით.

**მეტამონაცემთა საბაზო სისტემა:** მეტამონაცემები არის მონაცემები - მონაცემების შესახებ. მეტამონაცემთა საბაზო სისტემა მონაცემთა საცავის შემადგენელი ნაწილია. მონაცემთა საცავში იგი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს, მეტამონაცემების დანიშნულებაა მონაცემთა საცავში არსებული მონაცემების აღწერა და მათზე დამატებითი ცნობების მოგროვება. მეტამონაცემთა ინსტრუმენტის გამოყენება მომხსარებელს საშუალებას აძლევს აწარმოოს მონაცემთა მასივებში მანევრირება და ეხმარება მას მონაცემთა საცავში

ორიენტირებაისათვის. მეტამონაცემთა საბაზო სისტემა მომხმარებელს ეხმარება მოთხოვნების შესაბამისად მონაცემთა შერჩევაში. ეს ხორციელდება მონაცემთა საცავში მეტამონაცემთა გამჭვირვალე ასახვის შედეგად.

**არქივირებული შენახვის სისტემა:** უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას და მათ არქივირებულ შენახვას მონაცემთა საცავში. მონაცემთა არქივირებული შენახვა, როგორც ცალკე სისტემა, მონაცემთა საცავში ამცირებს მეხსიერების უჯრედებს და ზრდის მუშაობის ეფექტურობის ხარისხს. არქივირების ეფექტური სისტემა მნიშვნელოვანია, რადგან მოკლე ვადაში შესაძლებელია მონაცემთა გადმოტვირთვა მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად.

ხშირად სისტემაში თავს იყრის უსარგებლო ინფორმაციათა ნაკადი და იკავებს დიდ დფაილს, რაც აფერხებს სისტემის მუშაობის ეფექტურობას, არქივირებული სისტემის დახმარებით ხდება ასეთი ინფორმაციის განადგურება. შესაძლოა ასევე დაფექტური ტრანზაქციის შედეგად მოხდეს მონაცემთა „დაზიანება“. ამ შემთხვევაში ამოქმედდება მონაცემთა დაცვის სისტემა, რაც უზრუნველყოფს დაფექტურების აღმოფხვრას და არასასურველი ინფორმაციის განადგურებას.

არქივირებული შენახვისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ ინფორმაციის შენახვის კანონებზე, რომელიც ითვალისწინებს არქივში ინფორმაციის შენახვის ვადებს, რადგან შენახული ინფორმაცია გარკვეული პერიოდის შემდეგ კარგავს აქტუალობას.

**ანალიზური დამუშავების OLAP-ტექნოლოგია:** მას მონაცემთა მრავალგანზომილებიან, კომპლექსური ანალიზის ტექნოლოგიას უწოდებენ. **OLAP** (Online Analytical Processing) ნიშნავს „მონაცემთა ოპერატორული ანალიზის“. იგი პირველად მონაცემებს წარმოადგენს ინფორმაციის სახით, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი ხდება საწარმოს მოცულობის შესახებ ვიქონიოთ რეალური წარმოდგენა. ამავე დროს იგი უნიკალური ინსტრუმენტია, რომლიც საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა ანალიზური ჰრილით ჩავატაროთ ინფორმაციის მრავალგანზომილებიანი ანალიზი.

მონაცემთა საცავების დაპროექტებისა და მისი ფუნქციონირებისათვის, მეთოდური თვალსაზრისით ჩვენ ვიყენებთ ე.ვ. კოდის მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებს [10]. ესაა ის 12 წესი,

რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებისმიერი განაწილებული სისტემა მონაცემთა საცავით, რათა ჩატარდეს საინფორმაციო ბლოკების სრულფასოვანი ოპერატიული ანალიზური სამუშაოები.

**1. მონაცემთა მრავალგანზომილებიანი კონცეპტუალური წარმოდგენა.** მომხმარებელ-ანალიტიკოსი საპრობლემო სფეროს, თავისი ბუნების მიხედვით ხედავს როგორც მრავალგანზომილებიანს. შესაბამისად OLAP- მოდელიც უნდა იყოს მრავალგანზომილებიანი. ასეთი ტიპის კონცეპტუალური სქემა (მომხმარებელთა წარმოდგენები) აითლებს მოდელირებას, ანალიზს და გამოთვლებს;

**2. გამჭვირვალეობა.** OLAP წარმოდგენილი უნდა იყოს ღია არქიტექტურის კონტექსტში, სადაც მომხმარებელს საშუალება ექნება დროის ნებისმიერ მონაცემთში, ანალიზური ინსტრუმენტის საშუალებით დაუკავშირდეს სერვერს და მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია;

**3. მიღწევადობა.** OLAP – ის მომხმარებელ ანალიზატორს უნდა ჰქონდეს ანალიზის ჩატარების საშუალება, რომელიც ემყარება საერთო კონცეპტუალურ სქემას, რომელშიც განთავსებულია რელაციური მონაცემთა ბაზა სწარმოთა შესახებ არსებული ყველა ახალი და ძველი მონაცემებით. ეს ნიშნავს, რომ OLAP – მა უნდა წარმოადგინოს თვისი საკუთარი ლოგიკური სქემა, რათა შეასრულოს შესაბამისი გარდაქმნა და მომხმარებელს წარუდგინოს მონაცემები. გარდა ამისა აუცილებელია წინასწარ იმაზე ზრუნვა, თუ სად, როგორ და როგორ სახის ფიზიკური ორგანიზაციის მონაცემები იქნას გამოყენებული. OLAP სისტემაშ უნდა შეასრულოს ისეთი მონაცემების დამუშავება, რომელთა მოთხოვნაც რეალურად არსებობს;

**4. ანგარიშთა დამუშავებისას მუდმივი წარმადობა.** თუ ანალიტიკოსის მიერ ჩატარებული გაზომვათა რაოდენობა ან მონაცემთა ბაზების რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდება, მომხმარებელ ანალიზატორისთვის ეს პროცესი უნდა დარჩეს შეუძნეველი და არ უნდა აისახებოდეს საწარმოო პროცესების წარმადობის შემცირებაზე;

**5. კლიენტ სერვერის – არქიტექტურა.** მონაცემთა დიდი ნაწილი, რომელიც მოითხოვს ოპერატიულ ანალიზურ გადამუშავებას, უნდა მუშაობდეს კლიენტ-სერვერულ რეჟიმში. ამ თვალსაზრისით აუცილებელია, რომ ანალიზური ინსტრუმენტის სერვერული კომპონენტები იყოს „ინტელექტუალური“, რადგან განსხვავებულ

კლიენტებს შეეძლოთ დაუკავშირდნენ სერვერს და გამოიყენონ პროგრამიული პაკეტები. „ინტელექტუალურ“ სერვერს უნდა შეეძლოს მონაცემთა ბაზის შეუთავსებადი ლოგიკური და ფიზიკური სქემის ასახვა და გაერთიანება. ეს უზრუნველყოფს გამჭვირვალეობას და საშუალებას იძლევა აიგოს საერთო კონცეპტუალური, ლოგიკური და ფიზიკური სქემები;

**6. მრავალგანზომილება.** გაზომვის ყოველი მცდელობის დროს გამოყენებული უნდა იყოს მიუკერძოებელი სტრუქტურა და ოპერაციული შესაძლებლობა. დამატებითი ოპერაციული შესაძლებლობა უნდა მიეცეს ერთ-ერთ რომელიმე ცდას და თუ ეს გაზომვა სიმეტრიული იქნება სხვა გაზომვის შედეგების, მაშინ ცალკე აღებული ფუნქცია შეიძლება წარმოვადგინოთ ნებისმიერი გაზომვის სახით;

**7. დინამიკური მართვა გამონთავისუფლებული რეჟიმით. OLAP** – ინსტრუმენტის ფიზიკური სქემა უნდა აღაპტირდებოდეს სპეციფიკურ ანალიტიკურ მოდელთან, რათა ოპტიმალურად მართოს გამონთავისუფლებული მატრიცა. ერთი დაცლილი მატრიცისთვის არსებობს ერთადერთი ოპტიმალური ფიზიკური სქემა. **OLAP** – ინსტრუმენტის ბაზური ფიზიკური მონაცემები პრაქტიკული ოპერაციებისთვის, რომელთაც აქვთ დიდი ანალიზური მოდელი უნდა კონფიგურირდებოდეს ნებისმიერ ქვესამრავლესთან. თუ **OLAP** – ინსტრუმენტს არ შეუძლია გაკონტროლოს და დაარეგულიროს საანალიზებელი მონაცემების მიშვნელობები, ის ჩაითვლება უსარგებლოდ და არასამედოდ;

**8. მრავალმომხმარებლობა.** ხშირ შემთხვევაში მომხმარებელ-ანალიტიკისი დასმულ მოთხოვნებს აუყნებს ერთ ანალიზურ მოდელთან ან ქმნის განსხვავებულ მოდელს ერთი სახის მონაცემებიდან. **OLAP** – ინსტრუმენტი კი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ უსაფრთხო, სრულყოფილი და ზუსტი ანალიზური შედეგები;

**9. შეუზღუდვავი გადამკვეთი ოპერაციები.** მონაცემთა შემოწმების სხვადასხვა დონე და გაერთიანების გზა, მათი იერარქიული ბუნების გათვალისწინებით მჭიდრო კავშირშია **OLAP** - მოდელთან ან დანართთან. თვითონ ინსტრუმენტი უნდა მოიაზრებოდეს შესაბამის გამოთვლებთან და არ უნდა მოსთხოვოს მომხმარებელს თავიდან განსაზღვროს გამოთვლები და ოპერაციები. გამოთვლები მოითხოვს

რომელიმე გამოყენებულ ენაში განსხვავებული ფორმულების განსაზღვრას. ასეთი ენა შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი სიდიდის მონაცემთა მანიპულირებისთვის და არ შეზღუდოს მონაცემები არსებული კუბის უჯრედებს შორის და კონკრეტული უჯრედების საერთო ატრიბუტებზე;

**10. მონაცემთა ინტეიციური მანიპულაცია.** მონაცემთა დეტალიზაციის, გაერთიანების და სხვა მანიპულაციები უნდა იყენებდეს ცალკეულ უჯრედებზე ანალიზური მოდელის შედეგებს და არ უნდა იყენებდეს მომხმარებლის ინტერფეისებს. მომხმარებელ ანალიტიკოსს უნდა ჰქონდეს ყველა აუცილებელი პირობა იმისა, რომ მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია;

**11. ანგარიშების მიღების მოწილი საშუალება.** შეტყობინებათა დამუშავება და პასუხის გაცემა უნდა იყოს მოწილი და ელასტიური. მომხმარებელს უნდა შეეძლოს მონაცემთა კომბინირება და გაანალიზება. მოწილობა მნიშვნელოვნია, რათა ყურადღება გამახვილდეს მონაცემთა განმასხვავებელ ნიშნებზე. თუ რაიმე სირთულე წარმოიქმნება, უნდა შევჩრდეთ ინდივიდუალურ ინფორმაციულ მოთხოვნაზე და შეირჩეს მხოლოდ მომლოდინე მოთხოვნა;

**12. შეუზღუდვი ზომები და აგრეგაციათა რაოდენობა.** გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ აუცილებელი გაზომვა ერთდროულად შეიძლება ჩატარდეს 19-ჯერ. აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ანალიზური ინსტრუმენტი საშუალებას გვაძლევს ერთდროულად ვაწარმოით 15-დან 20-შედე გაზომვა, ამასთან თითოეული გაზომვის მცდელობა არ არის შემოსაზღვრული დადგენილი რიცხვით.

ეს პირობები შეიძლება ჩავთვალოთ, ოპერატორული ანალიზური დამუშავების თეორიულ ბაზისად. როგორც უკვე ავღნიშნეთ **OLAP**-ში ძევს მონაცემთა დამუშავების მრავალგანზომილებიანი სტრუქტურის იღეა. როდესაც ვსაუბრობთ **OLAP**-ზე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს არის მონაცემთა ლოგიკური სტრუქტურის მრავალგანზომილებიანი ანალიზური ინსტრუმენტი.

## 1.6. საბანკო სისტემების კომუნიკაციები და საინფორმაციო ტექნოლოგიები

კომერციულ ბანკში მომუშავე პერსონალისა და მისი კლიენტების თვალსაზრისით ბანკი არის ფინანსური დაწესებულება. ტელეკომუნიკაციების სპეციალისტების თვალსაზრისით კი ბანკი ინფორმაციის შენახვის, დამუშავების და გადაცემის დაწესებულებაა. ბანკში მიმღინარე ფინანსური და ფულადი პროცესები შეიძლება და უნდა იქნას ინტერპრეტირებული, როგორც ინფორმაციის დამუშავების, შენახვის და გადატანის პროცესები (ელექტრონული ფულის კონცეფცია). ეს თანაბრად ეხება როგორც კლიენტის ანგარიშის მდგომარეობის შესახებ მანიპულირებადი ინფორმაციის გამოთვლით პროცესებს, ასევე ბანკის მართვის პროცესებს და მის სხვადასხვა სფეროში გადაწყვეტილების მიღებას. განსაკუთრებით ეს ინტერპრეტაცია თავს იჩენს ბანკების, საქმიანი მსოფლიოს და მთლიანად საზოგადოების გადასვლაში ფულის ბრუნვის ახალ მეთოდებზე, როდესაც საკრედიტო და სადებეტო ბარათებს, ბანკომატებს, კლიენტის ელექტრონულ მომსახურებას და სხვა მსგავს პროცესებს მივყაროთ იმისკენ, რომ ყველა საგადასახადო, გამოთვლით და სხვა ფინანსურ პროცედურას არ დასჭირდება ქაღალდის ფული და დოკუმენტები და შემოიფარგლება ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავებით და გადაცემით. ასეთი პერსპექტივის არსებობის დროს შეუძლებელია კომპიუტერული ინფორმაციული სისტემების და კომპიუტერული ტელეკომუნიკაციების როლის შემცირება საბანკო სისტემაში.

თანამედროვე კომერციულ ბანკებს გააჩნია ფილიალები მთელ მსოფლიოში. ასეთი ბანკის ეფექტური მართვა შესაძლებელია მხოლოდ ყველა განყოფილების მოქმედების შესახებ ოპერატორი ინფორმაციის არსებობისას. ყველა ამ ფაქტორმა გამოიწვია საბანკო სისტემის ავტომატიზაციის აუცილებლობა და საბანკო სისტემებში ინფორმაციული ტექნოლოგიების, ტელეკომუნიკაციების საშუალებების, მონაცემთა ბაზების გამოყენება.

საბანკო ტექნოლოგიების ავტომატიზაციის პროცესების აქტიური განვითარება დაწყო 80-იანი წლების ბოლოს და განსაკუთრებით გამოაჩინა თავი 90-იანი წლების ბოლოს, როდესაც გაჩნდა ბევრი

კომერციული ბანკი. ამ დროს გამოთვლითი ცენტრები, რომლებზეც ხორციელდებოდა საბანკო ინფორმაცის დამუშავება, უკვე ვერ სთავაზობდა ბანკს ყველა სფეროს მომსახურებას, რომელიც საჭირო იყო რუტინული სამუშაოს შესამცირებლად და ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანალიზისთვის და პროგნოზირებისთვის.

კომპიუტერული ტექნიკის და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ საშუალება მისცა ბანკების უმეტესობას შეექმნა საკუთარი გამოთვლითი კომპლექსები, რომელთა ბაზაზე ავტომატიზებული იქნა ბანკის შემოქმედების ძირითადი მიმართულებები.

ბანკის საინფორმაციო და სხვა ტექნოლოგიების ავტომატიზაცია ხელს უწყობს მომსახურების ხარისხის ამაღლებას ავტომატიზებული სამუშაო ადგილების შექმნით ყველა დონის სპეციალისტებისთვის. საბანკო ტექნოლოგიების ავტომატიზაციაში ადგილს პოულობს როგორც მარტივი პროგრამული პროდუქტები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს შევავსოთ რამდენიმე ფორმა, და ასევე საკმაოდ ინტელექტუალური კომპლექსები, რომლებიც წყვეტს ბანკის მართვის ამოცანებს.

მართვის ინფორმაციული სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს შემდეგ პირობებს:

- სისტემაზე უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის უსაფრთხოება და დაცვა;
- სისტემასთან ურთიერთობა არ უნდა იყოს რთული, მისი მომსახურება უნდა იყოს ადგილი;
- სისტემას უნდა ჰქონდეს მომხმარებელთან ურთიერთობის ეწ. მეცნიერული ინტერფეისი.

**ტექნიკური აღჭურვილობა:** მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მოქმედებს საბანკო სისტემის ეფექტურ მუშაობაზე და ფუნქციონალურ შესაძლებლობებზე, არის ტექნიკური საშუალებების შემადგენლობა და არქიტექტურა.

თანამედროვე საბანკო სისტემები აღჭურვილია აპარატურული საშუალებების რიგით, რომელშიც შედის:

- გამოთვლითი ტექნიკის საშუალებები;
- ლოკალური გამოთვლითი ქსელების აპარატურა;
- ტელეკომუნიკაციების და კავშირგაბმულობის საშუალებები;

▪ სხვადასხვა საბანკო მომსახურების სავტომატიზაციო აპარატები.

გამოთვლითი ტექნიკის საშუალებების გამოყენება ძირითადად ორიენტირებულია პერსონალურ კომპიუტერებზე. ინფორმაციული სისტემა იქმნება უფრო მძლავრ ცენტრალურ მინი-მანქანაზე და შედარებით იაფიან ტერმინალებზე. ცენტრალური მანქანად შეიძლება გამოყენებულ იყოს მრავალპროცესორული სისტემა. საბანკო სისტემების ტექნიკური ბაზების თანამედროვე ძირითადი მიმართულება – ლოკალური ქსელების ბაზაზე შექმნილი, განაწილებული სისტემები მაღალმწარმოებლური კომპიუტერით.

არსებულ საბანკო სისტემებში, სადაც სტანდარტულად გამოიყენება მხოლოდ ვინდოუსის პროგრამები (Windows Applications), ბევრ სირთულეებს, პრობლემებს ქმნის. ამ შემთხვევაში საჭიროა პროგრამების დაინსტალირება ყველა მომხმარებლის კომპიუტერზე. ხოლო როდესაც ადგილი აქვს პროგრამის განახლებას ან რაიმე პროგრამულ ცვლილებას, საჭიროა ხდება ცვლილელების შეტანა თითოეულ კომპიუტერზე ცალ-ცალკე. რაც განსაკუთრებით შრომატევადა. გარდა ამისა ეს ძვირადღირებული პროცესია, რადგან ამ შემთხვევაში ორგანიზაციამ უნდა გასწიოს ხარჯი და შეინახოს პროგრამისტთა ჯგუფები სხვადასხვა ფილიალებსა თუ მომსახურე პუნქტებში, რათა მათ განახორციელონ მორიგი ცვლილებების შეტანა, დაინსტალირება, განახლება პროგრამებში. ქსელში მომხმარებლის მომსახურების რეჟიმები უნდა იყოს ორგანიზებული როგორც კლიენტ-სერვერის სისტემა.

ჩვენი აზრით ყველა ამ ზემოხამოთვლილ პრობლემას ადვილად მოაგვარებს ვებ-პროგრამები. ვებ-პროგრამა არის პროგრამა შექმნილი კონკრეტული საჭიროებისათვის, რომელიც გამოიყენება ქსელში. ეს არის ვებ-გვერდი (ან ვებ-გვერდების ერთობლიობა), რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს მიიღოს სასურველი ინფორმაცია, იყიდოს სასურველი ნივთები, მოუსმინოს ინტერნეტ რადიოს და სხვ. რასაც ქსელი გვთავაზობს. ვებ ინტერფეისის გამოიყენებისათვის მომხმარებელმა უნდა იცოდეს URL-მისამართი და, შესაძლებელია, დასჭრიდეს სახელი და პაროლი. სხვა გზა, რომლითაც შეიძლება ვებ-ინტერფეისი წარმოვიდგინოთ, არის ვებ-გვერდი, რომელიც გვთავაზობს ფართო შესაძლებლობებს.

ვებ-გვერდები ძალზე მძლავრი წდება, როდესაც დაკავშირებულია მონაცემთა ბაზასთან. გვერდები წარმოიქმნება დინამიკურად და შეიცავს ყველაზე უახლეს ინფორმაციას, და ამისათვის არ არის საჭირო ვინმე აკეთებდეს ვებ-გვერდის განახლებას (update). გვერდებზე შესაძლებელია იყოს ახალი ამბები, პროდუქტის არსებობის თარიღები, ან ინფორმაცია სასურველი პროდუქტის ტრანსპორტირებაზე, ეს ყველაფერი ხორციელდება ინფორმაციის მიღებით ბაზიდან, როგორც კი სასურველ გვერდებზე მოთხოვნა გაიგზავნება. ვებ გვერდის ბაზასთან დაკავშირება რეალურად გადააქცევს მას მძლავრ ვებ-გვერდად.

**ინტრანეტი:** ორგანიზაციებს შეუძლია გაიყვანოს შიგა-ქსელი ე.წ. ინტარანეტი. ინტრანეტი იცავს ორგანიზაციას თავისი შიგა ფაილებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის წვდომისაგან გარე პირთაოვის. ინტრანეტი ხმირად გამოიყენება ფაილების და მეილების ორგანიზაციის წევრთაოვის ერთობლივი წვდომისათვის, და ამავე დროს, გარე პირთაოვის იგივე ინფორმაციის ბლოკირებისათვის.

ვებ პროგრამა უფრო კარგად გამოიყენება ინტრანეტში ვიდრე ინტერნეტში. ეს ნიშნავს, რომ ის უფრო მისაწვდომია ინდივიდუალურად კატარა ჯგუფისათვის. ვებ პროგრამები ინტერნეტში გამოიყენებისას შეიძლება შეიზღუდოს სპეციალური მომხმარებლებით, და ზოგ შემთხვევებში კი სპეციფიკური IP მისამრთებით.

შიგა ვებ-პროგრამები, რომლებიც შეზღუდულია სპეციფიკური მომხმარებლისა თუ კომპიუტერებისთვის, დიდად გამოსაყენებელია ისეთ ფინანსურ ინსტიტუტებში, როგორიცაა კომერციული ბანკი.

**ATM ტექნოლოგია:** კომერციულ ბანკებში ფართოდ გამოიყენება Asynchronous Transfer Mode ტექნოლოგია. მას საფუძვლად უდევს ასინქრონული გადაცემის რეჟიმი და შეუძლია ნებისმიერი ინფორმაციის (მონაცემები, ვიდეოგამოსახულება და ხმა) გადაცემა. იგი სთავაზობს მომხმარებელს სხვადასხვა მასშტაბისა და აგებულების ქსელის აგებას.

ბანკისათვის, რომელსაც გააჩნია ტერიტორიულად დაშორებული ობიექტები-განყოფილებები და რომლებც გამოიყენებს ერთიდამავე ინფორმაციულ სტრუქტურას, ATM ტექნოლოგია საკმარისად ეფექტურა ქსელის შექმნისათვის საჭირო ხარჯების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით. მისი მთავარი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ


მას შეუძლია გამოიყენოს ერთიანი უნიფიცირებული აპარატურა ყველა ტიპის კომუნიკაციისათვის: ლოკალური და გლობალური ქსელი, სატელეფონო, ვიდეოგამოსახულების გადაცემისათვის განკუთვნილი ქსელი (ვიდეოკონფერენციები, უსაფრთხოების სისტემა).

მაღალმწარმოებლურობის გარანტირებული ხარისხის ხარჯზე აუდიო და ვიდეო ინფორმაციის გადაცემა ATM არხებში შესაძლებელია რეალურ დროში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ვიდეოკონფერენციის დროს. მონაცემები, რომლებიც გადაიცემა ATM ქსელში ვირტუალური არხით ორ კლიენტს შორის, ხელმისაწვდომია მხოლოდ მათვის. უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და კონფიდენციალური ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით ეს ქსელი გაცილებით უფრო დაცულია, ვიდრე საერთო გამოყენების პრინციპებზე აგებული ქსელები (მაგ.: Ethernet ან Fast Ethernet, სადაც ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქსელის სეგმენტის ნებისმიერ წერტილში).

**საბანკო ქსელის მართვის სისტემის არქიტექტურა:** განვიხილოთ საბანკო ქსელის მართვის სიტემა, რომელიც წარმოადგენს პიპრიდულ სისტემას. პირველ რიგში იგი არის სისტემა ინტერაქტიული ინტერფეისით, რომელშიც ინტერაქტიული მოქმედებები წარმოებს სალაროს ტერმინალების და ATM ტექნოლოგიების მეშვეობით, მეორეს მხრივ ეს არის ტრანსაქციების მართვის სიტემა, რადგან იგი უზრუნველყოფს გატარებების შესრულებას.

საბანკო ქსელის მართვის სიტემის არქიტექტურა მოცემულია 1.10 ნახაზზე. იგი შედგება 3 ქვესისტემისაგან: კონსორციუმის ქვესისტემა, ბანკისა და ATM მომსახურეობის ქვესისტემები.

კლიენტის ანგარიშების მონაცემებისა და საბანკო დოკუმენტაციის საცავი მდებარეობს საბანკო ქვესისტემებში, რომლებიც რეალიზდება ბანკის კომპიუტერებში. ვინაიდან მნიშვნელოვანია მონაცემთა ერთობლიობის შენარჩუნება და რამდენიმე გატარების (ტრანსაქციების) პარალელური მომსახურების უზრუნველყოფა, ამიტომაც მონაცემთა საცავი რეალიზდება ამ ბანკების მონაცემთა ბაზის საფუძველზე.



### **ნახ.1.10. საბანკო ქსელის მართვის სიტუაციის არქიტექტურა**

ასინქრონული პარალელურობა წარმოიშობა რამდენიმე დამოუკიდებლად მომუშავე ATM-ის და სალაროს ტერმინალების პარალელური მოშსახურეობის აუცილებლობით.

ყოველ ტერმინალს შეუძლია მოექსახუროს მხოლოდ 1 გატარებას, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია კონსორციუმის ცენტრალურ და ერთ-ერთი ბანკის კომპიუტერებთან.

როგორც ნახაზიდან ჩანს, თითოეული გატარება განაწილებულია სამ მოწყობილობაზე. პროგრამული უზრუნველყოფაც ასევე შედგება სამი ნაწილისაგან. ყოველი მათგანი რეალიზდება ცალკეული კლასის სახით.

## 1.7. მდგომარეობათა და პროცესების მოდელირება პეტრის ქსელებით

კლასიფიკაციის თვალსაზრისით გამოყოფენ დაბალი და მაღალი დონის პეტრის ქსელებს [11]. ძველი კლასიფიკაცია პოზიციებზე, გადასასვლელებსა და რკალებზე იყო ორიენტირებული და განასხვავებდა მათ ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა მარკერთა მაქსიმალური რაოდენობა პოზიციაში, რკალების ჯერადობა და სხვა. ახალ კლასიფიკაციაში ყურადღება უშუალოდ მარკერთა სემანტიკაზეა გამახვიდებული.


კერძოდ, დაბალი დონის პეტრის ქსელებში დაიშვება მხოლოდ „შავი“ მარკერები ყოველგვარი შინაგანი სტრუქტურის გარეშე, ხოლო მაღალი დონის პეტრის ქსელები დამატებით წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურის „ფერად“ მარკერებსაც შეიცავს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინები „შავი“ და „ფერადი“ სიმბოლურია და ლიტერატურაში ისინი ხშირად განსხვავებული სახელებით მოიხსენიება [12].

დაბალი დონის პეტრის ქსელების ქვეკლასებიდან შეიძლება დავასახელოთ ავტომატური პეტრის ქსელები, მარკირებული გრაფები, პეტრის ქსელები თავისუფალი არჩევნით, ელემენტარული სისტემური ქსელები, C/E-ქსელები, უსაფრთხო S/T ქსელები, S/T (კლასიფური) ქსელები და სხვა, ხოლო მაღალი დონის პეტრის ქსელების ყველაზე კარგად გამოკვლეულ და განსაზღვრულ ქვეკლასს სისტემური პეტრის ქსელები წარმოადგენს [13,14]. ჩვენს ნაშრომში მეტწილად გამოვიყენებთ S/T ტიპის კლასიფურ და სისტემურ პეტრის ქსელებს, ამოტომაც აქ მათ მოკლედ დავახასიათებთ.

S/T-ქსელები (State/Transition Nets) კლასიფური პეტრის ქსელების წარმომადგენელია (მდგომარეობა/გადასასვლელების ტიპის). იგი შედგება მსგავსი მარკერებისგან, რომელთა გრაფიკული ფორმა პატარა შავი წრეა პოზიციის ფარგლებში (ნახ.1.11).

S/T-ქსელებში პოზიცია შეიძლება ერთზე მეტ მარკერს შეიცავდეს, ხოლო მარკერების დიდი ოდენობის შემთხვევაში პოზიციიაში მათი რაოდენობა რიცხობრივად ჩაიწერება. გადასასვლელის გაშვების აუცილებელი პირობაა ყველა შემავალ პოზიციაში დამაკავშირებელი რკალის ჯერადობაზე არანაკლები ოდენობის

მარკერების მოგროვება. რკალების ჯერადობა ნატურალური რიცხვით გამოისახება.



ნაზ.1.11. S/T - პეტრის ქსელის ფრაგმენტი

სისტემური პეტრის ქსელები (System Petri Nets) მაღალი დონის პეტრის ქსელის ქვეკლასს წარმოადგენს. მათი სტანდარტული ნოტაციის თანახმად, სისტემური პეტრის ქსელებისთვის განისაზღვრება კონსტანტები, ცვლადები და ფუნქციები, რომელთა ერთობლიობას სისტემური პეტრის ქსელის სტრუქტურა ეწოდება, ხოლო გადასასვლელებისთვის განისაზღვრება გახსნის პირობა, რომელსაც „გადასასვლელის დამცავი ფუნქცია“ ეწოდება [13].

სისტემური  $\Sigma$  პეტრის ქსელის უნივერსუმია  $A$ , რომელშიც თითოეული  $p \in P_{\Sigma}$  პოზიციისთვის აფიქსირებს მდგომარეობათა  $A_p$  სიმრავლეს, რომელსაც  $A$ -ში  $p$ -ს დომენი ეწოდება. მაშინ

1.  $\Sigma$ -ს მდგომარეობა ა თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრავს სიმრავლეს  $a(p) \subseteq A_p$ ;

2. კოქვათ  $t \in T_{\Sigma}$ . ქმედება  $m$  თითოეული მოსაზღვრე  $f = (p, t)$  ან  $f = (t, p)$  რკალისთვის განსაზღვრავს სიმრავლეს  $m(f) \subseteq A_p$ .

ეს ნიშნავს, რომ სისტემური ქსელების პოზიციებში ცვლადის მნიშვნელობათა სიმრავლის მოთავსება შეიძლება, რკალსაც ელემენტარული პეტრის ქსელებისგან განსხვავებით ერთზე მეტი მნიშვნელობის გატარება შეუძლია, რაც მაღალი დონის პეტრის ქსელებს ახასიათებს. სისტემური პეტრის ქსელების შინაარსი სტრუქტურების ცნებაზეა დაფუძნებული. აღნიშნულ საკითხების გამოყენებას დეტალურად ჩვენ მომდევნო თავებში დავუბრუნდებით.

განსაკუთრებით საყურადღებოა პეტრის ქსელების გამოყენება პარალელური პროცესების მქონე რთულ ობიექტებში, რომელშიც პროცესები მიმდინარეობს გარკვეულ მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით. როგორც ცნობილია სისტემების მოდელირებისა და ანალიზის ამოცანების გადასაწყვეტად ფართოდ გამოიყენება ისეთი მექანიზმები, როგორებიცაა მასობრივი მომსახურების და იმიტაციური მოდელირების თეორიები. ამასთანავე შეიძლება აღინიშნოს, რომ მათი გამოყენების ეფექტურობა, გამომსახველობითი და ანალიტიკური მხარეები მკვეთრად განსხვავდებულია და დამოიდებულია, როგორც თვით ინსტრუმენტის შესაძლებლობაზე, ასევე ობიექტის სირთულეზე (პარამეტრების რიცხვზე და სხვა).

სისტემური პეტრის ქსელების ერთ-ერთ კლასიკური მაგალითია ფერადი პეტრის ქსელი (Coloured Petri Net), რომელშიც კარგადაა შერჩევა პეტრის ქსელებისა და დაპროგრამების თეორია (იერარქიულობა, მოდელურობა — დიდი სისტემების მოდელირებისთვის), რაც მის დიდ პრაქტიკულ ღირებულებასაც განაპირობებს თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიათა გამოყენების მრავალ სფეროში, განსაკუთრებით ბიზნესისა და მარკეტინგის მენეჯმენტის ამოცანების გადასაწყვეტად [89,90].

უპირატესობა:

- შეიძლება წარმოიდგენილი იქნას, როგორც გრაფიკული, ასევე ანალიტიკური ფორმით;
- უზრუნველყოფს ავტომატიზებული ანალიზის შესაძლებლობას;
- აქვს საკუთარი მოდელირების ენა (CPN\_ML: [www.smlnj.org](http://www.smlnj.org)), რომელზეც შესაძლებელია ახალი უზრუნველყოფის შექმნა;
- იძლევა სისტემის აღწერის ერთი დეტალიზაციის დონიდან სხვაზე გადასვლის საშუალებას.

ნაკლი:

- ინსტრუმენტის ინტერფეისი რთულია და მოითხოვს მომხმარებლისგან დროს მასში გასარკვევად;
- CPN-ის ძირითად ბირთვს არ აქვს მოდელირებადი სისტემის დროითი მახასიათებლების აგების და გრაფიკული გაფორმების საშუალება, მაგრამ იგი ადგილად იყენებს არსებულ პაკეტებს (მაგალითად, ორ- და სამგანზომილებიან გრაფიკას [91]).

ახლა განვიხილოთ საილუსტრაციო მაგალითი პროდუქციის წარმოების ინფორმაციულ-ტექნოლოგიური პროცესების მოდელირების მიზნით CPN-ის გამოყენებით [92].

წარმოდგენილია პროდუქციის წარმოების ინფორმაციულ-ტექნოლოგიური პროცესების კვლევა სისტემური ანალიზისა და საწარმოს მარკეტინგული უზრუნველყოფის თვალსაზრისით. განიხილება ინტეგრირებული მართვის ავტომატიზებული სისტემის აგების კონცეფცია UML სტანდარტებით და კლიენტ-სერვერ არქიტექტურით. შემოთავაზებულია პროდუქციის წარმოების პროცესის იმიტაციური მოდელის აგების მაგალითი. გამოკვლეულია ამ პროცესის უზრუნველყოფის რესურსების ოპტიმალური რაოდენობა, რომელიც იძლევა მაქსიმალურ მოგებას და განსაზღვრავს დამზადებული პროდუქციის მოცულობას [93].

პროდუქციის წარმოების ობიექტების საწარმოო ინფორმაციულ-ტექნოლოგიური პროცესების გამოკვლევის საფუძველზე, რომელიც ტარდება მათი სისტემური ანალიზისა და ექსპერტ-სპეციალისტთა შეფასებების გათვალისწინებით, დადგინდა, რომ ესაა დაგეგმვა-წარმოება-რეალიზაციის (ანუ მარკეტინგის) ტექნოლოგიური პროცესების ინფორმაციული ასახვის, გადამუშავებისა და მართვის პროცესების ავტომატიზაციის მრავალდონიანი, კომპლექსური სისტემა. მასში რეალიზებულ უნდა იქნას ოპერატორული მართვის, ტექნოლოგიური, დაპროექტებისა და კონსტრუირების, დაგეგმვის, აღრიცხვის, კონტროლის და სხვ. პროცესების ავტომატიზაცია. ასეთი ინტეგრირებული მართვის ავტომატიზებული სისტემის აგება მომზმარებელთა ფუნქციური სამუშაო ადგილების კომპიუტერიზაციით, ანუ კლიენტ-სერვერ არქიტექტურითაა მიზანშეწონილი და მისი პროგრამული უზრუნველყოფა უნდა დაპროექტდეს თანამედროვე ობიექტ-ორიენტირებული სტანდარტების, ანუ UML-ტექნოლოგიის მიხედვით. ცალკეული ბიზნეს-პროცესების გამოსაკვლევად გამოიყენება იმიტაციური მოდელირების მეთოდი [92]. აქ განიხილება პროდუქციის საწარმოო ფირმის ბიზნეს-პროცესების წარმოების ზოგადი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სქემა, ჩაწერილი უნიფიცირებული მოდელირების ქის აქტიურობათა დიაგრამის სახით, რომლის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს:

სამომხმარებლო, საერთო ბაზრის არსებობის პირობებში თითქმის უმართავი ხდება ნებისმიერი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ოპტიმალური გეგმების შედეგისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესები. შეუძლებელია როგორც ამ გეგმების, ასევე დაგეგმვის მექანიზმების უფექტურობის შეფასება. შესაძლებელი უნდა იყოს წარმოების ტექნოლოგიური მომზადების პროცესის სწრაფი მართვა.

მარკეტინგული პროცესების მართვისას აუცილებელია განვიზილოთ წარმოებისა და საბაზრო სისტემების ურთიერთკავშირი, პროდუქციაზე მოთხოვნილებისა და სარეკლამო სამსახურის კუთხითაც.

რეკლამა ხელს უწყობს პროდუქციის კლიენტურის მაქსიმალურად დიდი აუდიტორიის შექმნასა და მიზიდვას. რეკლამის მიზანია საბაზრო გარემოსა და მომხმარებელთა მსყიდველობით ქცევაზე პირველადი ინფორმაციის შეგროვება სპეციალური პროცედურების გატარებით. სპეციალური პროცედურები ესაა რეკლამის ძირითადი სახეობები, მაგალითად, ინფორმაციული, ბეჭდვითი, აუდიო-ვიზუალური, ინტერნეტული, საგამოვჭრო (გამოვჭრა-გაყიდვები), სუვენირული, გარე, შიგა და ა.შ. სარეკლამო პროცესის დაგეგმვაში გასათვალისწინებელია რეკლამის სხვადასხვა სახეობებისა და საშუალებების ოპტიმალური კომბინაციის მოძენა, რეკლამის უფექტურობის შეფასება და რეკლამისთვის ბიუჯეტის განსაზღვრა. რეკლამის სახეობის და რეკლამის სახეობათა კომბინაციის შერჩევისას გასათვალისწინებელია შემდეგ ფაქტორთა კვლევა: მომხმარებელთა აქტივობა, რეკლამის სახეობის ეფექტურობა, გამოყენების პერიოდი, დამზადების პერიოდი და ხარჯი რეკლამის თითოეული სახეობის დამზადებაზე. სარეკლამო ღონისძიებების გატარება, გარდა პროდუქციის მიზიდვისა და გაცნობისა მნიშვნელოვან ასახვას პპოვებს მარკეტინგული საქმიანობის წარმართვაზე, რაც შესაბამისად გავლენას ახდენს პროდუქციის საწარმოო პროცესის დაგეგმვისა და მართვის ასპექტებზე. პრაქტიკულად, რეკლამა საშუალებას იძლევა ჩატარდეს წინასწარი კვლევა მომხმარებელთა პროდუქციის სავარაუდო მსყიდველობით რეაქციაზე.

ამ თვალსაზრისით, სარეკლამო ღონისძიებების ერთ-ერთი ეფექტური სახეობა გამოფენა-გაყიდვა, რაც საკმაოდ სწრაფი

საშუალებაა საბაზრო სიტუაციის შესასწავლად და ახალ საექსპორტო ბაზარზე გასასვლელად პროდუქციის მხოლოდ მინიმალური რაოდენობის ან პროდუქციის მინი-სახეობების დამზადების ხარჯზე. რეკლამის ყველა სხვა სახეობებისგან განსხვავებით გამოფენები შეიძლება მივაკუთვნოდ მარკეტინგული პროცესების საერთო კომპლექსური ღონისძიებების გატარების ნაწილს, სადაც შესაძლებელია ერთდროულად გადაწყდეს მარკეტინგული კვლევის საკმაოდ ფართო დიაპაზონი: მაგალითად, საერთო მარკეტინგული ინფორმაციის შეგროვება (პროდუქციის სხვადასხვა მახასიათებლების კვლევისთვის და გაუმჯობესებისთვის - ფასი, ხარისხი და ა. შ.), გარიგებებისა და გაყიდვების ორგანიზება, პოტენციალური მომხმარებლების წრის გამოვლენა, საქმიანი ურთიერთობების გამყარება, გაყიდვების მოცულობის გაზრდა, კონკურენტუნარიანი საწარმოების კონტროლი და დაკვირვება, დარგის მდგომარეობის შესწავლა, გამოცდილების გაცვლა, თანამშრომლობის განვითარება, საქონელზე და ფასებზე რეაქციის შემოწმება, გასაღების არხებისა და ქსელის განვითარება და ა.შ.

ყველაზე მნიშვნელოვანი და მაქსიმალური შედეგი, რაც შეიძლება მიიღოს კომპანიამ გამოფენა-გაყიდვებიდან ეს არის კონტრაქტები. ამ შემთხვევაში კონტრაქტები შეიძლება ჩაითვალოს ორგანიზაციისთვის პირველადი, რეალური გასაღების არხების წყაროდ და შესაბამისად წარმოების დაგვეგმვის საფუძვლად.

კონტრაქტების არსებობის შემთხვევაში, მარკეტინგული პროცესების წარმოების მრავალმხრივი და რთული სისტემა, დეკომპოზიციის მხრივ შესაძლებელია დავყოთ ხუთ ძირითად განზოგადებულ ეტაპად - ბაზარი (მიზნობრივი კლიენტურის მოთხოვნილებათა განსაზღვრა კონტრაქტების მიხედვით), წარმოების დაგეგმვა (საწარმოო სიმბლავრეების გათვალისწინება ორიენტირებული რეალურ დაგვეთაზე), წარმოება, გაგზავნა და მიწოდება.

ამ შემთხვევაში მარკეტინგული კვლევით კომპანიამ უნდა მიიღოს რეკომენდაციები, ღროვის რა პერიოდში არის შესაძლებელი მიღებული კონტრაქტების შესრულება, რა მატერიალური ხარჯით. მარკეტინგული სამსახურის მიზანია მიღებული კონტრაქტების საფუძველზე, საწარმოო სიმბლავრეების გათვალისწინებით ორგანიზაციის მატერიალური და არამატერიალური რესურსების


ოპტიმალურად გამოყენების (ხარჯების შემცირების, პროდუქციის თვითღირებულების ფასის შესაძლო დაწევა, ახალი პოტენციალების გამოყენება და ა.შ.), მიწოდების ეფექტური გზების მოძებნის (ადგილის, დროის და მიწოდების ხერხების არჩევა) აპექტების კვლევა დროითი ეფექტურობის მიმართებაში.

ამგვარი მოდელის მარკეტინგული კვლევის ისტრუმენტად ეფექტურია პეტრის-ქსელის გამოყენება, რაც შესაძლებლობას იძლევა პროცესების მიზეზ-შედევობრივი და მიმდევრობით-პარალელური შესრულების საფუძველზე გაანალიზებულ იქნას სისტემის მახასიათებლები.

1.12 ნახაზზე მოცემულია ფერადი პეტრის ქსელის ფრაგმენტი საწარმოო ფირმის მარკეტინგული პროცესების გამსხვილებული მოდელირებით [93]. აქ გადასასვლების ბლოკებში ნაჩვენებია, მაგალითად, საბაზო მოთხოვნილებათა განსაზღვრის, კონტრაქტების ფორმირების, წარმოების დაგეგმვის, წარმოების ტექნოლოგიური მომზადების, პროდუქციის წარმოების, დამკვეთებზე გადაცემა-გაგზავნის, შედეგების ანალიზის და ახალი გადაწყვეტილებების მიღების პროცესები.

თითოეული მათგანი უნდა გაიშალოს დამოუკიდებელი პეტრის ქსელით და მოხდეს მათი ანალიზი, ამასთანავე შეიქმნება ერთიანი იერარქიული სისტემა ჩადგმული პეტრის ქვექსელებით. დანიელი მეცნიერ-ინჟინრების მიერ შექმნილი ფერადი პეტრის ქსელების გრაფო- ანალიზური CPN-ინსტრუმენტი იყენებს ობიექტ-ორიენტირებული, კოზუალური დაპრიგრამების პრინციპებს, მისი ენა CPN საშუალებას იძლევა აღიწეროს ქსელის ფერადი კომპონენტები (მარკერები), ცვლადები, კონსტანტები და თვით პოზიციების, გადასასვლელებისა და რეალების ტექსტური აღწერები, რაც ერთგვარ კომფორტს ქმნის ქსელის წასაკითხად და გასაგებად.

1.13 ნახაზზე ნაჩვენებია ამ ინსტრუმენტის ფუნქციების, დახმარების, ოფციებისა და აღწერის (Declarations) ჩვენი ქსელის მაგალითზე. მოვიყვანთ ზოგიერთ განმარტებებს CPN-ის წასაკითხად. ქსელის ყოველ პოზიციას გააჩნია მინიმუმ ორი ჭრები: სახელი, რომელიც აღმნიშვნელი წრის ან ელიფსის შიგნით იწერება და მარტივი ან შედგენილი ტიპი (პოზიციის გვერდით, კურსივით, საკვანძო სიტყვა type, color ან string).



### ნაზ.1.12. მარკეტინგული პროცესის ფრაგმენტი CPN-ის გარემოში

მაგალითად, პოზიცია „კონტრაქტები“ INTxDATA ტიპისაა, რომელიც წინასწარგანსაზღვრული INT და DATA ტიპების დეკარტული ნამრავლით წარმოიქმნება. ფერადი პეტრის ქსელი შეიცავს „ფერად“ მარკერებს, რომელიც კონკრეტული ტიპის შესაძლო მნიშვნელობათა სიმრავლე ან მულტისიმრავლეა.

 CPN Tools (Version 1.4.0 - May 2005)

- ▼ Tool box
  - ▶ Auxiliary
  - ▶ Create
  - ▶ Hierarchy
  - ▶ Net
  - ▶ Simulation
  - ▶ State space
  - ▶ Style
  - ▶ View
- ▶ Help
- ▶ Options
- ▼ Marketing-4.cpn
  - Step: 0
  - Time: 0
  - ▶ History
- ▼ Declarations
  - ▼ colset INT = int timed;
  - ▼ colset DATA = string;
  - ▼ colset INTxDATA = product INT\*DATA timed;
  - ▼ var n, k, w, d, wait: INT;
  - ▼ var p, str: DATA;
  - ▼ val wait\_A=8760;
  - ▼ val stop ="#####";
  - ▼ colset Ten0 = int with 0..12;
  - ▼ colset Ten1 =int with 1..12;
  - ▼ var s: Ten0;
  - ▼ var r: Ten1;
  - ▼ fun OK(s:Ten0, r:Ten1) = (r<=s);
  - ▼ colset NetDelay = int with 25..75;
  - ▼ fun DEL() = NetDelay.ran();
- Marketing

### ნაზ.1.13. CPN-სამუშაო გარემო „კონტრაქტი-2“, 1'(3, „კონტრაქტი-3“), 1'(4, „კონტრაქტი-4“), 1'(5, „#####“) }. აქ ბოლო, მე-5 ელემენტი შეესაბამება დასასრულის იდენტიფიკაციას - stop.

საყურადღებოა „1“-იანი ყოველი ელემენტის დასაწყისში (მას კოეფიციენტი ეწოდება), რომელიც მიუთითებს, რომ პოზიციაშია არაუმეტეს 1 ცალი მოცემული ფერის მონაცემი (ანუ არსებობს მხოლოდ ერთი კონტრაქტი ნომრით „კონტრაქტი-1“, რომლის ფერია

ნახაზზე ნაჩვენებია სისტემაში კონსტანტების (საკვანძო სიტყვა val), ცვლადების (var) და ფუნქციების (fun) აღწერა. სხვადასხვა ტიპის მონაცემთა შორის კავშირების ასახვისთვის გამოიყენება სიმრავლეთა და კომპლექტების თეორიის ელემენტები. გარდა მონაცემთა ტიპისა, ყოველი პოზიციის გვერდით შეიძლება აისახოს მოცემულ მომენტში შემავალი ფერად მარკერები.

საინიციალიზაციო მარკირება ხაზგასმული ტექსტის სახით გამოიტანება. მაგალითად, საწყის მდგომარეობაში პოზიცია „კონტრაქტი“ შეიცავს INTxDATA ტიპის ფერად მარკერთა 5-ელემენტიან სიმრავლეს (საინიციალიზაციო მარკირება):

{1'(1, „კონტრაქტი-1“), 1'(2,

„კონტრაქტი-2“), 1'(3, „კონტრაქტი-3“), 1'(4, „კონტრაქტი-4“),

1'(5, „#####“) }. აქ ბოლო, მე-5 ელემენტი შეესაბამება დასასრულის იდენტიფიკაციას - stop.

- რიგითი ნომერია 1). ამ შემთხვევაში გვაქვს მონაცემთა ელემენტების სიმრავლე.

მეორე მაგალითი, პოზიცია „მზა პროდუქცია“ შედგება 157 ელემენტისგან ( $1+5+3+10+7+100+30+1$ ), რომლებიც 7 სხვადასხვა (მარკერების ფერის) დამზადებული პროდუქტის რაოდენობას, ანუ მულტისიმრავლეს ასახავს.

პროცესების შესრულების დრო (დაყოვნება) აისახება გადასავლელთან სიმბოლოს და დროის ერთეულის (მაგალითად, @+7, @+wait) მითითებით, სადაც wait წინასწარ განსაზღვრული კონსტანტია.

ამავე ნახაზზე ასახულია არადეტერმინირებული ლოგიკური გამოსახულება (პირობის ბლოკი) ფერადი ჰეტრის ქსელის რკალებზე, რომელიც გადასასვლელთა გაშვების სხვადასხვა პირობებს და შედეგებს ასახავს, ანუ ლოგიკური პირობის ჭეშმარიტებისას გადასასვლელს განსხვავებული მნიშვნელობა მიეწოდება (ან გადასასვლელიდან განსხვავებული მნიშვნელობა გამოვა), მცდარობისას - განსხვავებული. მაგალითად, გადასასველს „პროდუქციის პარტიის გადაგზავა“ გამოსასვლელ რკალზე აქვს ლოგიკური პირობა - თუ გამოგზავნილი პროდუქციის ნომერი (n) ემთხვევა კლიენტის კონტრაქტით მისაღებ პროდუქციის ნომერს (k), მაშინ გვაქვს „true“, წინააღმდეგ შემთხვევაში „false“, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭირო პროდუქცია არაა მოსული. თუ ყველაფერი წესრიგშია, მაშინ მიმღები უგზავნის მწარმოებელს შეტყობინებას გადასასვლელით „დასტურის გამოგზავნა“. პროდუქციის და შეტყობინების გადაცემათა ქსელში შემთხვევით პროცესის არსებობა განპირობებულია დაყოვნების ცვლადი დროის გამო, რაც ასახება colset NetDelay=int with 25..75, fun DEL( ) =NetDelay.ran( ) random-ფუნქციით. ლოგიკური პირობის მნიშვნელობა სხვადასხვა შემთხვევებში სხვადასხვანაირად განისაზღვრება. ინტერაქტიულ სიმულატორებში ჭეშმარიტება-მცდარობას თავად მომხმარებელი განსაზღვრავს, ავტომატური სიმულაციისას - შემთხვევით სიდიდეთა გენერატორი.

1.14 ნახაზზე ნაჩვენებია CPN-გარემოში ჰეტრის ქსელის აგებისა და იმიტაციური მოდელირების ვიზუალური კომპონენტები. სიმულაციის მე-3 ღილაკი (მწვნე რგოლით) საშუალებას იძლევა იტერაციულად, ხელით ავამუშავოთ ჩვენთვის საჭირო გადასასვლელი

(აირჩევა რამდენიმე ალტერნატიულიდან). მე-6 ღილაკი იძლევა საბოლოო მარკირების სერათს. 1-ელი ღილაკი – კი აღადგენს საწყის მარკირებას, ექსპერიმენტის თავიდან ჩასატარებლად.




#### ნახ.1.14. პეტრის ქსელის შექმნისა და იმიტაციური მოღვაწეობის ინსტრუმენტები

1.15 ნახაზზე ნაჩენები გვაქვს ჩვენი ქსელის ფრაგმენტი რამდენიმე ბიჯის შემდეგ, სადაც ჩანს მარკერების შეცვლილი მდგომარეობა. თავიდან გაიშვება გადასასვლელი „წარმოების დაგეგმვა“ (იხ. ნახ.1.12), ვინაიდან მის შესასვლელ პოზიციებში „კონტრაქტები“ და „საწარმოო სიმძლავრეები“ მზადაა მარკერები, რომლებიც გადაადგილდება პოზიციებში „საწარმოო გეგმა“ ( $n=1$ ,  $p=\text{Contr\_1}$ ) და „G“ ( $w=1$ ). ეს უკანასკნელი არის სიგნალი იმის შესახებ, რომ 1-ელი კონტრაქტით გათვალისწინებული პროდუქციის საწარმოებლად საჭიროა „წარმოების ტექნოლოგიური მომზადება“, რასაც ასრულებს შესაბამისი გადასასვლელი. ამგვარად, თუ ნედლეულიც შემოსულია (პოზიციაში „ნედლეული“ არის 1 მარკერი), მაშინ გადასასვლელი „წარმოება“ ამუშავდება. პარალელურად ქსელში გაიშვება „პროდუქციის პარტიის გაცემის“ გადასასვლელი და მარკერი გადავა „გაგზავნის“ -პოზიციაში ( $n=1$ ,  $p=\text{Prod\_1}$ ). ტრანსპორტირების გარკვეული დროის შემდეგ (სტოქსტიკური დრო:  $@+\text{DEL}()$ ) პროდუქცია მიაღწევს დამკვეთამდე და ა.შ.

CPN-ის სიმულაციის ინსტრუმენტით შესაძლებელია მარკირებათა მდგომარეობებისა და სტატისტიკური ანალიზის ჩატარება, შესაბამისი დიაგრამების აგებით.

ფერადი პეტრის ქსელებში კარგადაა შერწყმული პეტრის ქსელებისა და დაპროგრამების თეორია (იერარქიულობა, მოღულურობა – დიდი სისტემების მოდელირებისთვის), რაც მის დიდ პრაქტიკულ ღირებულებასაც განაპირობებს თანამედროვე ინფორმაციულ

ტექნოლოგიათა გამოყენების მრავალ სფეროში, განსაკუთრებით ბიზნესისა და მარკეტინგის მენეჯმენტის ამოცანების გადასაწყვეტად.



**ნახ.15.** იმიტაციური მოდელირების შუალედური ეტაპი

## 1.8. დაპროგრამების UML/2 ტექნოლოგია


მაიკროსოფტის უახლესი პროგრამული .NET- პლატფორმა სულ უფრო ფართოდ იყიდებს ფეხს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების საუნივერსიტეტო-სამეცნიერო და საწარმოო ფირმების ბიზნესის სფეროებში. იგი გამოიყენება Windows, Unix, და Linux ოპერაციული სისტემებისათვის. .NET-პლატფორმა შეიქმნა სპეციალურად განაწილებული გამოყენებითი სისტემების ასაგებად დიდი მოცულობის ინფორმაციის დასამუშავებლად კლიენტ-სერვერ არქიტექტურის ბაზაზე [15-20].

პროგრამული აპლიკაციების დაპროექტებისა და რეალიზაციის მეთოდოლოგია UML-ტექნოლოგიას ეყრდნობა. იგი გახდა საერთაშორისო სტანდარტი [2,17].

UML-ტექნოლოგია ობიექტ-ორიენტირებული მოდელირებისა და სტრუქტურული დაპროგრამების იდეოლოგიის მატარებელია, რომელიც თეორიული და პრაქტიკული ინფორმატიკის სამი ძირითადი მიმართულების (დაპროექტების ავტომატიზაცია, დაპროგრამების ავტომატიზაცია, მონაცემთა ბაზების დამუშავების ავტომატიზაცია) „გენეტიკური“ მემკვიდრეა. UML არის პროგრამული მოდულების სპეციფიკაციის, კონსტრუირების, ვიზუალიზებისა და ღოკუმენტირების ენა და აღნიშვნათა სისტემა. 1997 წლიდან Object Management Group-ს (OMG) მიერ იგი გამოცხადდა როგორც პროგრამული სისტემების აგების სტანდარტი.

UML არაა კონკრეტული მეთოდი. იგი არის ბაზა სხვადასხვა მეთოდებისათვის, ვინაიდან მასში შემუშავებულია მოდელირების კონსტრუქციების განსაზღვრული სიმრავლე აღწერის ერთიანი სისტემითა და სემანტიკით. 1.16 ნახაზზე. მოცემულია პროგრამული აპლიკაციების შექმნის 4 ეტაპი.


საკვლევი ობიექტის ავტომატიზაციის მოთხოვნილებების დადგენა, მისი ობიექტ-ორიენტირებული (ოო) ანალიზი, ოო-დაპროექტება (დეტალური დონე) და რეალიზაცია (პროგრამული კოდი). ეს ეტაპები სტატიკური და დინამიკური დიაგრამებით (D) ხორციელდება [20].



ნახ.1.16. UML-ტექნოლოგის ეტაპები

ამგვარად, პროგრამული პაკეტების აგების ტექნოლოგიის სრულყოფის და სტანდარტიზაციის მოთხოვნამ ხელი შეუწყო უნიფიცირებული მოდელირების ენის შექმნას. როგორც ცნობილია, გრადი ბუჩის და მისი კოლეგების მიერ ფირმიდან Rational Rose შემოთვაზებული UML-მეთოდოლოგია (1995/7წ.), რომელსაც საფუძვლად ობიექტ-ორიენტირებულ მიდგომა დაედო, ასევე ოთხეტაპიანია. UML/1 გრაფო-ანალიზური და ვიზუალური კომპონენტების გამოყენებით, სტატიკური და დინამიკური მოდელების 8 სახის დიაგრამის აგების საშუალებას იძლევა კონკრეტული ობიექტისთვის. გამოჩენდა ამ ტექნოლოგიის ინსტრუმენტული საშუალებანიც: Rational\_Rose, Paradigm\_Plus, Ms\_Visio და სხვ., რომელთა გამოყენებითაც დაპროექტების და დაპროგრამების ნაწილობრივი ავტომატიზაციაა შესაძლებელი [95,96].

2005 წლიდან დაფიქსირდა უნიფიცირებული მოდელირების ენის მე-2 თაობის პირველი ვერსია, რომელიც UML/2 სახელით გახდა ცნობილი, ხოლო 2008 წ. (ნახ.1.17). OMG-ჯგუფმა ოფიციალურად გამოაქვეყნა ამ პროდუქტის ბეტა-ვერსია [97].



### ნახ.1.17. UML2-ის განვითარების ამსახველი დიაგრამა


იგი იყენებს 13 სახის დიაგრამას, მათ შორის: ექსი სტრუქტურული და შვიდი ყოფაქცევის დიაგრამაა:

№	სტრუქტურული-დ	№	ფორმაციების-დ
1	კლასთა-დიაგრამა	1	აქტიურობის-დიაგრამა
2	კომპოზიციურ სტრუქტურული-დ.*)	2	გამოყენებით-შემთხვევათა-დ.
3	კომპონენტების-დ.	3	ინტერაქციათა-მიმონილვის-დ.*)
4	განაწილების-დ.	4	კომუნიკაციის-დ.*)
5	ობიექტების-დ.*)	5	მიმღევრობითობის-დ.
6	პაკეტური-დ.*)	6	დროით-ობიექტური-დ.
		7	მდგრადირებათა-დ.

შენიშვნა: \*) –ით აღნიშნულია UML2-ში დამატებული დიაგრამები.

კომპოზიციურ-სტრუქტურული დიაგრამა (Composite structure diagram) სტატიკური დიაგრამაა (ტიპით „მოელი-ნაწილი“), რომელიც

ასახავს კლასების შინაგან სტრუქტურას და კავშირებს მათ ელემენტებს შორის (მაგალითი ნახ.1.18).



ნახ.1.18: მიზანი, ფაქტორები, ბიზნეს-პროგრამები

ობიექტების დიაგრამა (Object diagram) ასახავს კლასის ეგზემპლარებს (ობიექტებს), ატრიბუტების მნიშვნელობებითა და მათ შორის კავშირებით. მოძლევნო თავში ჩვენ დეტალურად განვიხილავთ ამ საკითხს ობიექტ-როლური მოდელების საფუძველზე.


#### პაკეტური დიაგრამა

გარდა ახალი დიაგრამებისა, რომლებიც ობიექტის ყოფაქცევის მოდელში უფრო მდიდარი სემანტიკის ასახვის საშუალებას იძლევა, პირველად შეიქმნა ეწ. „გაცვლითი ფორმატი“, რომლის დანიშნულებაა სხვადასხვა ფირმის UML-ინსტრუმენტებს შორის დიაგრამების გაცვლის შესაძლებლობა. ეს კი უფრო მაღალი საფეხურია პროგრამული პაკეტების სტანდარტიზაციის გზაზე.

## 1.9. .NET პლატფორმა და პროგრამული ინსტრუმენტები

NET-პლატფორმა, რომელიც Visual Studio .NET 200\*-ჟაკეტებითაა გავრცელებული, არის გამოყენებითი პროგრამული დანართების ინტერფეისის (API - Application Programming Interface) სამუშაო გარემო, რომელიც შეთანხმებულად ფუნქციონირებს Windows-ოპერაციულ სისტემასთან [15].

1.17 ნახაზიდან ჩანს, რომ Windows-სისტემა უშუალოდ მუშაობს C++, VB, Java და სხვა ენებზე დაწერილ პროგრამულ API-დანართებთან, რომლებიც რეალიზებულია როგორც უმართავი კოდები (unmanaged code). ამასთანვე იგი მუშაობს C#.NET, C++.NET, VB.NET და ა.შ., ზოგადად .NET-პლატფორმის მიერ მართვად (managed code) პროგრამულ დანართებთან.



ნახ.1.17. Windows და .NET-პლატფორმათა ურთიერთობები

მართვაში იგულისხმება ის, რომ ეს კოდები ამუშავდება უშუალოდ .NET-ის მიერ, იმართება მათი პროცესებისა და მონაცემთა

ნაკადები, მიეწოდება შესასრულებლად საჭირო დამზარე რესურსები და ა.შ. პრინციპში, NET-პლატფორმა ასრულებს „ოპერაციული სისტემის“ გარკვეულ ფუნქციებს და მოქნილად ფუნქციონირებს Windows-თან.

.NET-ის ქვებლოკი Based Class.NET არის ამ პლატფორმის საბაზო კლასების ბიბლიოთეკა (უმრავლესობა დაწერილია C#-ენაზე). იგი სრულად ობიექტ-ორიენტირებულია, შედგება ობიექტთა ერთობლიობისგან, რომელთაგანაც თითოეულში რეალიზებულია განსაზღვრულ მეთოდთა ჯგუფები. მაგალითად, ფანჯრებისა და ფორმების ასახვა (Windows GUI), მონაცემთა ფაილებთან ურთიერთობა (ADO.NET), ვებ-გვერდების ორგანიზება და ინტერნეტთან კავშირი (ASP.NET) და სხვ.

ამავე ბლოკში ნაჩვენებია .NET-runtime - პლატფორმის სამუშაო გარემო (რომელშიც სრულდება პროგრამა), ანუ CLR (Common Language Runtime) და მას შესრულების საერთო გარემოსაც უწოდებენ. ესაა პროგრამული უზრუნველყოფა მომზარებელთა გამოყენებითი პროგრამების შესასრულებლად.

CTS საერთო ტიპების სისტემა (Common Type System), რომლის საფუძველზეც NET-პლატფორმა უზრუნველყოფს დაპროგრამების სხვადასხვა ენის თავსებადობას. ამასთანავე CTS აღწერს მომზარებელთა კლასების განსაზღვრის წესებსაც.

IL შეალედური გარდაქმნის ენა (Intermediate Language). პროგრამები, რომელთა საწყისი კოდები დაწერილია, მაგალითად C#, C++, J++ ან VB ენებზე NET-ში, კომპილატორი ამ მართვად კოდებს გადაიყვანს შეალედურ IL-ენაზე, რომელთაც შემდეგ CTS სწრაფად აკომპილირებს მანქანურ კოდში. ამგვარად, ობიექტური კოდები IL-ენის საშუალებით ისე მიიღება, რომ მათში არაა დაფიქსირებული, თუ რომელ ენაზეა დაწერილი საწყისი კოდი.

CLS ენის საერთო სპეციფიკაცია (Common Language Specification), ანუ იმ სტანდარტების მინიმალური ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს კოდებთან მიმართვას NET-ის ნებისმიერი ენიდან. ამ ენების ყველა კომპილატორს გააჩნია CLS მხარდაჭერა.

JIT (Just-In-Time) ესაა შეალედური კოდის კომპილაციის ფაზა მანქანურ კოდში. სახელწოდება მიუთითებს იმაზე, რომ კოდის

მხოლოდ იმ ცალკეული ნაწილების კომპილაცია ხდება, რომლებიც საჭიროა პროგრამის შესასრულებლად დროის მოცემულ მომენტში.

როგორც აღნიშნეთ, NET-პლატფორმისა და IL-შეაღედური ენის არსებობის კონცეფციის საფუძველია ენის ობიექტ-ორიენტულობა და საერთო ტიპების სისტემის არსებობა, რომელთაც კომპილატორები ფლობს.

C# („სი შარვ“) ენა ობიექტ-ორიენტირებული ენების ერთ-ერთი ახალი და მძლავრი წარმომადგენელია, რომელიც შეიქმნა სპეციალურად NET-პლატფორმისათვის და თავსებადია Windows-ის თანამედროვე ვერსიებთან და ინტერნეტთან. ამ ენაზეა რეალიზებული NET-პლატფორმის უძრავლესი საბაზო კლასები.

როგორც ცნობილია, C++ ენა კომპილირდება ასემბლერულ კოდში, C# ენა კი - შეაღედურ IL-ენაში.

IL-ენის დანიშნულებაა პლატფორმული და ენობრივი დამოუკიდებლობის განხორციელება ობიექტ-ორიენტირებულ გარემოში. Java-ენაც უზრუნველყოფს პლატფორმულ (Windows, Unix, Linux) დამოუკიდებლობას, მაგრამ მისი ბაიტ-კოდის შესრულების ეტაპზე იგი ინტერპრეტირდება (IL-კი კომპილირდება).


NET-პლატფორმისათვის ენობრივი თავსებადობა ხორციელდება IL ენაში არსებული ტიპების დიდი რაოდენობით, რომლებიც ორგანიზებულია ტიპთა იერარქიის ობიექტ-ორიენტირებული პრინციპებით. 1.18 ნახაზზე იღუსტრირებულია ტიპთა ასეთი იერარქია მემკვიდრეობითობის კავშირის გამოყენებით.

მოვიტანოთ ზოგიერთი კომენტარი, რომელიც ახსნის ნახაზს:

- ტიპი არის საბაზო კლასი, რომელიც ზოგადად ასახავს ნებისმიერ ტიპს;

- ტიპი მნიშვნელობით არის საბაზო კლასი, რომელიც ზოგადად ასახავს ნებისმიერ ტიპს მნიშვნელობით;

- ჩაშენებული ტიპები მნიშვნელობით არის სტანდარტული საბაზო ტიპები, რომლებიც აღწერს რიცხვებს, სიმბოლოებსა და ლოგიკურ მნიშვნელობებს;



**ნახ.1.18. ტიპების ზოგადი სისტემა**

- ჩამოთვლით ტიპი არის ჩამონათვალთა ერთობლიობა, რომელშიც თითოეულ მნიშვნელობას შეესაბამება რიცხვითი მნიშვნელობა ( $0,1, \dots$  და ა. შ.) მისი მდებარეობის მიხედვით;

- მომხმარებლის მიერ განსაზღვრული ტიპი არის საწყის კოდში (მომხმარებლის პროგრამაში) აღწერილი ტიპები, რომლებიც ინახება მნიშვნელობებით (ესაა მაგალითად, სტრუქტურები).

- ტიპი მითითებით არის მონაცემთა ნებისმიერი ტიპები, რომელთანაც მიმართვა ხორციელდება მიმთითებლებით და ინახება ნაკადში;

- თვითაღწერადი ტიპები არის ტიპები, რომლებიც ასახავს ინფორმაციას თავიანთ შესახებ;

- თვითაღწერადი ტიპები არის ტიპები, რომლებიც ასახავს ინფორმაციას თავიანთ შესახებ;

- მასივები არის ნებისმიერი ტიპი, რომელიც შეიცავს ობიექტების მასივს;


- ტიპები კლასებით არის თვითაღწერადი ტიპები, რომლებიც არაა მასივები;
- დელეგატები - ტიპებია, რომლებიც დამუშავდა მიმთითებელთა შესანახად კლასის მეთოდებისათვის;
- მნიშვნელობით შეფუთული ტიპები არის ტიპები მნიშვნელობით, რომლებიც დროებით დაიყვანება ტიპებამდე მიმთითებლით, რათა შენახულ იქნას ნაკადში;
- მოშმარებლის მიერ განსაზღვრული ტიპები მითითებით არის ტიპები, განსაზღვრული საწყის კოდში, როგორც ტიპები მითითებით. პროგრამაში ესაა მაგალითად, ნებისმიერი კლასი.

NET პლატფორმის საბაზო კლასების დიდი ნაწილი დაწერილია C# ენის გამოყენებით, ამიტომაც საილუსტრაციო მაგალითებს ამ ენაზე გაუკეთებთ კომენტარს..

.NET პლატფორმის კომპონენტებიდან ერთ-ერთი მთავარი ბლოკია Assembly (ანაწყობი, ნაკრები), რომელიც ლოგიკურად აერთიანებს კოდს, რესურსებს და მეტამონაცემებს. იგი ლოგიკური და არა ფიზიკური ერთეულია, რადგან შეუძლია მოთავსდეს რამდენიმე ფაილში. ასეთ შემთხვევაში არსებობს ერთი მთავარი ფაილი, რომელშიც ინახება ინფორმაცია დანარჩენებზე.

1.19 ნახაზზე ნაჩვენებია პროგრამული დანართის (Application) შესაბამისი ნაკრების ზოგადი იერარქიული სტრუქტურა აგრეგაციის კავშირის გამოყენებით.

ნახაზიდან ჩანს, რომ ნაკრები 1 ან რამდენიმე (1..\*) მოდულისგან (module) შედგება. სწორედ მოდულში ინახება დანართის ან ბიბლიოთეკის კოდი, მისი მეტამონაცემებით. მოდულები შეიცავს ტიპებს. ესაა კოდის შაბლონები (კლასები), რომლებშიც ინკაფსულირებულია გარკვეული მონაცემები და მეთოდები. როგორც წინა პარაგრაფში ვახსენეთ, ტიპები ორი სახისაა: მიმთითებლებით (ანუ კლასები) და მნიშვნელობებით (ანუ სტრუქტურები).



**ნახ.1.19. Assembly (ნაკრები) ზოგადი სტრუქტურა**

ტიპებს აქვთ ველები, თვითსებები და მეთოდები. ველი გამოყოფს მეხსიერების ადგილს შესაბამის მონაცემთა ტიპისათვის. თვითსებები ველების მსგავსია, ოღონდაც მათი დანიშნულებაა შესაბამის მონაცემთა საწყისი მნიძვნელობების განსაზღვრა და კონტროლი.

მეთოდები განსაზღვრავს მონაცემთა დასამუშავებლად კლასის ქცევას, ანუ რეაქციას გარედან შემოსულ შეტყობინებაზე (მოთხოვნაზე). შეტყობინება ინაფორმაციაა, რომელიც ამა თუ იმ მოვლენის შედეგად ფორმირდება.

პროგრამული ნაკრები შეიძლება იყოს ორი ტიპის: კერძო და საერთო გამოყენების. პირველ შემთხვევაში ნაკრები ინსტალირდება კერძო მომხმარებლს კატალოგში და მასთან სხვა მიმართვები გამორიცხულია.

საერთო გამოყენების ნაკრები შეიცავს პროგრამულ ბიბლიოთეკებს, რომელთაც იყენებს სხვადასხვა დანართი. აյ საჭიროა სპეციალური დაცვის მექანიზმების გამოყენება (სახელების კოლიზიისა და ნაკრებთა ვერსიების კონტროლის თვალსაზრისით).

კლასებს შორის სახელთა კოლიზიის აღმოფხვრის მიზნით .NET პლატფორმა იყენებს „სახელთა სივრცეს“.

**სახელსივრცე (namespace):** ესაა მონაცემთა ტიპების უბრალო დაჯგუფება. ყველა მონაცემთა ტიპის სახელს მოცემულ სახელთა სივრცეში ავტომატურად ემატება პრეფიქსი, რომელიც შედგენილია სახელთა სივრცის დასახელებისგან. ასევე შესაძლებელია ჩადგმული სახელთა სივრცეების შექმნა.

მაგალითად, საბაზო კლასების უმრავლესობისათვის, რომლებიც ზოგადი გამოყენებისთვისაა დანიშნული, მოთავსებულია სახელთა სივრცეში System, ვებ-გვერდებისათვის - System.Web და ა.შ.

C#-ის პროგრამის ტექსტის მაგალითზე შეიძლება შემდეგი კომენტარის გაკეთება:

```
namespace Magazia.Web // აյ მითითებულია სახელი Magazia.Web
{
    public class Checkout : PageBase
    {
        // და ა.შ.
```

**დანართთა არეაბი** (application area) არის .NET პლატფორმის მნიშვნელოვანი ელემენტი. მათი დანიშულებაა ერთდროულად და ერთმანეთთან მომუშავე დანართების იზოლაცია, რათა არ მოხდეს მონაცემთა არასასურველი დამუშავება.

პროგრამული დანართების იზოლაციისათვის Windows გამოიყენებს „პროცესის“ ცნებას, რომელიც მისამართების სივრცეს ეხება. ყოველ პროცესს გამოეყოფა 4 გიგაბაიტი ვირტუალური მეხსიერება. ისინი დისკზე სხვადასხვა ფიზიკური მისამართებითაა და არ გადაიკვეთება.

პროცესებს აქვს მნიშებული განსაზღვრული პრივილეგიები და ოპერაციული სისტემა აკონტროლებს მათ, თუ რომელ ოპერაციას რომელი პროცესის გამოიყენება შეუძლია.

დანართთა არეაბის გამოყენების იდეა მდგომარეობს იმაში, რომ პროცესებს შორის მოხერხდეს მონაცემთა გაცვლა. ამიტომაც პროცესი იყოფა რამდენიმე დანართის არეალ. თითოეულ დანართის არეში თავსდება ერთი დანართის კოდი.

.NET პლატფორმის მნიშვნელოვანი საშუალებაა JIT (Just-In-Time) კომპილატორი. იგი ახორციელებს პროგრამული კოდის ცალკეული ნაწილის დროულად კომპილირებას (საჭიროების შემთხვევაში).

Visual Studio.NET არის პროგრამული სისტემების დამუშავების ინტეგრირებული გარემო, რომელშიც შესაძლებელია კოდების დაწერა, კომპილირება და გამართვა VB.NET, C++.NET, C#.NET, ASP.NET, ADO.NET და სხვა ტექნოლოგიებით.

ახლა მოვიტანოთ C++ და C# მარტივი კოდები, რათა დავინახოთ მსგავსება-განსხვავება ამ ენების სინტაქსებს შორის:

a) C++ -ის კოდის ფრაგმენტი:

```
#include <iostream.h> // C++ -----
#include <Windows.h>
int main(int argc, char *argv)
{
    cout << "Hello, my friend ! ";
    MessageBox(NULL, "By-By !", "", MB_OK);
    return 0;
}
```

b) C#-ის კოდის ფრაგმენტი:

```
using System; // C# -----
using System.Windows.Forms;
namespace Console1;
{
    class Class1
    {
        static int Main(string[] args)
        {
            Console.WriteLine("Hello, my friend !");
            MessageBox.Show("By-By !");
            return 0;
        }
    }
}
```

## 1.10. პირველი თავის დასკვნები

1. გაანალიზებულია კორპორაციული მართვის სისტემებში ბიზნეს-პროგრამების დამუშავებისა და შეფასების არსებული მეთოდები, ჩატარებულია მათი კლასიფიკაცია და გამოვლენილია არსებული პრობლემები და ამოცანები;
2. გამოკვეთილია ექპერტულ შეფასებათა გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი სისტემების უპირატესობა მონაცემთა საცავისა და მისი ოპერატორული ონლაინური ანალიზის პროცედურების ბაზაზე;
3. გამოკველულია საბანკო სისტემების თანამედროვე კომუნიკაციები და საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიზნეს-პროგრამების შეფასების თვალსაზრისით;
4. შემოთავაზებულია ასეთი პროცესების მოდელირებისათვის პეტრის ფერადი ქსელების CPN-ინსტრუმენტის, UML/2 ტექნოლოგიის და მისი რეალიზაციისთვის .NET პლატფორმის გამოყენება.

## II თავი პიზნეს-პროგრამების მართვის ხელშემწყობი პროცესურული სისტემის აბების მეთოდებისა და მოდელების შემუშავება

### 2.1. პიზნეს-პროგრამების ექსპერტულ შეფასებათა გადაწყვეტილების მიღების პროცესების მოდელირება UML დაგრამებით

როგორც 1-ელ თავში აღვნიშნეთ, კორპორაციული მართვის ობიექტებზე, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის ფირმებში, მაღალია „გაკოტრების რისკის“ სინდრომი მოულოდნელი, შემთხვევითი მოვლენებიდან გამომდინარე, თუ არასტაბილური, ეკონომიკურ-პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული. ფირმის ხელმძღვანელი, შეძლებისდაგვარად ყოველთვის მზად უნდა იყოს ოპერატორული მანევრირებისათვის, რათა სწორი ტაქტიკური ქმედებებით შეძლოს სტრატეგიული მიზნების მიღწევა [22,53].

ფირმის კრიზისულ სიტუაციაში ყოფნისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს მმართველობითი (მეცნიერული) კონსულტირების ფორმას, რომელსაც ფართოდ იყენებენ საზღვარგარეთის განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებში [1]. გამოცდილი ექსპერტ-კონსულტანტები მეტად ძვირადღირებული სპეციალისტები არიან, რომელთაც გააჩნიათ არა მხოლოდ თეორიული განათლება და პრაქტიკული გამოცდილება, არამედ ინტუიცია და სწორი პროგნოზირების უნარი, რაც მეტად მნიშვნელოვანია კრიტიკულ სიტუაციაში.

ამგვარად, კონსულტანტები და ფირმის გამოცდილი სპეციალისტები, როგორც საპრობლემო სფეროს ექსპერტები, ერთობლივი ძალისხმევით, კონსულტაციებითა და კომპრომისებით ცდილობენ მიიღონ ოპტიმალური გადაწყვეტილებანი ფირმის განვითარების სწორი კორპორაციული გეგმებისა და ტაქტიკურ ღონისძიებათა შესახებ.

დიდი ინფორმაციული ნაკადებისა და მათი დამუშავების მცირე დროის პირობებში (ან არასრული ინფორმაციისას) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას. ჩვენი ნაშრომის მიზანი ექსპერტულ შეფასებათა ავტომატიზებული

დამუშავების პროგრამული პაკეტების შექმნაა, რომელიც ობიექტ-ორიენტირებული მეთოდების საფუძველზე უნდა აიგოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქ უნიფიცირებული მოდელირების ენის (UML-Unified Modeling Language) ტექნოლოგიის გამოყენება [3]. რთული პროგრამული პაკეტების დაპროექტებისა და რეალიზაციის CASE-მეთოდებით შესაძლებელია ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ავტომატიზებული სისტემების დამუშავება, რაც განსაკუთრებით აქტუალური ამოცანაა.

მართვის პროცესისთვის ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ექსპერტულ შეფასებათა მეთოდებით მოპოვებული ინფორმაციები და გადავამუშავოთ ისინი კომპიუტერის გამოყენებით. ეს გადამუშავება კი გულისხმობს სპეციალური პროგრამული პაკეტის ("Expert\_UML") დამუშავებას, ანუ უნდა შეიქმნას კომპიუტერული დიალოგური სისტემა ახალი, UML-ტექნოლოგიის საფუძველზე.

ჩვენს სისტემაში აქტიური მომზარებლები იქნებიან ექსპერტები (საწარმოო ფირმის, კომერციული ბანკის ან სხვ. ხელმძღვანელები და მთავარი სპეციალისტები) და ერთი კონსულტანტი, რომელიც მეთოდურად ხელმძღვანელობს ექსპერტებს და წარმართავს როგორც მათი განსწავლის პროცესს, ასევე ინფორმაციის შეფასებას და გადამუშავებას. უნდა შეიქმნას კონსულტანტის ავტომატიზებული სამუშაო ადგილი. კომპიუტერში ჩაიდება მონაცემთა ბაზა ფირმის ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების წინადაღებების ამსახველი, შეიქმნება პროგრამები, რომლებიც შეაჯერებენ ექსპერტულ შეფასებათა შედეგებს და გამოიმუშავებენ კოლექტიურ გადაწყვეტილებებს. მოხდება ამ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების ღონისძიებების შემუშავება და მათი დანახარჯების ანალიზი.

ამგვარად, ფირმის ხელმძღვანელობა და მთავარი სპეციალისტები თვითონ არიან ექსპერტები, თვითონ ეხმარებიან კონსულტანტს საბოლოო გადაწყვეტილებების მოძებნაში. კონსულტანტს აქვს მეთოდიკა, თუ როგორ წარმართავს მუშაობას ექსპერტებთან. ეს მეთოდიკა გულისხმობს ობიექტის კვლევისათვის სისტემური მოდელისა და ექსპერტულ შეფასებათა მეთოდების გამოყენებას.

ექსპერტულ შეფასებათა ავტომატიზებული დამუშავების სისტემის ძირითადი მიზანია საწარმოო ფირმებისა ან ორგანიზაციების

სტრატეგიული განვითარების გეგმების (კორპორაციული დაგეგმვა) შედეგნის პროცესის ავტომატიზაცია.

ექსპერტულ შეფასებათა სხვადასხვა მეთოდი და ხერხი არსებობს. დღეისათვის ცნობილია მაგალითად, „გონებრივი შეტევის“ მეთოდი, რომელიც ემყარება ახალი იდეის ჩამოყალიბებას (რაღაც საკითხის გადასაწყვეტად) ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე. „ჯგუფური მეთოდები“ განსხვავდება მათი გამოყენების ხერხების მიხედვით, მაგალითად, „შეფასებათა შეთანხმების მეთოდი“, რომელიც ინდივიდუალურ მიღომას ეყრდნობა: ყოველი ექსპერტი იძლევა საკუთარ შეფასებას (სხვისგან დამოუკიდებლად), ხოლო შემდეგ რომელიმე ხერხის მიხედვით ეს შეფასებები ერთიანდება ერთ განზოგადებულში ანუ „შეთანხმებულში“. „ჯგუფურ მეთოდს“ მიეკუთვნება ექსპერტების „ერთობლივი მუშაობის“ ხერხი, რომლის საფუძველზე მიიღება ჯგუფური შეფასება მთლიანი ჯგუფის მიერ. მესამე ხერხს ჯგუფურ მეთოდში წარმოადგენს ეწ. „დელფის“ მეთოდი – ესაა ინდივიდუალურ შეფასებათა შედეგების თანმიმდევრობითი გაცნობა თითოეული ექსპერტის მიერ [21].

მეცნიერმა-პროგნოზისტებმა განსახილველ აზრთა კოლექტური განსჯისა და შეთანხმების ხერხის საფუძველზე შექმნეს თანამედროვე ინსტრუმენტი – „დელფის“ მეთოდი, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრისტეპლივების შეფასებისათვის.

„დელფის“ მეთოდის ძირითადი პრიციპები მდგომარეობს ექსპერტების ანონიმურ გამოკითხვაში მათი ურთიერთზეგავლენის მოხდების გამორცხვის მიზნით. უკუკავშირი ექსპერტების ჯგუფის მართვის პროცესის განსახორციელებლად წარმოქმნას მათი შეფასებების გადამუშავების შედეგად მიღებული ინფორმაციის ერთად განხილვის საშუალებით. პროცესს უნდა წარმართავდეს კონსულტანტ-ანალიტიკოსი. ამ მეთოდის მიზანს არ შეადგენს ექსპერტთა შეხედულების სრული დამთხვევა. მომდევნო ეტაპის გამოკითხვის შედეგების ანალიზი უჩვენებს მათი შეხედულებების დაახლოებაზე, მაგრამ, არა სრულ დამთხვევაზე, გამოკითხვა რამდენიმე ტურად მიმდინარეობს.

როგორც დავინახეთ „დელფის“ მეთოდი შედგება: გამოკითხვის-შედეგების ანალიზის – დისკუსიის-გამოკითხვის – . . . და ა.შ. ციკლებისაგან. იმისათვის, რომ შეფასდეს კოლექტური აზრის

მაჩვენებელი, საჭიროა დადგინდეს მათემატიკური (სტატისტიკურ-ალბათური) მეთოდების საფუძველზე მათი მნიშვნელობები. მაგალითად, თუ მოცემულია დაჯგუფებული ექსპერტული შეფასებები  $x_1, x_2, \dots, x_n$ , მაშინ უმარტივესი ხერხი განზოგადებული შეფასებებისა, როგორც ცნობილია მდგომარეობს მათი არითმეტიკული საშუალოს მოძებნაში:

$$\bar{x} = \frac{\sum_{i=1}^n x_i}{n}$$

ხშირად ყოველ ექსპერტულ შეფასებას მიწოდება განსაზღვრული წონა ( $v_i$ ), მათი მნიშვნელობის მიხედვით. ასეთ დროს შესაძლებელია გავიანგარიშოთ შეწონილი საშუალო არითმეტიკული:

$$\bar{x} = \frac{\sum_{i=1}^n x_i v_i}{\sum_{i=1}^n v_i}$$

თუ ექსპერტული შეფასებები წინასწარ დაჯგუფებულია (მოწესრიგებულია) რიგში, რომელსაც აქვს  $M$  ინტერვალი, მაშინ გამოსათვლელად იყენებენ ფორმულას:

$$\bar{x} = \frac{\sum_{i=1}^n x_i f_i}{n}$$

სადაც  $M$  არის ინტერვალების რაოდენობა;  $f_i$ -შეფასებათა რაოდენობა  $i$ -ურ ინტერვალში. ხშირ შემთხვევაში, ექსპერტთა შეფასებებში ადგილი აქვს „ძალიან დიდ“ ან „ძალიან მცირე“ მნიშვნელობებს, რომლებიც გავლენას ახდენს საშუალო არითმეტიკულზე და, ეს უკანასკნელი, უკვე აღარ შეიძლება ჩაითვალოს იმ შედარებით ზუსტ მონაცემად, რომელიც სასურველი იყო მისაღებად. ასეთ დროს იყენებენ მედიანის განსაზღვრის მექანიზმს. მედიანა წარმოადგენს მოწესრიგებულ (ზრდადობით ან კლებადობით) შეფასებებში შუაში შეფასების მნიშვნელობას. თუ შეფასებათა რიცხვი კენტია, მაგალითად,  $2*n + 1$ , მაშინ  $(n+1)$ -ე წევრის მნიშვნელობა იქნება მედიანა; თუ შეფასებათა რიცხვი ლურთია  $2*n$ , მაშინ მედიანად მიიღება  $n$  და  $n+1$  წევრების მნიშვნელობათა საშუალო არითმეტიკული.


ექსპერტულ შეფასებათა ანალიზის დროს იყენებენ საშუალო შეფასებების ირგვლივ შეფასებათა მნიშვნელობების ვარიაციას. რაც

ნაკლებია შეფასებების გაბრევა საშუალოდან, მით უფრო ზუსტად ასახავს ეს საშუალო შეფასება ჯგუფურ აზრს.

გაბნევის ამპლიტუდა გამოითვლება შეფასებათა მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობების სხვაობით.

$$R = x_{\max} - x_{\min}$$

ხშირად შეფასებათა მოსაწესრიგებლად სიმკრივისათვის გაითვლიან კვარტილებს ( $Q_1, Q_2, Q_3$  და ა.შ. ნახ. 2.1):



### ნახ. 2.1. ექსპერტულ შეფასებათა კვარტილების ღერძი


მაგალითად, ოუ გვაქვს 7 ექსპერტული შეფასება, ისინი უნდა დალაგდეს მონოტონურად. შემდეგ საჭიროა ვიპოვოთ მედიანა (M). ჩვენს შემთხვევაში მედიანა ემთხვევა  $x_4$  შეფასებას. ახლა განვისაზღვროთ ქვედა და ზედა კვარტილები ( $Q_1, Q_2$ ). მედიანა და კვარტილები ქმნის ოთხ ინტერვალს:  $< Q_1, Q_1M, MQ_2$  და  $Q_2 >$  ამათგან  $Q_1M$  და  $MQ_2$  ჩაითვლება მისაღებად, როგორც კოლექტიური აზრის თანმთხვევი. ექსპერტებმა, რომელთა შეფასებები არ მოთავსდა ( $Q_1, Q_2$ ) დიაპაზონში, უნდა დაასაბუთონ მიზეზები მათი აზრების კოლექტივისაგან განსაკუთრებული განსხვავებისა. ამ დასაბუთებებს და დასკვნებს (მათი ავტორების ვინაობის გაუმშელად) გააცნობენ დანარჩენ ექსპერტებს.

„დელფის“ მეთოდი საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას ჯგუფური აზრის შედარებით საიმედო შეფასებები, ვიდრე უბრალოდ, მათ შეფასებათა გასაშუალების დროს. ნაკლად თვლება ის ფაქტი, რომ მოლიანად ვერ აღმოიფხვრება ექსპერტთა ურთიერთზეგავლენა.

გარდა ზემოგანხილულისა, ცნობილია აგრეთვე სხვა ექსპერტული მეთოდებიც, როგორიცაა მაგალითად, დელფისა და ქსელური გრაფიკის განზოგადოებისა და პერსპექტიული დაგეგმვის სელექციური მეთოდი, რომელსაც საფუძვლად უმევს მიზნობრივი მიღვომა. აღნიშნული მეთოდის მსგავსია აგრეთვე პროგნოზირების ე.წ. „შეწონილ შეფასებათა“ მეთოდი, რომელიც იყენებს ასევე მიზნის სეს და მატრიცებს. ცნობილია აგრეთვე პატერნ-მეთოდი, რომელიც


ანალოგიურია მიზნობრივი სტრუქტურის გრაფის გამოყენებისა ა.შ. [21].

აღწერილი მეთოდების ალგორითმიზაცია და პროგრამული რეალიზაცია UML-ტექნოლოგიით ხორციელდება. მის პირველ ეტაპზე ჩვენ განვსაზღვრეთ ბიზნეს-პროცესების შინაარსს (Actions) და მათ შემსრულებლებს (Actors). ასეთი დიაგრამის ფრაგმენტი (Use Case Diagram) 2.2 ნახაზზეა მოცემული.



ნახ.2.2. ექსპერტულ შეფასებათა პროცესის Use Case დიაგრამა

აქ თვითონეული პრეცედენტი (ოვალი) შეიძლება გაიშალოს დეტალურ დონეზე რამდენიმე ფუნქციის სახით. მაგალითად, 2.3 ნახაზზე ნაჩვენებია „პრობლემის ანალიზის“ შემთხვევა, სადაც ექსპერტ-კონსულტანტის როლების ტანდემისთვის მოცემულია შესასრულებელ ფუნქციათა ერთობლიობა.




**ნახ.2.3. „პრობლემის ანალიზის“ დეტალიზაციის დონე**


ნახაზზე მოცემულ დიაგრამასთან ერთად საჭიროა განისაზღვროს თითოეული გამოყენებითი შემთხვევის მოვლენები (Events) და სცენარები. მაგალითად, „პრობლემის ანალიზი“ გამოყენებითი შემთხვევის ძირითად მოვლენათა ნაკადი შეიძლება იყოს შემდეგი:

1. კონსულტანტი გახსნის ექსპერტთა მონაცემთა ბაზას და მათ ცხრილ-ფორმებს, დააფიქსირებს ექსპერტების საიდენტიფიკაციო ნომრებს;
2. ექსპერტები თავიანთი ინდივიდუალური პაროლებით გახსნიან სამუშაო ცხრილებს და დააფიქსირებენ თავიანთ შეფასებებს;
3. სისტემა გააერთიანებს ყველა ექსპერტის მონაცემებს ერთ საერთო ცხრილ-ბაზაში;
4. სისტემა ჩაატარებს მონაცემების ანალიტიკურ-სტატისტიკურ დამუშავებას;
5. სისტემა დააფიქსირებს რადიკალურად მოაზროვნე ექსპერტებს ანუ „ექსტრემისტებს“;
6. კონსულტანტი შეადგენს მოქმედების გეგმას;

7. სისტემა ამზადებს პრინტერზე ექსპერტთა მომდევნო ეტაპზე მუშაობის ცხრილებს;
8. განმეორებითი დისკუსიის შემდეგ ექსპერტები აფიქსირებენ ცხრილებში თავიანთ შეფასებებს;
9. კონსულტანტი ყველაფერს ინახავს მონაცემთა ბაზაში;
10. სისტემა განაახლებს ანალიზის შედეგებს;
11. კონსულტანტი სისტემის ანალიზური შედეგების საფუძველზე გადაწყვეტს დაბრუნდეს მე-5 მოვლენაზე თუ გადავიდეს ექსპერტულ შეფასებათა შემდეგ ეტაპზე;
12. სისტემა ანგარიშობს ექსპერტთა შეფასებების საშუალო მნიშვნელობებს;
13. კონსულტანტი აგებს საერთო (გასაშუალებული) შეხედულებათა მიზნის სტრუქტურულ გრაფს;
14. სისტემა ქმნის მიზნის სტრუქტურული გრაფის შესაბამის მატრიცას;
15. სისტემა ანგარიშობს „პატერნის“ მეთოდით ღონისძიებათა დომინირებადობას მიზანზე;
16. კონსულტანტს შეაქვს თითოეულ ღონისძიების შესრულების ფასები;
17. სისტემა ამ ფასების გათვალისწინებით მოაწესრიგებს ღონისძიებებს;
18. სისტემა ბეჭდავს საბოლოო შედეგებს;
19. კონსულტანტი ამზადებს დასკვნით ანგარიშს;
20. კონსულტანტი და ექსპერტები დასკრინით შეხვედრაზე განიხილავენ საბოლოო შედეგებს;
21. დასკრინით დოკუმენტს მოეწერება ხელი ექსპერტების მიერ. გამოყენებით შემთხვევათა დააგრამების აგების შემდეგ განიხილება ბიზნეს-პროგრამების ექსპერტულ შეფასებათა მსარდამჭერი კომპიუტერული სისტემის აგების ტექნოლოგიური პროცესის „AD4Expert“ აქტიურობათა დააგრამა. ივი აგებულია Visual Studio.NET გარემოში, Ms Visio პაკეტით (ნახ.2.4).




**ნაზ.2.4. ექსპერტულ შეფასებათა მხარდამჭერი სისტემის აგების ტექნილოგირი პროცესის აქტიურობის დიაგრამა**




#### **ნაჩ.2.4-ის გაგრძელება**

სისტემის კლასთა ობიექტებს შორის ურთიერთმოქმედების (Interaction) დიაგრამა. ამ მიზნით აიგება ორი სახის დიაგრამები: მიმღევრობითობის (Sequence) და თანამოქმედების (Collaboration). მათ საფუძველზე ხორციელდება ობიექტებს შორის შეტყობინებების გაცვლა დროის მიხედვით და შესაბამისი მეთოდების ამუშავება ინფორმაციული ნაკადების დასამუშავებლად და გადასაცემად [4]. 2.5 და 2.6 ნახატებზე ნაჩვენებია თანამოქმედებისა და მიმღევრობითობის დიაგრამათა ფრაგმენტები.



**ნახ.2.5. თანამოქმედების დიაგრამის ფრაგმენტი**  
 █ კლასი , → შეტყობინება

ჩვენი ამოცანის გადასაწყვეტად, ანუ UML-დიაგრამების ასაგებად გამოვიყენეთ მაიკროსოფტის ფირმის პროგრამული პაკეტი Ms Visio, რომელზეც დაგაპროექტეთ აგრეთვე მონაცემთა ბაზის ობიექტური მოდელი და მისი შესაბამისი ლოგიკური სტრუქტურა. აღნიშნული პროცედურები იყენებს კომპონენტურ-ვიზუალურ ელემენტებს, რაც საშუალებს იძლევა ავტომატიზებულ რეჟიმში სწრაფად ავაგოთ სისტემის პროგრამული რეალიზაციის კოდი [15].



#### **ნაზ.2.6. მიმდევრობითობის დიაგრამის ფრაგმენტი**

## 2.2. მონაცემთა ბაზაში ექსპერტთა ცოდნის ასახვის ობიექტ-როლური მოდელების შემუშავება კატეგორიალური მიღვომით

მოცემულ პარაგრაფში განიხილება განაწილებული ორგანიზაციული მართვის სისტემების უნიფიცირებული ბიზნეს-პროცესების (საქმის-წარმოების) დაპროექტებისა და პროგრამული რეალიზაციის საკითხები, თანამედროვე ობიექტ-ორიენტირებული მოდელირების მეთოდებისა და კლიენტ-სერვერული არქიტექტურის ბაზაზე [39, 74-77]. ძირითადად ყურადღება გამახვილებულია შემდეგი საკითხების გადაწყვეტაზე:

- ბიზნეს-ობიექტის სტრუქტურის განსაზღვრა და მისი ფუნქციონირების წესების აღწერა არაფორმალიზებული მეთოდებით (ბუნებრივი სალაპარაკო ენის საშუალებით);
- ობიექტ-როლური მოდელების (ORM) ერთობლიობის განსაზღვრა ფორმალური გრამატიკის აპარატისა და ლოგოგურ-ალგებრული მეთოდების საფუძვლზე [23];
- კონცეპტუალური მოდელის აგება კატეგორიალური მიღვომისა და ობიექტ-ორიენტირებული კლასთაშორისი დაგრამების გამოყენებით [25];

- განაწილებული ბიზნეს-ობიექტების მონაცემთა ბაზის სტრუქტურის ფინიკური რეალიზაცია კლიენტ-სერვერული არქიტექტურით და მომხმარებელთა ინტერფეისების დამუშავება;

აქ დასმული და გამოკვლეულია განაწილებული ბიზნეს-ობიექტების მონაცემთა ბაზების ავტომატიზებული დაპროექტების პროცესების ობიექტ-ორიენტირებული მოდელირებისა და ობიექტ-ორიენტირებული დაპროექტების დამუშავების ამოცანა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ინფორმაციული და პროგრამული უზრუნველყოფების შექმნის დროს და ამასათანავე, ორიენტირებულია გამოყენებითი სფეროს მომხმარებელზე.

ცოდნა, რომელიც აქვს საპრობლემო სფეროს მომხმარებელს, სპეციალური ინტერფეისების საშუალებით, რომელთა საფუძველია ფორმალურ გრამატიკათა აპარატის კატეგორიები და ლოგიგურ-ალგებრული მეთოდები, გადაეცემა ობიექტურ-როლური მოდელირების კომპიუტერულ პროგრამას. ამ ინსტრუმენტის დახმარებით აიგება მისი

სემანტიკური სტრუქტურა ORM-დაგრამების სახით. მომდევნო ეტაპზე, ავტომატიზებული პროცედურების გამოყენებით ფორმირდება საპროცედურო სურვის კონცეპტუალური მოდელი, ანუ ER-დაგრამები, შესაბამისი ცხრილებითა და ატრიბუტებით.

ახლა განვიხილოთ ობიექტ-ორიენტირებული ER-სქემის აგების მაგალითი კატეგორიალური მიღვომის გამოყენებით მონაცემთა ბაზებში [25,26].

კატეგორიები რომლებსაც აქ ვიზილავთ, არის ლოგიკური გრამატიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც, როგორც ზოგადი ენის საძირკველი, ბევრად მდიდარია, ვიდრე ტრადიციული პრედიკატების ლოგიკა და რომელიც ცხადია დამოუკიდებელი უნდა იყოს ბუნებრივი ენის ებბირიული გრამატიკისგან. პრედიკატების ლოგიკა არის ლოგიკური გრამატიკა დანართების შინაარსის ასაგებად, მაგრამ ძალზე ღარიბია და ნაკლებად განვითარებული - იგი არ ფლობს სინტაქსურ კატეგორიებს, რათა განასხვავოს ერთმანეთისგან მთავარი და არამთავარი პრედიკატები.

სალაპარაკო ენის წინადადება „პოპული არის კომერციული ფირმა“ პრედიკატების ენაზე ჩაიწერება ასე:

**პოპული ე ფირმა ^ პოპული ი კომერციული**

ე-აღნიშვნა პრედიკატების ლოგიკაშიც და ზოგად ლოგიკურ ენაშიც არის კოპულა (კავშრი), ანუ დამხმარე საშუალება ენაში ასახვისათვის, რათა პრედიკატი (შემასმენელი) შეუსაბამოს არსს (საგანს, ობიექტს).

პრედიკატიზაცია არის ასიმეტრიული. კოპულას (e) მარცხნივ ზის საკუთარი სახელი (პოპული) ან მახასიათებელი (აღნიშვნა). მარჯვნივ ზის პრედიკატორი (არსის დასახელება - განსხვავებული გამოსახულება).

საკუთარი სახელები და მახასიათებლები არის ნომინატორები.

ამგვარად, კატეგორია შეიძლება ჩავწეროთ სამეულით:

**Cat = < Nom, P, K >, სადაც**

**Nom - ნომინატორებია,**

**P - პრედიკატორები და**

**K - კოპულაა.**

განსხვავება მთავარ და დამხმარე პრედიკატორებს შორის პრედიკატულ ლოგიკაში წაშლილია, ვინაიდან პრედიკატულ-

ლოგიკური გამოსახულება შეიძლება გულისხმობდეს წინადადებას „პოპული არის ფირმული კომერცია“.

„პოპული ე (კომერციული) (ფირმა)“, სადაც კომერციული - დამხმარე და პოპული - მთავარი პრედიკატორია.

ელემენტარულ წინადადებაში (მარტივ გამონათქვამში) შეიძლება იყოს ერთი მთავარი და რამდენიმე დამხმარე პრედიკატორი, აქ ლოგიკური კავშირი არაა.

სინტაკსური კატეგორიები, არსებისა (ობიექტების) და მოქმედებებისგან (ოპერაციების) განსხვავებით პრედიკატულ ლოგიკას არ გააჩნია.

გამონათქვამიდან: „პოპული ყიდის“ გვექნება „პოპული ე გამყიდველი“, ან დამხმარე პრედიკატორით: „პოპული ყიდის სწრაფად“ ვლებულობთ:

„პოპული ე სწრაფი ^ პოპული ე გამყიდველი“.

აქტიური კომპონენტები უნდა განვასხვავოთ სუფთა ობიექტებისაგან (არსებისგან). გამოსახულებაში:

„პოპული π გაყიდვა“ ან

„პოპული π (სწრაფი)(გამყიდველი)“

მოქმედების კოპულით π (კეთება). ნაჩენებია, რომ მთავარი პრედიკატორის სახით გამოდის მოქმედების პრედიკატორი და არა ობიექტის პრედიკატორი.

ლოგიკურ გრამატიკაში, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, არსებობს π-კოპულას შემდეგ ასევე მხოლოდ ერთი მოქმედების პრედიკატორი, ვინაიდან რამდენიმე მოქმედება ერთდროულად ელემენტარულად ვერ შესრულდება.

როგორი წინადადება, მაგალითად, რამდენიმე მოქმედების პრედიკატორით π-ს შემდეგ, მიიღება მარტივი წინადაებების ლოგიკური ნაწილაკით შეერთებით.

პრედიკატული ლოგიკა უნდა განვიხილოთ, როგორც ლოგიკური გრამატიკის გაფართოება. მაგალითად, წინადადება:

„ვაჭარაძე იღებს პროდუქტს საწყობიდან“.

პროდუქტი - პირდაპირი ობიექტია, რომელზეც მიუთითებს მოქმედების პრედიკატორი „იღებს“. პირდაპირ ობიექტს შეიძლება მოჰყვეს ირიბი ობიექტი, მაგალითად, საწყობი, რომელიც ადგილის გარემოებაა. იგი აღნიშვნა ანუ მახასიათებელია, რომლისთვისაც

შეიძლება ჩაისვას საკუთარი სახელი (მაგალითად, **შზიური**). დაიწერება „**შზიური = i საწყობი**“, სადაც = არის განსაზღვრების ნიშანი, ხოლო **Jota (i)** არის მახასიათებლის ნიშანი.

ელემენტარული წინადადება ჩაიწერება ასე:

გაჭარაძე	$\pi$	(აღება)	(პროფუქტი)	(i საწყობი)
[ნომინატორი]		[მოქმედების პრედიკატორი]	[ობიექტის პრედიკატორი]	[მახასიათებელი]

აქმდე განხილულ კატეგორიებს: ნომინატორი – პრედიკატორი; მთავარი პრედიკატორი – დამსხმარე პრედიკატორი; ობიექტის პრედიკატორი – მოქმედების პრედიკატორი; არის კოპულა ( $\varepsilon$ ) – კეთების კოპულა ( $\pi$ ), ლოგიკურ გრამატიკაში ემატება სხვა მნიშვნელოვანი კატეგორიები, რათა შესაძლებელი იყოს კონცეპტუალური სქემის მეთოდურად აგება. ასეთი კატეგორიებს მიეკუთვნება უპირველეს ყოვლისა მსჯელობა ლოგიკური ენის დონებზე, ანუ დიფერენცირება კონკრეტულ და აბსტრაქტულ დონეებზე და მათ ობიექტებზე (ტიპების ლოგიკა). შემოიტანება აგრეთვე კატეგორია „მთელი-ნაწილი“.


სქემების აუგისას დრო (ან დროის პუნქტი) არის ჩვეულებრივი პრედიკატორი, რომელიც „მანამ“, „შემდეგ“ და ა.შ. მიეთითება ორადგილიან პრედიკატორში „x, y ε before“ ან „x, y ε after“.

ამგვარად, შემოიტანება კიდევ შემდეგი კატეგორიები: აბსტრაქცია – კონკრეტიზაციის: (ენის სხვადასხვა დონეზე მისაღწევად); კომპოზიცია – დეკომპოზიციის: „მთელი - ნაწილი“; ობიექტების ენა – მეტაენა: ობიექტების ენა ერთი ენაა (I დონე, მაგ., ინგლისური) რომლის შესახებაც საუბრობენ მეტაენაზე (II დონე, მაგ., ქართული); სქემის დრო - მიმართვის (ათვლის) დრო.

სქემის დროსთვის იყენებენ ტერმინს „ინტენსიონალი“ (შინაარსი) და მიმართვის დროსთვის „ექსტენსიონალი“ (მოცულობა).

„ობიექტი“ არის ყველაზე მეტად განზოგადებული პრედიკატორი და არ გამოდგება განსხვავებულობის შესაძლებლად. ესაა ერთი მთავარი სახელის ქვეშ მოქცეული მნიშვნელობები. მიღებულია ობიექტის სინონიმად „არსი“-ს გამოყენება (thing – entity).

ამგვარად, ობიექტი ხასიათდება არსით და მოქმედებით (ქცევით – action).



დღეისათვის „მოქმედების“ (action) ნაცვლად იყენებენ ტერმინს მოვლენა (event). განმეორებად მოვლენათა ერთობლიობას უწოდებენ პროცესს (process).

ტერმინი „პროცედურა“, „მეთოდი“ არის ოპერაციათა სხვა ტიპები. ინფორმატიკაში მისთვის მიღებულია ტერმინი „ყოფაქცევა“ (behavior). ამგვარად, მე-9 კატეგორიაა:

**არსთა სქემა - ყოფაქცევის სქემა** (ერთად აღებული არის ობიექტის სქემა, ანუ არსთა დამოკიდებულების მოდელი). მონაცემთა და პროცესთა გამოცხადება (declaration) მათი განმეორებადი გამოყენების მიზნით ამის ტიპური მაგალითია.

საბოლოოდ კატეგორია შეიძლება ჩავწეროთ როგორც

**Cat = < Nom, P, K, AC, CD, TP, LML, TIE, ERS>, სადაც**

**Nom** - ნომინატორები, **P** - პრედიკატორები,

**K** = < ε, σ, π > - „არის“, „აქვს“ და „კეთება“ კოპულებია.

**AC** - აბსტრაქტცია-კონკრეტიზაცია;

**CD** - კომპოზიცია – დეკომპოზიცია;

**TP** - მთელი - ნაწილი

**LML** - ენა – მეტაენა;


**TIE** - ინტენსიონალი- ექსტენსიონალი;

**ERS** - არსთა – დამოკიდებულებათა სქემა.


არსთა-დამოკიდებულების სქემის აგება საპრობლემო სფეროსთვის, ამ პროცესის კლევა და მისი სრულყოფა ეფექტური ალგორითმული სქემებით და პროგრამული გრაფო-ანალიზური ინსტრუმენტებით – არის ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი საკითხი.

კატეგორიალური მიდგომის საფუძველზე და ობიექტ-როლური მოდელირების ინსტრუმენტის გამოყენებით ახლა გადავიდეთ კონკრეტული ზემოაღწერილი ამოცანის გადაწყვეტის განხილვაზე.

პირველ რიგში მარტივ მაგალითზე ვაჩვენოთ, თუ როგორი სახე აქვს კატეგორიების საფუძველზე ჩაწერილ პრედიკატულ ფორმას გარკვეული სემანტიკური აზრის გამოსახატავად. მთავარი პრედიკატებია: პროდუქტი, კლიენტი, შეკვეთის-დრო (PROD, CLIENT, TIME) და ა.შ. მთავარ პრედიკატორებს საწყის ფაზაზე აქვს ბირთვის (საწყისის) მნიშვნელობა.



კატეგორიალური თვალსაზრისით, ჩვენ ვიმუოფებით სქემის-დროში (schema-time) და არა მიმართვის-დროში (referent-time). მაგალითად, „დოლიძე ე კლიენტი“ - ეს არაა განზოგადება, პირიქით „y ე კლიენტი“ არის y-ნომინატორული ცვლადით ყველა შემთხვევისთვის განზოგადებული. დოლიძე მხოლოდ კონკრეტულ მომენტში გააქტიურდება. ე. ი. y – ხდება დოლიძე. აქ x, y და z აღიწერება როგორც ცვლადები, ზოგადად და მიმდინარე დროში (გააქტიურებისას) მიიღებს კონკრეტულ მნიშვნელობას. სისტემაში მთავარი პრედიკატები მიიღება ჩანაწერის დამატებით აღნიშვნით, რომლებიც სქემაზე გამოისახება PNR, CNR, DATE და ა.შ.



ახლა განვხილოთ ასტრაქცია, როგორც ენის ლოგიკური პროცესი. მაგალითად, ენაში სინონიმების არსებობა [CLIENT და CNR].

შემოიტანება „=>“ წესის ისარი (იმპლიკაციის მსგავსად, ან პროდუქციის წესი „თუ, მაშინ“), რომელიც ნიშნავს, რომ თუ მოცემულია მარცხენა მხარე (გამონათქვამი), მაშინ მარჯვენაც მართებულია:

$$\begin{aligned} y \in \text{CLIENT} &\Rightarrow y \in \text{CNR} \\ y \in \text{CNR} &\Rightarrow y \in \text{CLIENT}. \end{aligned}$$

მეორე მაგალითი: „*s ურკავს კლიენტს*“, ჩაიწერება:

*s π (დარეკვა)(CLIENT).*

თუ  $A_R(X)$  გამონათქვამის ფორმა, სადაც  $R$  დასაშვებია და  $X$  პრედიკატორთა ცვლადებია, მაშინ შეიძლება  $A_R(CLIENT)$  ან  $A_R(CNR)$  ჩაწერის ფორმის შემოღება. ორადგილიანი რელაციის  $\rho$  -ს შემოტანით  $A_R$ -ის მაგიერ:

$(\text{CLIENT}) \rho (\text{CNR}) \rightarrow (A_R(\text{CLIENT}) \leftrightarrow A_R(\text{CNR}))$ .

$\text{CLIENT}$  და  $\text{CNR}$  ურთიერთჩანაცვლებადია (არ იცვლება ჭეშმარიტება გამონათქვამისა  $A_R(X)$ ).

$\rho$ -აბსტრაქციის თვალსაზრისით არის ეკვივალენტობის რელაცია, რომლისთვისაც სამართლიანია რეფლექსურობის, სიმეტრიულობის და ტრანზიტულობის თვისებები.

მიზანი ობიექტ-ორიენტირებული როლური მოდელების გამოყენებისა მდგომარეობს საპრობლემო სფეროს აღწერის მაქსიმალური სიზუსტის რეალიზაციაში. ყველაფერი, რაც ეხება ობიექტს, უნდა აღიწეროს როგორც არსოთა-მოდელში, ასევე მის ყოფაქცევის-მოდელში. მსგავსი საკითხები განიხილება ფილოსოფიური დასკიადლინის ისეთ სფეროში, რომელიც დაკავშირებულია ენასა და შემცნებასთან. მაგალითად, აქ შეიძლება გავიხსენით კანტის შრომები, რომელმაც პირველმა შემოიტანა განსხვავება სქემისა და მის გამოსახულებას შორის. ფრეგემ შემოიტანა აბტრაქტული თეორია ლოგიკური პრედიკატებისთვის, ხოლო რასელთან ერთად განსახლვრებათა თეორია. კარნაპმა განავითარა ინტენსიონალ-ექსტენსიონალობის თემა და ა.შ. [26].

ობიექტ-როლური მოდელირება (ORM) – მონაცემთა ბაზის სტრუქტურების მოდელირებისა და ავტომატიზებული დაპროექტების მეთოდია კონცეპტუალირ დონეზე. ბუნებრივი ენის გრამატიკის გამოყენება, ისევე როგორც ინტუიციური დაიგრამებისა, რომელთა

შევსება შესაძლებელია მაგალითებით, აგრეთვე ინფორმაციის გამოკვლევა, მარტივი ან ელემენტარული ფაქტების ტერმინებში, მნიშვნელოვნად ამარტივებს ავტომატიზებული დაპროექტების პროცესს. ORM განიხილავს საპრობლემო სფეროს როგორც ურთიერთ-დაკავშირებულ ობიექტთა ერთობლიობას, რომლებიც თამაშობს გარკვეულ როლებს.

ზოგადი მაგალითისათვის აქ განიხილება ფირმა, რომლის ბიზნეს-პროცესები აღიწერება ელემენტარული ფაქტების დახმარებით, სადაც ასახულია ფირმის საქმიანობის კანონზომიერებანი. მაგალითად, „ფირმას, რომელიც არის შემკვეთი ან მიმწოდებელი, აქვს დასახელება, მისამართი, ფაქს-ტელეფონი, საბანკო-ანგარიში და ა.შ. ფირმა ახორციელებს პროდუქციის წარმოებას ან მომსახურებას (სერვისს). შემკვეთ და მიმწოდებელ ფირმებს შორის ფორმდება კონტრაქტები, რომელთაც აქვს კონტრაქტის-ნომერი, თარიღი. ყიდვა-გაყიდვა ფორმდება სპეციალური ანგარიშ-ფაქტურით, რომელსაც აქვს ნომერი, პროდუქციის (ან მომსახურების) დასახელება, მოცულობა, თანხა და თარიღი. კომერციული ბანკი გადარიცხავს შესაბამის თანხებს შემკვეთის ანგარიშიდან მიმწოდებელის ანგარიშზე, და ა.შ.“.

აღნიშნული პროცესის ORM-დიაგრამა, რომელიც აგებულია MsVisualStudio.NET+MsVisio ინსტრუმენტით, აქვს 2.7 ნახაზზე მოყვანილი სახე.


დიაგრამაზე გამოსახულია ისეტი შეზღუდვებიც, რომლებიც დამახასიათებელია ობიექტ-როლური მოდელირებისთვის. ობიექტები გამოისახება ელიფსებით. წყვეტილ-კონტურიანი ელიფსი ასახავს ობიექტის მნიშვნელობას (value). პრედიკატები გამოსახულია მართკუთხედებით და ისინი აღწერს ობიექტთაშორის კავშირებს.

(U) - იძულებითი შეზღუდვა (მაგალითად, ყოველ ფირმას აქვს დასახელება);

↔ - შიგა უნიკალურობის შეზღუდვა (მაგალითად, კონტრაქტს აქვს მხოლოდ ერთი ნომერი);

• - გარე უნიკალურობის შეზღუდვა (მაგალითად, ფირმის უნიკალურობა განისაზღვრება მისი სახელით და მისამართით);

↑ - შეზღუდვა ობიექტის ქვეტიპზე (მაგალითად, შემკვეთი და მიმწოდებელი არის ზოგად ფირმის ქვეტიპები).



#### ნახ.2.7. ობიექტ-როლური მოდელის (ORM) ფრაგმენტი

„Contract“ აისახება „ბუდის“ ტიპის საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს პრედიკატის ტრანსფორმაციას შესაბამის ობიექტში [25].

მოძღვნო პარაგრაფში განვიხილავთ აქ ჩამოყალიბებული მოსაზრებებისა და ეტაპების კონკრეტულ რეალიზაციას, ბიზნეს-პროგრამების ექსპერტულ შეფასებათა მხარდამჭერი სისტემის ობიექტ-როლური და კონცეპტუალური მოდელების ასაგებად.

## 2.3. የዕለታዊ-የጠራዊነት ሥርዓት በመፈጸም ነው ይህንን የሚከተሉት ስልክ የሚያስፈልግ ይችላል

ბიზნეს-ობიექტებზე განსაკუთრებული ყურადღება აქცევა  
მარკეტინგისა და მენეჯმენტის პროცესების სწორად და დროულად  
წარმართვას. ახალი ბიზნეს-პროგრამები, რომელთა განხორციელება,  
ერთის მხრივ სასიცოცხლოა თანამედროვე კონკურენციის პირობებში,  
ხოლო მეორეს მხრივ, მნელადრეალიზებადია საკმაო მოცულობის  
ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, მოითხოვს ფირმის  
ხელმძღვანელებისა და ექსპერტ-სპეციალისტებისგან სწორი კონონიმი კური  
პოლიტიკის გატარებას გააზრებული ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების  
საფუძველზე [1,73].

ბიზნეს-პროგრამების ექსპერტულ შეფასებათა მხარდამჭერ გადაწყვეტილებათა მიღების მეორებისა და მოდელების შემუშავება, აგრეთვე ასეთი მართვის ავტომატიზებული სისტემების ობიექტ-ორიენტირებული დაპროექტება და რეალიზაცია აქტუალური და მეტად მნიშვნელოვანია [2,3,52].

ალტერნატიული ბიზნეს-პროგრამების შეფასების პროცესი, რომელიც დიდი ინფორმაციული ნაკადების ანალიზს ეფუძნება, მოითხოვს აგრეთვე გამოცდილი ექსპერტ-კონსულტანტების ცოდნის, გამოცდილებისა და ინტერიციის ერთობლიობას, სწორი პროგნოზირების უნარს, რაც მეტად მნიშვნელოვანია კრიტიკულ სიტუაციაში და მცირე დროითი რესურსების პირობებში. ამგვარად, კონსულტანტები და ფირმის გამოცდილი სპეციალისტები, როგორც საპრობლემო სფეროს ექსპერტები, ერთობლივი ძალისხმევით, კონსულტაციებითა და კომპრომისებით ცდილობენ მიღლონ ოპტიმალური გადაწყვეტილებანი ფირმის განვითარების სწორი კორპორაციული გეგმებისა და ტაქტიკურ ღონისძიებათა შესახებ, ბიზნეს-პროგრამების შეჩევის ნაკლები რისკით. 2.2 ნახაზზე მოცემული იყო დასაპროექტებელი სისტემის როლურ-ფუნქციური UseCase დიაგრამა UML ენაზე, რომლის განხორცილებაც განიხილება ქვემოთ.


ექსპერტთა შეფასებების მხარდაჭერი სისტემის დაპორექტება  
იწყება საკვლევი სფეროს ობიექტ-ორიენტირებული ანალიზით,  
რომელიც, როგორც ცნობილია, მოითხოვს სტატიკური და დინამიკური  
დასაგრამების: პრეცედენტების, აქტიურობის, მიმღევრობითობის,  
ქოლასების და ა.შ. მომზადებას [2,3].

ამ მასალის საფუძველზე ექსპერტების ან კონსულტანტის მიერ შესაძლებელია კატეგორიალური მიღებოთ გარკვეულ ფაქტების სიმრავლის ფორმირება [25,29]. ჩვენი ამოცანის შესაბამისად საკვლევი ობიექტის გარკვეული ცოდნა ასახულია 2.1 ცხრილში:

**ცხრ.2.1**

<b>ც-№</b>	<b>ვაქტის ჩაღვერის ფორმა</b>
f <sub>1</sub>	- ექსპერტს აქვს გვარი;
f <sub>2</sub>	- ექსპერტს აქვს თანამდებობა;
f <sub>3</sub>	- ექსპერტს აქვს ტელეფონი;
f <sub>4</sub>	- ექსპერტი ეცნობა პრობლემას;
f <sub>5</sub>	- პრობლემას აქვ დასახელება;
f <sub>6</sub>	- პრობლემის შესასრულებლად განისაზღვრება მიზნები;
f <sub>7</sub>	- მიზანს აქვს დასახელება;
f <sub>8</sub>	- მიზანს აქვს კრიტერიუმი;
f <sub>9</sub>	- მიზანზე მოქმედებს ფაქტორები;
f <sub>10</sub>	- ფაქტორს აქვს დასახელება;
f <sub>11</sub>	- ფაქტორს აქვს კრიტერიუმი;
f <sub>12</sub>	- ფაქტორზე მოქმედებს ღონისძიებები;
f <sub>13</sub>	- ღონისძიებას აქვს დასახელება;
f <sub>14</sub>	- ღონისძიებას აქვს კრიტერიუმი;
f <sub>15</sub>	- გრიტერიუმს აქვს წონა;
და	
ა.მ.	


Visual Studio .NET გარემოში Ms Visio ინსტრუმენტის Database კატეგორიაში ORM Source Model- შაბლონით (Template) ვახორციელებთ ზემოაღწერილი ფაქტების ჩაწერას უნარული, ბინარული ან უფრო მაღალი რიგის რეალაციური დამოკიდებულებით (ნახ.2.8).



### ნაბ.2.8. ფაქტების ჩაწერის ინსტრუმენტი

დიაგრამიდან ჩანს, რომ საპრობლემო სფერო აღწერილია ელემენტარული ფაქტების საშუალებით, რაც საგრძნობლად ამარტივებს დაპროექტების პროცესს.

ფაქტების ჩაწერის ინსტრუმენტის გამოყენებით შესაძლებელი ხდება საპრობლემო სფეროს სემანტიკური ინფორმაციის გადატანა მოდელში, რომელიც ობიექტ-როლური მოდელის სახელითაა ცნობილი და, ჩვენს შემთხვევაში, ექნება 2.9 ნახაზზე მოცემული სახე.



### ნახ.2.9. ORM მოდელის ფრაგმენტი ექსპერტულ შეფასებათა სისტემისთვის

ობიექტები გამოისახება ელიფსებით, პრედიკატები მართვულებით, მნიშვნელობის ტიპი გამოისახება წყვეტილი ელიფსით. იმ შემთხვევაში თუ განისაზღვრება ობიექტის მხოლოდ ერთი თვისება, საჭმელი გვაქვს ერთ ადგილიან პრედიკატთან (unary fact).

პრედიკატს შეიძლება ჰქონდეს (1,2,3,...) ოპერანდი, თუ პრედიკატი ელემენტიანულია 3-4 ოპერანდზე მეტი იშვიათად გვხვდება, თუმცა არსებობს n-არული პრედიკატიც.


ობიექტ-როლური მოდელირებაში გამოიყენება სხვადასხვა შეზღუდვები. ჩვენს შემთხვევაში გამოყენებულია შემდეგი სახის შეზღუდვები.

- - იძულების შეზღუდვა გვიჩვენებს, რომ ექსპერტი გალდებულია ჰქონდეს გვარი
- ↔ - შიგა უნიკალურობის შეზღუდვა გვიჩვენებს, რომ რომ ექსპერტს აქვს მხოლოდ ერთი თანამდებობა.
- (U) - გვიჩვენებს, რომ მონაცემთა ბაზაში ექსპერტი უნიკალურედ განისაზღვრება გვარითა და ტელეფონის ნომრით.

#### 2.4 კონცეპტუალური მოდელებისა და კლასთა ურთიერთკავშირების სქემის დაპროექტება ობიექტ-როლური მოდელების ბაზაზე


2.10 ნახაზზე მოცემულია ERM-დიაგრამა, რომელიც ავტომატიზებულ რეჟიმში აიგო ORM-დაგრამის საფუძველზე. ამისათვის გამოყენებულ იქნა Ms Visio ინსტრუმენტის Database კატეგორიაში ERM მოდელის გენერაციის პროცესში.

მიღებული არსოთა-დამოკიდებულების ER-მოდელი (ცხრილები და ცხრილთაშორისი კავშირები) ფორმირებულია ORM-მოდელის აგების პროცესში ჩაწერილი სემანტიკური ინფორმაციის საფუძველზე, რაც საშუალებას იძლევა ავტომატიზებულ რეჟიმში განისაზღვროს არა მხოლოდ ცხრილთაშორისი კავშირები, არამედ პირველადი (PK) და მეორეული (FK) გასაღებური, ინდექსური (I) და უნიკალურობის (U) ატრიბუტების ბაზაზე.



### ნახ.2.10. ERM მოდელის ფრაგმენტი, აგებული ავტომატიზებულ რეჟიმში ORM მოდელის საფუძველზე

მესამე ეტაპზე ERM-მოდელის საფუძველზე ვახდენთ კოდის სახით მონაცემთა აღწერის .DDL ფაილის ავტომატურ გენერირებას (ნახ.2.11).



ნახ.2.11. კოდის გენერირების ვიზუალუროვანა

ქვემოთ, 2.2 ცხრილში მოცემულია DDL ფაილის კოდის ფრაგმენტი ჩვენი ამოცანისათვის :

#### ცხ.2.2

```
/*
 * This SQL DDL script was generated by Microsoft Visual Studio (Release
Date: LOCAL BUILD).
*/
/* Driver Used : Microsoft Visual Studio - Microsoft SQL Server Driver.
*/
/* Create expert database. */*
use master
go
use "expert"
go
alter table "Miznebi Kriteriumebi"
    add constraint "Miznebi Kriteriumebi_PK" primary key ("Miznebi nr",
"Kriteriumebi nr")
..
..
go
alter table "Expert ecnoba Problemebs"
    add constraint "Problemebs_Expert ecnoba Problemebs_FK1" foreign key
(
    "Problemebs nr")
    references "Problemebs" (
        "Problemebs nr") on update no action on delete no action
```

ამგვარად, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენებით და განაწილებული მონაცემთა ბაზების სტრუქტურების ამოცანის გადაწყვეტის შესაბამისი ალგორითმული სქემების დაპროექტებით, ობიექტ-ორიენტირებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების საფუძველზე შესაძლებელია დაპროექტების და დაპროგრამების პროცესების ავტომატიზაცია, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სისტემების შექმნის დროს და ამაღლებს მის ხარისხს. მონაცემთა ბაზების სტრუქტურები და ცხრილთაშორისი კავშირები, ჩვენს შემთხვევაში მზადა კონკრეტული მონაცემების შესატანად MsSQL Server გარემოში. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მიღებული მონაცემთა ბაზის სტრუქტურის ავტომატიზებული მოდიფიკაცია და მისი შემდგომი რეალიზაცია (სადემონსტრაციო ვერსია იხ. დანართში).

## 2.5. განაწილებული ბიზნეს-პროცესების ობიექტ-ორიენტირებული მოდელირება და ანალიზი პეტრის ქსელებით

საწარმოო, ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ სისტემებში მეტად აქტუალურია საქმიანი პროცესების ტექნოლოგიური ციკლების თანმხლები საინფორმაციო ნაკადების მართვის მექანიზმების დახვეწა, უნიფიციარებული დოკუმენტებისა და დოკუმენტბრუნვის პროცედურათა გათვალისწინებით, ახალი საკანონმდებლო აქტების და ინტერნეტ-ინტრანეტის პირობებში.


ბიზნეს-ობიექტი, ზოგადად წარმოადგენს ფიზიკურად განაწილებულ ბიზნეს-პროცესებს, მათი ლოგიკურად ერთიანი მონაცემთა საცავის (ბაზების ერთობლიობის) და ადმინისტრაციული მართვის კლასიკური მოდელის ინტეგრირებულ სტრუქტურას, უახლესი ინფორმაციული, მოდელურ-პროგრამული, ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ლინგვისტურ-ინტერფეისული, იურიდიული და ორგანიზაციულ-მეთოდურ უზრუნველყოფათა ერთობლიობით.

ყველ ორგანიზაციაში მიმდინარეობს მისთვის დამახასიათებელი ტექნიკური, ტექნოლოგიური და ინფორმაციული პროცესები. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ გვაინტერესებს ის საერთო, ზოგადი, რაც ახასიათებს ამ ოფისებს. მაგალითად, მართვის ამოცანები: დაგეგმვა,

აღრიცხვა, ანალიზი, გადაწყვეტილების მიღება, და რაც მთავარია, მათი ინფორმაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

განაწილებულ ბიზნეს-სისტემებში მიმდინარე პროცესების ავტომატიზაციის ინფრასტუქტურის ობიექტ-ორიენტირებული ანალიზური მოდელი ნაჩვენებია 2.12-ელ ნახაზზე. ანალიზის შედეგად ოფის-ობიექტებში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი კლასები: პერსონალი, თანამდებობა, ორგანიზაციული ერთეული, სტრატეგია, აპლიკაცია, ელექტრონული ფორმის შაბლონი, ელექტრონული ფორმის ექშემპლარი, ფორმის მოქმედება. კლასთაშორის ასოციაციები ასახულია რელაციური, მემკვიდრეობითი და აგრეგატული კავშირებით [3].

მოცემული სქემის ფუნქციონირების სემანტიკური აღწერის მიზნით განვიხილოთ მისი ელემენტებისა და კავშირებისათვის დამახასიათებელი არაფორმალიზებული (ტექსტური) ინფორმაცია, რომელშიც ასახული იქნება მოქმედებათა ზოგადი წესები.



ნახ.2.12. საქმიანი პროცესების ზოგადი ანალიზური მოდელი


სტრატეგიის (Policy) ობიექტი წარმოადგენს მოდელის ძირითად რგოლს, მის ატრიბუტებს მიეკუთვნება დასახელება, რეალიზაციის თარიღი, მიზანი, პასუხისმგებელი, აღწერა და ტიპი. სტრატეგიის ობიექტები შეადგენს ორგანიზაციულ ერთეულს.

თითოეული თანამდებობა (როლი) მიმარტებულია კონკრეტულ პირზე, თუმცა ზოგიერთიმა თანამშრომელმა შეიძლება შეითავსოს რამდენიმე. თითოეულ ორგანიზაციულ ერთეულს მართავს განსაზღვრული თანამშრომელი. ზოგმა თანამშრომელმა შეიძლება მართოს რამდენიმე ქვეგანყოფილება. ყველა თანამდებობა, პრეზიდენტის გარდა, პასუხს აგებს მეორის წინაშე. ორგანიზაციული ერთეულები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, შედის სხვა ორგანიზაციულ ერთეულებში.

სტრატეგია შეიძლება უზრუნველყოფილ იყოს ერთი ან რამდენიმე ელექტრონული ფორმის შაბლონით. ელექტრონული ფორმები გამოიყენება ერთი ან რამდენიმე ელექტრონული ფორმის ევზემპლარის მისაღებად. სისტემა შეიძლება შეიცავდეს ისეთ როლებს ელექტრონულ ფორმებს, რომლებიც განკუთვნილია პერსონალის სწავლებისათვის. ელექტრონული ფორმა შეიძლება შეცავდეს ერთ ან რამდენიმე მოქმედებას, რომელიც უნდა შეასრულოს კონკრეტულმა თანამშრომელმა. ერთნაირი მოქმედებები შეიძლება ვრცელდებოდეს სხვადასხვა თანამდებობებზე ორგანიზაციის შიგნით (მაგალითად, ხარჯების უწყისის დამტკიცება) და ა.შ.

განაწილებულ ოფის-სისტემებში ფუნქციური ამოცანების უფასებური გადაწყვეტის მიზნით, სწრაფი დოკუმენტუზრუნველყოფის თვალსაზრისით საერთო გამოყენების რესურსების პირობებში, შესაძლებელია გარკვეული ალგორითმული სქემების შემუშავება და მათი ანალიზი პეტრის ქსელების ბაზაზე [12,28,51].

2.13 ნახაზზე მოცემულია ოფისის საერთო ქსელის მომხმარებელთა მოთხოვნების დამუშავების (მაგალითად, დოკუმენტების მომზადების) პროცესის ზოგადი პეტრის ქსელის მოდელი.



**ნახ.2.13. განაწილებულ სისტემაში მოთხოვნების დამუშავების ზოგადი მოდელი**

მარკერი საწყის პოზიციაში მიუთითებს მოთხოვნის არსებობაზე, რომელიც ანალიზის ეტაპზე განშტოვდება ორ კონფლიქტურ (T. ან .F.) გადასასვლეს შორის. თუ მოთხოვნა ესება დეტერმინირებულ ამოცანათა კლასის ფორმებს, მაშინ იგი აირჩევს .T. – გზას, ხოლო შემთხვევითი (ოპერატორი) მოთხოვნებისათვის აუცილებლად გაივლის .F. – გზას, შესაბამისი დოკუმენტის ფორმის სინთეზის პროცედურით.


გადასასვლელი რეგლამენტი ასახავს კონკრეტული დოკუმენტის ფორმირების წესებს, სისტემის საერთო რესურსების მიმღევრობით-პარალელური ოპერაციების შესრულების ბაზაზე, მათი როლების, მონაცემების, პროგრამული მოღულებისა და სხვა ორგანიზაციის კოლექტიური გამოყენების თვალსაზრისით.

აღნიშნული პროცესის მართვის მოდელის დეტალიზება და მისი ეფექტურობის ანალიზი გარკვეული რაოდენობრივი კრიტერიუმებით, შესაძლებელია პეტრის ქსელის შემდგომი დაზუსტებით. 2.14 ნახაზზე ნაჩვენებია ასეთი სქემის მაგალითი, ხოლო 2.3-2.4 ცხრილებში მოცემულია მისი შესაბამისი პოზიციების და გადასასვლელთა აღწერა. მოდელი შეიძლება განხოვადებულ იქნას **n**-მიმხმარებლისთვის.

2.15 ნახაზზე ილუსტრირებულია აღნიშნული პეტრის ქსელის იმიტაციური პროცესის ეტაპები. აյ მარკერების (მოთხოვნების) გადაადგილება ხორციელდება 1 და 16 პოზიციებიდან 26 და 27 პოზიციებამდე. მაგალითად, 1-ელ საწყის ეტაპზე ჩანს 11–11 მოთხოვნა

ქსელის ორ კვანძში და საერთო რესურსების ( 44 –მონაცემთა ბაზები, 55–კლასები, 66–ქსელური პრინტერები და 77–ადამიანური რესურსი) მზადყოფნა (მარკერების არსებობით).

2.16 ნახაზზე ნაჩენებია იმიტაციური პროცესის მართვის აპარატი (Run, Stop და სხვა ღილაკებით) და ოვით პეტრის ქსელის ერთ–ერთი შუალედური მდგომარეობა, რომელზეც კარგად ჩანს მარკერების განაწილება და პარალელურად მომუშავე გადასასვლელები (მონიშნულია). ამ მომენტში შერსულებულია მხოლოდ ერთი დავალება ( 26 – ში ერთი მარკერია).



ნახ.2.14. დეტალიზებული პეტრის ქსელის ფრაგმენტი

**ცხრ.2.3**


**პოზიციების ცხრილი**

P <sub>j</sub>	პოზიცია (მარკერებით)
P <sub>1, 16</sub>	მოთხოვნა არის (თუ მარკერია)
P <sub>2, 17</sub>	დოკუმენტის ფორმა (კოდი)
P <sub>3, 18</sub>	ცნობილი დოკუმენტის ფორმა
P <sub>4, 19</sub>	დასამუშავებელი დოკუმენტები
P <sub>5, 20</sub>	დოკუმენტი როლთან
P <sub>6, 21</sub>	დოკუმენტი მონაცემთა რესურსით
P <sub>7, 22</sub>	დოკუმენტი კლასთა რესურსით
P <sub>26, 27</sub>	დაბეჭდილი დოკუმენტი
P <sub>8, 23</sub>	დასამუშავებელი მოთხოვნა
P <sub>10, 24</sub>	ატრიბუტთა სიმრავლე
P <sub>11, 25</sub>	რელაციის სქემა დოკუმენტის ფორმისათვის
P <sub>9, 28</sub>	ატრიბუტების ანალიზატორი თავისუფალია (მარკერით)
P <sub>44</sub>	მონაცემთა რესურსი თავისუფალია (მარკერით)
P <sub>55</sub>	კლასების რესურსი თავისუფალია (მარკერით)
P <sub>66</sub>	საბეჭდი რესურსი თავისუფალია (მარკერით)
P <sub>77</sub>	ადამინისტრი რესურსი თავისუფალია (მარკერით)
P <sub>26, 27</sub>	დამუშავებული ფორმების ჯამური რაოდენობა
P <sub>29, 30</sub>	დამუშავებული სტანდარტული ფორმების რაოდენობა


**ცხრ.2.4**

**გადასასვლელების ცხრილი**

T <sub>i</sub>	გადასასვლელის ფუნქცია
T <sub>1, 10</sub>	მოთხოვნის ანალიზი
.T. / .F.	ფორმა ცნობილია/არაა ცნობილი
T <sub>2, 11</sub>	დოკუმენტის ფორმის არჩევა
T <sub>3, 12</sub>	ადამიანური რესურსით ფორმის შევსების წესის განსაზღვრა
T <sub>4, 13</sub>	მონაცემთა რესურსის მიღება
T <sub>5, 14</sub>	კლასთა რესურსის მიღება
T <sub>6, 15</sub>	საბეჭდი მოწყობილობის რესურსის მიღება
T <sub>7, 16</sub>	ატრიბუტთა სიმრავლის დადგენა
T <sub>8, 17</sub>	რელაციათა სქემის სინთეზი
T <sub>9, 18</sub>	რელაციათა სქემით დოკუმენტის ფორმის განსაზღვრა




**ნახ.2.15. პეტრის ქსელის სიმულატორით მიღებული  
ეტაპობრივი შედეგები**




ნახ.2.16. იმიტაციის პროცესის ფრაგმენტი პეტრის ქსელით

2.15 ნახაზის ბოლო ეტაპზე  $P_{26}$  და  $P_{27}$  ჩანს, რომ ყველა მოთხოვნა შერულებულია.  $P_{29}$  და  $P_{30}$  პოზიციები მიუთითებს, რომ 1–ელ კვანძში 11 შემთხვეული მოთხოვნიდან 6 იყო დეტერმინირებულ ამოცანათა კლასიდან, ხოლო მეორეში – 7.


$P_4$  და  $P_{19}$  ის პოზიციებია, სადაც კონკრეტულ როლთან (ადამიანის რესურსი) თავს იყრის სხვადასხვა მოთხოვნები და საიდანაც უნდა მოხდეს მათი უზრუნველყოფა მონაცემთა ბაზებით, პროგრამებით და საბეჭდი მოწყობილობით. სქემის აღნიშნულ ფრაგმენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მრავალმომხმარებლურ რეჟიმში მუშაობისას, როდესაც სისტემის ადამიანური და სერვერული რესურსები ეფექტურად უნდა იმართოს. 2.17 ნახაზზე მოცემულია  $P_4$  და  $P_{19}$  პოზიციების მდგომარეობები დროის მიხედვით (მარკერთა შესაბამისი ცვლადების ცვლილების დიაგრამები).



ნახ.2.17.  $P_4$  და  $P_{19}$  პოზიციების მდგომარეობათა ცვლილებები დროში



ნახ.2.18. რესურსების ტრიგერული მართვის ფრაგმენტი





**ნაბ.2.19.  $P_4$  და  $P_{19}$  პოზიციების მდგომარეობათა ცვლილებები დროში  
ტრიგერული მართვისას**


ტრიგერული მართვისას რესურსები მიმდევრობით გადაუცემა მომხმარებლებს ყოველგვარი პრიორიტეტის გარეშე. ამიტომაც აქ მოთხოვნების დამუშავება სინქრონულად მიმდინარეობს.

წინა შემთხვევებში აღვილი ჰქონდა რესურსების გამოყენების ასინქრონულ რეჟიმს. ამ დროს მართვის სისტემა შემთხვევით, თვითონ ირჩევს კონფლიქტური და პარალელური პროცესების შესრულების მიმდევრობას.

მომდევნო მაგალითებში ნაჩვენები გვაქვს რესურსების ექსტენსიონალური (ნაბ.2.20) და ინტენსიონალური (ნაბ.2.21) გაფართოებით მოთხოვნების დამუშავების დროითი დიაგრამები. ნახაზებზე კარგად ჩანს მოთხოვნების დროის შემცირების ტენდენცია.



**ნაბ.2.20.  $P_4$  და  $P_{19}$  პოზიციების მდგომარეობათა ცვლილებები დროში  
ტრიგერული მართვისას გაორკეცებული ადამიანური რესურსით**



ნახ.2.21.  $P_4$  და  $P_{19}$  პოზიციების მდგომარეობათა ცვლილებები დროში ადამიანური რესურსის გაორკეცებული სწრაფუმებით

## 2.6. მეორე თავის დასკვნები

1. ბიზნეს-პროგრამების ექსპერტულ შეფასებათა ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების პროცესების მოდელირება განხორციელდა UML-ენის სტატიკური და დინამიკური დიაგრამებით, რაც უზრუნველყოფს დასაპროექტებელი სისტემის სემანტიკურ სისრულეს;
2. ბიზნეს-პროგრამების შეფასების ექსპერტული ცოდნის მოდელირებისათვის შერჩეულ იქნა კატეგორიალური მიღვომა, რაც უზრუნველყოფს სისტემის დაპროექტების შემდგომ ეტაპებზე რელაციური საცავებისა და ბაზების თავსებადობას;
3. ობიექტ-როლური მოდელების აგება განხორციელებულია ექსპერტთა ცოდნის ვიზუალურ რეჟიმში ასახვის ინსტრუმენტის საშუალებით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დაპროექტების დროს პროცესების ავტომატიზაციის საფუძველზე;
4. კონცეპტუალური მოდელების ბაზაზე შემუშავდა კლასთა ურთიერთკავშირების ავტომატიზებული დაპროექტების მექანიზმი, რომელშიც რეალიზებულია ობიექტ-რიენტირებული მიღვომის პრინციპი;
5. განაწილებული ბიზნეს-პროცესების დოკუმენტური უზრუნველყოფის და რაციონალური დოკუმენტბრუნვის დასაპროექტებლად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია კლასებსა და პროცესებზე ორიენტირებული საპრობლემო სფეროს მოდელირებისა და ანალიზის მეთოდები, რომელთა რეალიზაცია და კვლევა ხორციელდება პეტრის ქსელებით საერთო რესურსების პირობებში.

### III თავი ინფორმაციული უზრუნველყოფის დამუშავება MaSQL Server პაკეტით

#### 3.1. განაწილებული მონაცემთა ბაზების აგების ავტომატიზაცია .NET გარემოში

თანამედროვე კორპორაციული კომერციული ობიექტები ხასიათდება დიდი მოცულობის ინფორმაციული ნაკადებით, რომელთა მოძრაობისა და აქტუალიზების დინამიკა განსაკუთრებით მაღალი ტემპებით გამოირჩევა. მათი ხელმძღვანელების საპრობლემო ამოცანა ამ ინფორმაციის კომპლექსური ანალიზისა და სწორი, ოპტიმალური გადაწყვეტილების გამომუშავებაში მდგომარეობს. აქტუალურია ასეთი პრობლემების გადასაწყვეტად კომპიუტერული მხარდამჭერი სისტემების აგება, რომელთა გული მონაცემთა საცავა, მრავალგანზომილებინი, რელაციური მოდელის საფუძველზე დაპროექტებული, ხოლო გონება – მათი ოპერატიული ანალიზის სპეციალური მეთოდები (პროგრამები), რეალიზებული ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამების UML-ტექნოლოგიით [3,20,67]. სტატიაში განიხილება კომერციულ-საფინანსო ბანკების მაგალითზე მონაცემთა საცავის დაპროექტებისა და მისი მონიტორინგის სისტემის აგების ამოცანები.

ჩვენი კვლევის ობიექტი საინფორმაციო მონიტორინგის კომპიუტერული სისტემაა, რომელიც ტერიტორიულად განაწილებული კორპორაციული საბანკო-საფინანსო ორგანიზაციისა და მისი ფილიალების ერთიანი მონაცემთა საცავის აგებასა და მისი ოპერატიული ანალიზის მექანიზმების სრულყოფას ემსახურება. აღნიშნული მართვის ავტომატიზებული სისტემა მიეკუთვნება გადაწყვეტილებათა მიღების ხელშემწყობ კომპიუტერულ სისტემათა კლასს [8].

კომერციულ ბანკებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არსებული ოპერატიული ინფორმაციის ანალიზს, მაგალითად მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, კლიენტთა შემოსავლების დინამიკის შესახებ, ან ბანკის შემდგომი განვითარების მიმართულებათა პროგნოზის კვლევის საკითხებს და ა.შ. ასეთი ამოცანების ეფექტურად

გადაჭრა მხოლოდ მონაცემთა საცავების საფუძველზეა მოსახერხებელი, რომელშიც თავმოყრილია არა მხოლოდ მიმდინარე, ოპერატიული ინფორმაცია, არამედ მასში ინახება აგრეთვე ისტორიული მონაცემებიც (შესაძლებელია მისი დაარსების დღიდან არსებული ინფორმაციული არქივების სახით). ამასთანავე მონაცემთა საცავის პროგრამული უზრუნველყოფა მოიცავს ოპერატიული ანალიზის OLAP-ინსტრუმენტსაც, რომელიც ფართოდ გამოიყენება საზღვარგარეთის ბანკებში ფინანსური ანალიზის ამოცნების გადასაწყვეტად [29].

საბანკო ოპერაციების ავტომატიზაცია ითხოვს მრავალი მაჩვენებლის ერთ მთლიან სისტემაში გაერთიანებას და მათ შორის კავშირების განსაზღვრას. მთავარი როლი უჭირავს კლასიფიკაციას და კოდირებას, რომელიც ამცირებს ინფორმაციის მოძიების დროს და მოცულობას, ამარტივებს ინფორმაციის დამუშავების პროცესს. საბანკო საქმიანობაში ინფორმაციის სისტემატიზაციისათვის გამოიყენება სხვადასხვა ტიპის კლასიფიკატორი. ესენია, როგორც დარგობრივი: ბანკოტების, მონეტების, ჩეკების, აქციების, ვალუტების, ბანკების და ა.შ. კოდები, ასევე ლოკალური: საბანკო ანგარიშების, სარეგისტრაციო ნომრების, კლიენტთა ნომრების კლასიფიკატორები და ა.შ.

თანამედროვე საინფორმაციო საბანკო სისტემის ინფორმაციული სტრუქტურა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ოპერაციულ-აღმრიცხველი სამუშაოების ავტომატიზაციის გარდა, ანალიტიკური და ასევე საკრედიტო დაწესებულების მდგომარეობის პროგნოზირების შესაძლებლობას, აგებულია მონაცემთა საცავის (data warehouse) საფუძველზე. მონაცემთა საცავი არის ლოგიკურად ინტეგრირებულ მონაცემთა ნაკრები, რომელიც უზრუნველყოფს ანალიზისათვის და გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ინფორმაციაში მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად შეღწევას. მონაცემთა საცავი ხასიათდება შემდეგი თვისებებით:

- მოიცავს მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება სასარგებლო იქის გადაწყვეტილების მიღების პროცესისათვის;

- ინფორმაციის დაცვა, რომელიც ითვალისწინებს მონაცემების უცვლელობას და არამოდიფიცირებას და მათთან შეღწევას მხოლოდ წაკითხვის რეჟიმში;

- სხვადასხვა წყაროებიდან მოწოდებული მონაცემების ინტეგრაცია, მათი შემოწმება, შეჯამება და ერთიან ფორმატში დაყვანა;

- აგრეგაცია, რომელიც თვალისწინებს მოწესრიგებული და განსაზღვრული სახით გადამუშავებული, ანუ შეჯამებული ინფორმაციის შენახვას;

- ოპერატორული გადამუშავებისა და ანალიტიკური ამოცანების გადსაწყვეტად საჭირო მონაცემთა ნაკრების დაყოფა.

მონაცემთა საცავის შექსება წარმოებს პერიოდულად მონაცემთა დამუშავების ოპერატორული ე.წ. OLTP სისტემებიდან და ასევე სხვა გარეშე წყაროებიდან [8].

მონაცემთა საცავს აქვს აგრეგირებულ მონაცემთა სივრცის მრავალწანნაგოვანი კუბის სტრუქტურა. კუბის განზომილება – არის ერთი ტიპის მონაცემთა სიმრავლე, რომელიც წარმოადგენს ამ კუბის ერთ-ერთ წახნას. განზომილების დეტალიზაციის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ: ტერიტორიული ნიშანთვისებებით გაერთიანებული ფილიალები; მნიშვნელობათა თარიღი – ესაა კონკრეტული თარიღი (ან ინტერვალი), რომელშიც ტარდებოდა გამოთვლები; კლიენტები – ესაა რომელიმე ნიშანთვისებით დეტალიზებული კლიენტთა კოდები (მაგალითად, იურიდიული და ფიზიკური პირები, რეზიდენტი და არარეზიდენტი ბანკები და ა.შ.).

ოპერაციები მრავალგანზომილებიან კუბზე წარმოადგენს ინფორმაციის ანალიზის პროცედურებს. ესენია, მაგალითად, ბრუნვა, ჭრილის ფორმირება, დეტალიზაცია, პროექცია, აგრეგაცია. მონაცემთა საცავის განმასხვავებელი თვისება არის მეტამონაცემთა არსებობა, რომლებიც შეიცავს ცნობებს პირველად მონაცემთა წყაროებზე, მათგან ინფორმაციის ჩატვირთვის თაობაზე, გადამუშავების ალგორითმზე და ა.შ.

საბანკო სისტემის მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ ერთმანეთში ინფორმაციის გაცვლა, ანუ მომხმარებელი უნდა იყოს ერთდროულად როგორც მონაცემების გადამცემი, ასევე მათი მიმღებიც. კლიენტი გადასცემს ბანკს ინფორმაციას თვის ოპერაციებზე და ღებულობს საშედეგო დოკუმენტებს და მოთხოვნებზე პასუხებს. ფილიალები უგზავნის თვის ანგარიშებს ცენტრალურ ბანკს და ღებულობს ინსტრუქციულ მასალას და ინფორმაციულ ბაზაში შეღწევის უფლებას.

ბანკის ინფორმაციულ სისტემაში მუდმივმა ცვლილებებმა, მოქმედების არის გაფართოებამ, სიახლეების დაწერგვამ საბანკო სფეროს პროგრამულ-აპარატულ უზრუნველყოფაში და ინფორმაციული


ტექნოლოგიების საშუალებებში, ბანკთაშორისი კონკურენციის ვაზრდამ და გლობალური კომპიუტერული ტელეკომუნიკაციური ქსელების (პირველ რიგში Internet-ის) სწრაფმა განვითარებამ ხელი შეუწყო კლიენტების ელექტრონული მომსახურეობის სპექტრის გაფართოებას.

საბანკო ტექნოლოგიის ძლიერ და შედარებით ახალ ინფორმაციულ უზრუნველყოფას წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის სისტემის, კერძოდ ექსპერტული სისტემის გამოყენება. ასეთი სისტემების ერთ-ერთი კლასია ნეიროქსელები.

მათი ძირითადი დანიშნულებაა სპეციალური ალგორითმის საფუძველზე ინფორმაციის განზოგადება მონაცემებს შორის კავშირის დაგენით. დღესდღეისობით ნეიროპაკეტები უფრო მეტად გამოიყენება საბანკო სფეროში ფასიანი ქაღალდების მართვისათვის, ფინანსური ანალიზის ამოცანების გადასაწყვეტად და დასაგეგმად, იპოთეკური დაკრედიტების, საკრედიტო რისკის შეფასებისათვის და ა.შ. [29].

თანამედროვე პროგრამული აპლიკაციების აგების UML-ტექნოლოგიის გამოყენებით საბანკო სისტემის მოთხოვნილებათა განსაზღვრისა და ობიექტ-ორიენტირებული ანალიზის ეტაპებზე დავადგინეთ მოშსმარებელთა როლების, ფუნქციების, ინტერაქტიული პროცესების, კლასებისა და ობიექტების, მოდელმარეობათა დიაგრამებისა და კლასთა ასოციაციების (ნახ.3.1) სქემების ერთობლიობანი.

მონაცემთა საცავის დასაპროექტებლად ვიყენებთ ობიექტ-როლური მოდელის ORM-დიაგრამას, რომლის საფუძველზეც აიგება არსოთადმოკიდებულების ER-მოდელი. ასეთი სისტემების საფუძველი იყო და კვლავაც რჩება მონაცემთა რელაციური მოდელები და ბაზები [46-:49]. განსაკუთრებით ეფექტურია ასეთი მოდელების გამოყენება მარკეტინგული ამოცანების გადაწყვეტისას [50].



### ნახ.3.1. კლასთა-ასოციაციის დაგრამა

ასეთი კონცეპტუალური სქემის დაპროექტება ჩვენი კლასების დაგრამისათვის შესაძლებელია „ფიფქის“ ან „ვარსკვლავის“ ტოპოლოგიით (ნახ.3.2).




ნახ.3.2. ტოპოლოგია: ფიფქი და ვარსკვლავი

### 3.3 ნახაზზე მოცემულია

**MsVisio->Database->ModelDiagram**

ინსტრუმენტით აგებული ვარსკვლავური ER-სქემა. აյ მითითებულია პირველადი (PK) და მეორეული (FK) გასაღებები და ინდექსური (I) ატრიბუტები. ისრებით გამოსახულია კლასთა შორის ასოციაციური გაფშირები.



### ნახ..3.3. ER-დიაგრამის ფრაგმენტი

ვისარგებლოთ ბანკში  $i$ -ური კლიენტის შემოსავლების ანგარიშის მეთოდით [30]. ჩვენი მოდელისთვის მას ექნება ასეთი სახე:

$$E_i = P_i + C_i + K_i + T_i + N_i, \text{ სადაც}$$

$E_i$  - ეკონომიკური მოგება კლიენტიდან;

$P_i$  - პირდაპირი შემოსავლების სალდო კლიენტიდან;

$C_i$  - სარეზერვო მოძრაობის სალდო კლიენტის საკრედიტო პოზიციების მიხედვით;

$K_i$  - საკომისიო შემოსავლების და დანახარჯების სალდო, მიღებული კლიენტიდან;

$T_i$  - სატრანსფერო შემოსავლების და დანახარჯების სალდო კლიენტის რესურსების მიხედვით;

$N_i$  - ზედდებული ხარჯები კლიენტის მომსახურებიდან.

თითოეული კლიენტის შემოსავლების შეფასების  
ადექტურობისათვის მიღებული მნიშვნელობა შეუძარდება  
მოულოდნელი ზარალის რისკს j-ოპერაციის მიხედვით:

$$R_{ij} = E_i / R * 100\%, \text{სადაც}$$

R- საერთო რისკია i-ერთი კლიენტის ყველა ოპერაციისათვის.

თანამედროვე პროგრამული UML-ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია კორპორაციული მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტების პროცესების ავტომატიზაცია, რაც საგრძნობლად ამცირებს სისტემის შექმნის დროს და ხარჯებს, ქმნის პირობას სტანდარტული პაკეტების ასაგებად დაპროგრამების უახლეს ენებზე (C#, C++, VB, Java). ნაშრომში წარმოდგნილია კომერციული ბანკის მაგალითზე მონაცემთა საცავის აგებისა და პროგრამული სისტემის კლასთა დიაგრამების დაპროექტების ფრაგმენტები.

### 3.2. მონაცემთა საცავის დაპროექტება გადაწყვეტილებათა მიღების მხარდაჭერი სისტემისათვის

მართვის კომპიუტერული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის აგების პროცესების სრულფასოვანი ავტომატიზაცია კომპონენტურ-ვიზუალური დაპროგრამების სახელწოდებით დამკვიდრდა და იგი მოდელების გრაფო-ანალიზურ წარმოდგენას ეყრდნობა. ასეთი ინსტრუმენტები ფლობს როგორც პირდაპირ (გრაფიკიდან პროგრამული კოდისაკენ), ასევე რევერსიულ (კოდიდან გრაფიკისაკენ) ტექნილოგიას [43,63,64].

შეიძლება აღნიშნოთ, რომ UML-ტექნოლოგია დაპროგრამების ენებისა და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების ინტეგრირებული გამოყენებისა და მის საფუძვლზე შექმნილი ინსტრუმენტების (Rational Rose, Ms Visio, ParadigmPlus და სხვ.) მეთოდოლოგიას წარმოადგენს [15,18]. ფორმალურად იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც „წარმოებული კლასი“ დაპროგრამების ენისა და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემის „საბაზო კლასებიდან“, რომელსაც გააჩნია როგორც „მშობლების“ თვისებები, ასევე ახალი, მძლავრი ვიზუალური მახასიათებლები.

რელაციურ მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები დღესაც აქტუალურ მიმართულებად ითვლება (მაგალითად, Oracle, MsAccess,

MsSQLServer, InterBase, MySQL და სხვ.). ამ სისტემებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საპრობლემო სფეროს კონცეპტუალური სქემა ანუ ER-მოდელები (Entity-Relations Model), რომლის საფუძველზეც დაპროექტდება შემდგომში მონაცემთა ბაზის ლოგიკური სტრუქტურა [31].


დაპროგრამების ენებთან შედარებით მბმს იყო პირველი ცდა პროგრამულ კოდში მონაცემთა სტრუქტურების აგების ავტომატიზაციისათვის. ობიექტ-ორიენტირებულ დაპროგრამების ენებში და UML-ტექნოლოგიაშიც ეს კონცეპტუალური ER-მოდელები, „კლასების დიაგრამების“ სახით, მნიშვნელოვანი ვიზუალური კომპონენტია. მომხმარებელი Use Case (გამოყენებითი შემთხვევა) დიაგრამებიდან ააგებს კლასების, შემდეგ კი კომპონენტების დიაგრამებს, რომლებიც საბოლოოდ ფიზიკური განლაგების დიაგრამებში აისახება [15].

90-ანი წლებიდან მნიშვნელოვად განვითარდა სტრუქტურული დაპროგრამებისა და ობიექტ-ორიენტირებული მოდელირების კონცეფციები (C++, Java), ხოლო 2000 წლიდან დღემდე ეს ენები კომპონენტური და ვიზუალური თვისებებით გამდიდრდა.

C#, XML, Visual-C++, Visual Basic, J++ და სხვ. კომპიუტერული დაპროგრამების ის ინტეგრირებული პაკეტებია რომლებიც დღეისათვის ყველაზე პოპულარული და აქტუალურია ამჟრიკისა და ეპროპის თითქმის ყველა უნივერსიტეტსა და ბიზნესის მართვის სფეროში [54-:60].

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ თვალსაზრისით უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგია, რომელიც .NET პლატფორმითაა ცნობილი. იგი აღჭურვილია ისეთი სპეციალური მედიატორული თვისებებით, რომლებიც უზრუნველყოფს ზემოჩნდოთვლილ დაპროგრამების ენებს შორის სრულ თავსებადობას [74-77,79,82,83].

წინამდებარე პარაგრაფის მიზანი სწორედ ამ ტექნოლოგიაზე მონაცემთა რელაციური ბაზების აგების (ORM/ERM – მოდელების) ავტომატიზაციის საკითხები არის წარმოდგენილი (ნახ.3.4).




### ნახ.3.4. მბ-ის დაპროექტების პროცესის რევერსიული მექანიზმის კომპონენტები


განიხილება განაწილებული ბაზების ობიექტ-ორიენტირებული დამუშავების ამოცანა, რაც საგრძნობლად ამცირებს სისტემების ინფორმაციული და პროგრამული პაკეტების აგების დროს. 3.5 ნახაზზე მოცემულია საპრობლემო სფეროს მოდელირებისა და მონაცემთა ბაზაში ავტომატიზებული ასახვის ამოცანის ძირთადი ეტაპებისა და მათი რეალიზაციის ინსტრუმენტული საშუალებების სქემა.

ცოდნა, რომელიც საპრობლემო სფეროს შესახებ გააჩნია მომხმარებელს, სპეციალური ინტერფეისების საშუალებით, რომელთა საფუძველს ფორმალური ენის გრამატიკის კატეგორიები და ლოგიკურ-ალგებრული მეთოდები შეადგენს, გადაეცემა ობიექტ-როლური მოდელირების კომპიუტერულ პროგრამას [25].

3.6 ნახაზზე მოცემულია ERM-მოდელის შესაბამისი DDL-ფაილის ავტომატიზებული კორექტირების პროცედურები. შემდგომში ფაილი მიუერთდება MsSQL Server-მონაცემთა ბაზას (იხ. შემდეგი პარაგრაფი).



ნახ.3.5. მგბ-ის დაპროექტების პროცესის ავტომატიზაციის ზოგადი სქემა



### ნახ.3.6. DDL ფაილების ავტომატიზებული კორექცია

ამგვარად, განაწილებული სისტემების მონაცემთა ბაზების დაპროექტება/აგების ამოცანების გადაწყვეტა დაპროგრამების უნიფიცირებული, ვიზუალურ-კომპონენტური, ობიექტ-ორიენტირებული მეთოდებითა და შესაბამისი ინსტრუმენტული საშუალებებით საერთობლად ამცირებს სისტემების რეალიზაციის დროს და ამაღლებს მისი ფუნქციონირების ხარისხს და მოქნილობას.

### 3.3. Ms SQL Server სისტემის არქიტექტურა


MicroSoft ფირმამ Windows-2000 Server პლატფორმაზე შექმნა მონაცემთა განაწილებული რელაციური ბაზების მართვის სისტემა SQL Server. SQL Server მუშაობს აგრეთვე Unix, Linux, Macintosh და სხვა ოპერაციულ პლატფორმებთანაც, რაც მის უნივერსალურობასა და მოქნილობაზე მეტყველებს.

SQL Server მონაცემებთან მიმართვისათვის იყენებს ოთხ ძირითად ინტერფეისს: OLE DB, ODBC, DB Library და Transact-SQL. მომხმარებლისათვის, რომელიც მუშაობს Windows-სისტემასთან, ეს ინტერფეისები რეალიზებულია დინამიკურად მიერთებადი ბიბლიოთეკის, DLL-ფაილების სახით. Web-კლიენტებისთვის ქსელური ბიბლიოთეკის გამოძახება ხდება IPC (Interprocess Communication) კომპონენტებით.

MsSQL Server შედგება ოთხი ძირითადი კომპონენტისგან:

- Open Data Services SQL Server - უზრუნველყოფს ინტერფეისს ქსელურ ბიბლიოთეკებსა და თვით MSSQL Server-ის ბირთვს შორის;
- MSSQLServer - მართავს მონაცემთა ბაზის ყველა ფაილს, ამუშავებს მომხმარებელთა მოთხოვებს, ანაწილებს სისტემურ რესურსებს, ამოწმებს მომხმარებელთა სააღრიცხვო ჩანაწერებს;
- SQLServer Agent - ახორციელებს დავალებათა დაგეგმვას და SQLServer მოვლენათა დამუშავების ავტომატიზაციას;
- MSDTC (Microsoft Distributed Transaction Coordinator) - როგორც განაწილებული ტრანზაქციების კოორდინატორი იგი მართავს მოთხოვნების შესრულებას მონაცემთა ბაზების რამდენიმე სერვერთან. MSDTC სერვისი შეიძლება ამუშავდეს როგორც SQL Server ბირთვიდან, ასევე კლიენტთა გამოყენებითი სისტემიდან.

SQL Server სისტემა მოთხოვნების დამუშავების SQL-ენის ნაცვლად იყენებს Transact-SQL დაალექტს. ეს არის მონაცემთა ბაზის ცხრილების, სვეტების, ჩანაწერების, ტრიგერებისა და შენახვადი პროცედურების შექმნის, მოდიფიკაციისაა და წაშლის ენა. ამ ენის ინსტრუქციები დაყოფილია სამ ქვესიმრალედ: DDL - მონაცემთა ბაზების ცხრილებისა და წარმოდგენების შესაქმნელად, DML-მოთხოვნების შესაქმნელად და მონაცემთა დასამუშავებლად, DCL (Data Control Language) - მონაცემთა ბაზასთან მიმართვის პროცედურების სამართავად. 3.7 ნახაზზე მოცემულია SQL Server-ის არქიტექტურა.



### ნახ.3.7

SQL Server სისტემის ინსტალირების დროს იქმნება ოთხი წყვილი სისტემური საბაზო ფაილი:


master.mdf - მონაცემთა ფაილი და mastlog.ldf - ტრანზაქციების ჟურნალის ფაილი. ამ ბაზებში ინახება SQL Server-ის კონფიგურაციისა და ფუნქციონირების შესახებ სრული ინფორმაცია. აქვეა მონაცემები სერვერის პარმეტრების, რეგისტრირებულ მომხმარებელთა და სისტემაში არსებულ სხვა ბაზების შესახებ.

model.mdf და modellog.ldf - ეტალონური (შაბლონური) მონაცემთა ბაზა, რომელიც გამოიყენება მომხმარებელთა ახალი ბაზების შესაქმნელად. იგი ავტომატურად გადასცემს ახალ ბაზას თავის პარმეტრებს (ცვლილებები დასშვებია).

msdb.mdf და msdblog.ldf - ეს ბაზა შეიცავს ინფორმაციას დავალებების (jobs), მოვლენებისა (alerts) და ოპერატორების (operators) შესრულებათა მომღევრობების დასაგეგმად.

tempdb.mdf და tempdblog.ldf - ბაზაში ინახება დროებითი ცხრილები. იგი SQL Server-ის გლობალური რესურსია. მომხმარებლის მიერთებისას SQL Server-თან ყოველთვის იხსნება ეს ბაზა, მუშაობის დამთავრებისას კი იგი ავტომატურად წაიშლება.


ახლა განვიხილოთ SQL Server-ის ძრითადი ობიექტები (ნახ.3.8). მათ საილუსტრაციოდ გამოვიყენებთ SQL Server Enterprise Manager უზილიტას (სერვისული პროგრამა).



ნახ.3.8

### 3.3.1. ცხრილები

**Tables** - ცხრილები მონაცემთა ბაზის ჩანაწერების (სტრიქონების) შესანახი კომპონენტია. იგი შედგება სახელმინიჭებული ატრიბუტებისგან (სვეტებისაგან), რომელთაც აქვს განსაზღვრული ტიპი და სიგრძე. SQL Server-ში არსებობს სისტემური და მომხმარებლის ცხრილები. სისტემურის სახელები იწყება sys-ით. 3.9 ნახაზზე ნაჩვენებია აზალი ცხრილის შექმნის ინტერფეისი, ხოლო 3.10-ზე უკვე კონკრეტული მონაცემებით შევსებული „მწარმოებლის“ ცხრილის ფრაგმენტი.



ნახ.3.9. create New Table


#### მწარმოებელი

mzarmid	saxeli	galagi	misamarTi	tel	Fax
1	mzarmoebeli-1	Tbilisi	didi diRomi	34-20-20	34-20-21
2	mzarmoebeli-2	Gori	stalinis 79	2-22-22	<NULL>
3	mzarmoebeli-3	Tbilisi	muxiani	60-60-60	60-60-61
4	mzarmoebeli-4	baTumi	abaSiZis 100	6-66-66	6-66-99
*					

ნახ.3.10. Table

### 3.3.2. ატრიბუტები (სვეტები)

**Columns** - სვეტები, ანუ ცხრილის ველები (Column name), რომელთა შემსრულებები შეიძლება მათი ტიპებისა (Data type) და სიგრძეების (Length) მიხედვით (ნახ.3.11).



The screenshot shows the 'Table and Index Properties' window for a table named 'market'. The table has six columns: 'Name' (highlighted in yellow), 'Type', 'Length', and 'Allow Nulls'. The data rows are as follows:

Name	Type	Length	Allow Nulls
mzamiri	int	4	
saxeli	char	30	✓
qalaqi	char	20	✓
misamarTi	char	30	✓
tel	char	12	✓
fax	char	12	✓


ნახ.3.11

SQL Server-ში მონაცემთა 30-მდე ტიპია. მაგალითად, int - მთელრიცხვა (4 ბაიტით), smallint - მთელრიცხვა (2 ბაიტით), real - ნამდვილრიცხვა (4 ბაიტით), float - ნამდვილრიცხვა (8 ბაიტით), money - ფულადი ტიპი (8 ბაიტით), char[n] - სიმბოლური

ფიქსირებული სიგრძით (n ბაიტით), varchar[n] - ცვლადი სიგრძის სიმბოლოები (n ბაიტით) და ა.შ. მონაცემთათვის კონკრეტული ტიპის შერჩევა შესაძლებელია Data type სვეტში "თაგუს" მარჯვენა ღილაკით მენიუს გამოძახებით.

### 3.3.3. ინდექსები

**Indexes** - ინდექსები გამოიყენება დიდ ცხრილებში მონაცემთა მოწერილებული შენახვისათვის და შემდგომ ძებნის ოპერაციების დასაჩქარებლად. ერთ ცხრილს შეიძლება რამდენიმე სხვადასხვა ინდექსი ჰქონდეს. ფიზიკურად ესაა ცალკე ფაილი საკუთარი სახელით, რომელსაც კაშირი აქვს ძირითად ცხრილთან, სადაც მონაცემები ფიზიკურად ინახება. 3.12 ნახაზზე ნაჩვენებია ეს შემთხვევა.



### ნაზ.3.12

ინდექსი, რომელიც უნიკალურია ცხრილისათვის (ანუ მასში არ ხდება გასაღებური ველის მნიშვნელობის გამორება), შეიძლება პირველად გასაღებად იქნეს არჩეული. ასეთია ჩვენს შემთხვევაში „მწარმოებლის იდენტიფიკატორი“ (mzarmid). 3.13 ნახაზზე მოცემულია გასაღებური ატრიბუტი.

The screenshot shows a table structure with columns: Column Name, Data Type, Length, and Allow Nulls. The first column, 'mzarmid', is set as the primary key. The table has six rows with columns: mzarmid, saxeli, qalaqi, misamariTi, tel, and Fax. A context menu is open over the 'mzarmid' column, with 'Set Primary Key' selected. Other options in the menu include Insert Column, Delete Column, Task, Select All, Save, Indexes/Keys..., Relationships..., Check Constraints..., and Properties.

Column Name	Data Type	Length	Allow Nulls
mzarmid	int		<input checked="" type="checkbox"/> Set Primary Key
saxeli	char		<input type="checkbox"/> Insert Column
qalaqi	char		<input type="checkbox"/> Delete Column
misamariTi	char		<input type="checkbox"/> Task
tel	char		<input type="checkbox"/> Select All
Fax	char		<input type="checkbox"/> Save

### ნაზ.3.13


SQL Server-ში გამოიყენება ორი ტიპის ინდექსი: კლასტერული და არაკლასტერული. პირველის შემთხვევაში ცხრილი ფიზიკურად მოწესრიგდება ამ ინდექსით (ასეთია მაგ., გასაღებური ველი). ერთ ცხრილში დასაშვებია მხოლოდ ერთი კლასტერული ინდექსი.

არაკლასტერულია დანარჩენი ინდექსები (მაქსიმუმ 249), რომლებიც ამ ინდექსირებული ველის მოწესრიგებითაა დალაგებული, მაგრამ ძირითად ცხრილში ჩანაწერების მიმდევრობა არ იცვლება.

ინდექსური ველი შეიძლება შედგენილი იყოს ცხრილის რამდენიმე ველის სახელისგან. მაშინ ჩანაწერების მოწესრიგება ხდება ზრდადობით ან კლებადობით ამ ველების შესაბამისად. კერ ლაგდება პირველი ველით, შემდეგ მის შიგნით მეორით და ა.შ.

### 3.3.4. წარმოდგენები

**Views** - წარმოდგენები იქმნება შესაბამისი ცხრილებიდან მომზარებელთა მოთხოვნების საფუძველზე (მაგ., Select-ინსტრუქციით). მასში არაა ჩაწერილი რეალური მონაცემები, იგი ვირტუალური ცხრილია, სადაც შეიძლება გარკვეული მანიპულაციების ჩატარება მონაცემთა მიზნობრივი დამუშავებისთვის. 3.14 ნახაზზე ნაჩვენებია წარმოდგენის ფრაგმენტი ცხრილისათვის - „დამკვეთი“.



ნაზ.3.14

შედეგში გამოსატანი ველები უნდა მოინიშნოს ცხრილის მართვულობისში. ავტომატურად შეივსება ქვედა ცხრილი (Column, Alias, . . .), პარალელურად კი ფორმირდება SQL-მოთხოვნაც. აქ

შესაძლებელია მოთხოვნის კორექტირება ზელითაც, მაგ., ჩავამატოთ სტრიქონი WHERE qalaqi='Tbilisi'.

ამუშავება (Run) ხდება მენიუდან " ! " - პიქტოგრამით. საშედეგო წარმოდგენა მოცემულია ნახაზის ქვედა ცხრილში. ჩვენს შემთხვევაში ერთი სტრიქონია „დამკვეთი თბილისიდან“.

### 3.3.5. მთლიანობის შეზღუდვები

**Constraints** - შეზღუდვები მთლიანობაზე უზრუნველყოფს მონაცემთა მთლიანობას ცხრილების ან სეტების დონეებზე. SQL Server-ში გამოიყენება ხუთი ტიპის შეზღუდვა:

- PRIMARY KEY : შეზღუდვა პირველად გასაღებზე. ცხრილის საზღვრებში პირველადი გასაღების მნიშვნელობა უნიკალურია (არ არსებობს მისი ორი ერთნაირი, ან Null-ის ტოლი მნიშვნელობა). ეს შეზღუდვა უზრუნველყოფს მონაცემთა ლოგიკურ მთლიანობას.

- FOREIGN KEY : შეზღუდვა მეორეულ გასაღებზე უზრუნველყოფს ცხრილთაშორისი კავშირების მთლიანობას. ეს კავშირები აიგება პირველადი და მეორეული გასაღებების ბაზაზე.

- UNIQUE : შეზღუდვა უნიკალურობაზე უზრუნველყოფს სვეტისათვის მნიშვნელობათა განუშერებელობას. უნიკალურობა პირველადი გასაღების უზუქციაა. შეიძლება ასევე უნიკალურობით ინდექსის შექმნა სხვა სვეტისათვისაც. მისთვის დასაშვებია Null მნიშვნელობაც.

- CHECK : შეზღუდვა მნიშვნელობაზე უზრუნველყოფს შესატანი მონაცემების კონტროლს. საკონტროლო მნიშვნელობათა დიაპაზონები წინასწარ განისაზღვრება სვეტებისათვის.

- NOT NULL : შეზღუდვა განუსაზღვრელ მნიშვნელობაზე უზრუნველყოფს სვეტისათვის არანულოვანი (განუსაზღვრელი) მნიშვნელობის თავიდან აცილებას.

**Rules** - წესები გამოიყენება ცხრილის სვეტებზე მნიშვნელობათა შეზღუდვების (CHECK) მსგავსად. ერთ (ან რამდენიმე) სვეტზე მხოლოდ ერთი წესია მიმაგრებული. ყველა სვეტს შეიძლება საკუთარი წესი ჰქონდეს. CHECK-ით კი შეიძლება რამდენიმე შეზღუდვის გამოყენება ერთ სვეტზე. ამიტომაც რეკომენდებულია სისტემებში მისი ხმარება.

**Defaults** - მნიშვნელობები გამოუცხადებლად (ავტომატურად) მიენიჭება სვეტებს ცხრილის შექმნის დროს.

**Trigger** - ტრიგერი შენახვადი პროცედურაა, რომელიც სრულდება ავტომატურად SQL Server-ის ცხრილის განახლების დროს UPDATE, INSERT ან DELETE ინსტრუქციებით. ტრიგერების ინსტრუქციების ჩაწერა ხორციელდება Transact-SQL ენის ოპერატორთა ერთობლიობით.

ისინი გამოიყენება როგორც FOREIGN KEY-შეზღუდვები ცხრილთაშორისი კავშირების მთლიანობის უზრუნველსაყოფად, ოღონდ შედარებით როგორც კავშირების აღსაწერად.

ტრიგერების ამუშავება დამოკიდებულია მონაცემთა მნიშვნელობებზე. მაგალითად, თუ ცხრილში მოხდება რაიმე მონაცემთა ცვლილება, ტრიგერს შეუძლია მისი დაფიქსირება ტრანზაქციების უკანასკნელში.

### 3.3.6. შენახვადი პროცედურები

**Stored procedure** - შენახვადი პროცედურა არის Transact-SQL ენის ინსტრუქციების ერთობლიობა, რომელიც შექმნის დროს კომპილირდება სპეციალურ ფორმატში (შესრულების გეგმა).

ესაა მონაცემთა ბაზის ადმინისტრირების ძალზედ მოქნილი და ეფექტური საშუალება. მასზე შეიძლება ჩაიწეროს მონაცემთა დამუშავების როგორც და მრავალფეროვანი ლოგიკური პროცესები.

შენახვადი პროცედურის შექმნის შემდეგ მისი შესაბამისი შესრულების გეგმა სისტემის მიერ განიცდის ოპტიმიზაციას გამოყენების ეფექტურობის ამაღლების თვალსაზრისით.

**Extended stored procedures** - გაფართოებადი შენახვადი პროცედურები იქმნება dll ფაილების სახით დაპროგრამების ენების საფუძველზე, მაგალითად Visual Basic, C++, C#, Java და სხვ.

მათი შექმნის შემდეგ ყოველი ფუნქცია უნდა დარეგისტრირდეს SQL Server-ში sp\_addextendedproc შენახვადი პროცედურით.

### 3.4. მოთხოვნების დამუშავების ინსტრუმენტი Query Analyzer

სერვისული პროგრამა Query Analyzer (მოთხოვნების ანალიზატორი) გამოიყენება მონაცემთა ბაზასთან ინტერაქტიულ რეჟიმში სამუშაოდ, კერძოდ, SQL-ინსტრუქციების ჩასაწერად, შენახვადი პროცედურების შესაქმნელად, მოთხოვნების შესრულების გასაანალიზებლად და მათი სტატისტიკის გასაცნობად.

იგი გამოიძახება შემდეგი სქემით:

Start | Programs | MS SQL Server | Query Analyzer.

ახლა განვიხილოთ კონკრეტული მოთხოვნები მონაცემების მისაღებად:

დავუშვათ, გვაინტერესებს არის თუ არა ბაზაში პროდუქციის დამკვეთი რომელიმე კონკრეტული ქალაქიდან (მაგ., გორიდან). 3.15 ნახაზზე იღუსტრირებულია ამ SQL-მოთხოვნის ჩაწერის ფრაგმენტი. ვინაიდან შედეგში გამოიტანება ორი სტრიქონული ატრიბუტის (ველის) მნიშვნელობა სიმბოლოების რაოდენობის სხვადასხვა სიგრძით, სასურველია მათი ზედმეტი ცარიელი სიმბოლოების უგულებელყოფა. ამისათვისაა შემოტანილი RTRIM-ფუნქცია (მარჯვენა მხრიდან პრობელების წაშლა). პასუხში "დამკვეთი-2" გორი" ერთმანეთთან ახლოს განლაგდება. მოთხოვნის ტექსტში "+" "+" ნიშნავს ორი სტრიქონის კონკატენაციას (გადაბმას) მათ შორის სასურველი პრობელების რაოდენობით.

```
select RTRIM(saxeli) + ' ' +
       RTRIM(qalaqi)
  from damkveti
 where qalaqi = 'gori'
```

(No column name)
1

damkveti-2 gori

ნაზ.3.15

მოთხოვნა: „დაკვეთილი პროდუქციის მიხედვით რამდენი კონტრაქტია გაფორმებული, რა ჯამური რაოდენობით და რა ჯამური თანხებით. შედეგები დაიბეჭდოს ჯამური თანხების მნიშვნელობების კლებადობით“.

ასეთი მოთხოვნების შესაბამისი SQL-ინსტრუქციები გამოიყენებს აგრეგატულ (ანუ სტატისტიკურ) ფუნქციებს (AVG - სვეტის მნიშვნელობათა საშუალო, COUNT - სტრიქონების რაოდენობა, MAX, MIN, SUM -ჯამი). გასაღებური სიტყვა DISTINCT <სვეტი> გამოიყენება აგრეგატულ ფუნქციებში განმეორებადი სტრიქონების გამოსარიცხად.

3.16 ნახაზზე იღუსტრირებულია ჩვენი მოთხოვნის შესაბამისი SQL-ინსტრუქცია აგრეგატული ფუნქციების გამოყენებით. ცხრილში სვეტების ახალი დასახელებების შემოტანა განხორციელებულია AS - კონსტრუქციით, sum(DamkvProd.Tanxa) AS jami.

```

Query - HOMESERVER.Market.HOME\Administrator - D:\PR1...
select Producti.dasaxeleba,
       count(DamkvProd.Tanxa) AS kontraktebi,
       sum(DamkvProd.raod)   AS dakvetis_raod,
       sum(DamkvProd.Tanxa)  AS jami

from DamkvProd, producti

where DamkvProd.productid=producti.productid

group by Producti.dasaxeleba
order by sum(DamkvProd.Tanxa) Desc
    
```

დასახელება	კონტრაქტები	დაკვეთის-რაოდ	ჯამი
პროდუქტი-1	3	1100	149500.0000
პროდუქტი-4	4	1750	146900.0000
პროდუქტი-2	2	1487	121525.0000
პროდუქტი-6	1	70	1890.0000
პროდუქტი-3	1	20	800.0000

ნაზ.3.16

ვინაიდან ჯამი (sum) გამოითვლება თითოეული პროდუქტის შესაბამისად, ამიტომ აუცილებელია **group by** - წინადადების გამოყენება, რომელშიც მიეთითება დაჯგუფების კრიტერიუმი, ჩვენს შემთხვევაში "Producti.dasaxeleba". და ბოლოს, შედეგების სტრიქონები გამოიტანება ჯამური თანხების მნიშვნელობების მოწესრიგებით (კლებადობით).

### 3.5. მესამე თავის დასკვნები

3.1.

3.2.

3.3.

## IV თავი

### პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავება

#### 4.1. გადაწყვეტილების მიღების შეარდამჭერ სისტემაში მრავალფაქტორული ამოცანის გადაწყვეტის პროგრამული რეალიზაცია

წინამდებარე პარაგურაფში განხილულია ბიზნეს-პროცესების ოპერატორული ანალიზის OLAP-ისტრუმენტის გამოყენების საკითხი [8]. შემოთავაზებულია განაწილებული მონაცემთა ბაზებიდან შერჩეული მონაცემების ერთიან გადაწყვეტილების მიღების შეარდამჭერ სისტემაში სტრუქტურიზებული ორგანიზება და შესაბამისი პროგრამული პაკეტის რეალიზაცია ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამების C++ ენის Decision Cube კომპონენტის გამოყენებით მრავალფაქტორული ანალიზის ამოცანებისთვის [19,61].

OLAP (Online Analyzing Processing) – ტექნოლოგიის ძირითადი მოთხოვნები და მისი რეალიზაციის პრინციპები შემოთავაზებულ იყო ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, ედვარ კოდის მიერ 1993 წელს [32]. როგორც ცნობილია, ის იყო რელაციური მოდელებისა და ბაზების პირველი ავტორი და ამ მიმართულების დამაარსაებელი [33]. დღეისათვის ეს ორი საკითხი მონაცემთა საცავში გადაიკვეთა, რომ იგი უნდა იყოს რელაციური ბაზების საფუძველზე აგებული და მასში გამოიყენებოდეს ონლაინური ოპერატორული ანალიზის სისტემა.

OLAP ტექნოლოგიის გამოყენებთ შესაძლებელია სხვადასხვა განაწილებული მონაცემთა ბაზებიდან მონაცემთა მოპოვება და მათზე ანალიზის ჩატარება. ამ ტექნოლოგიის არსი მდგომარეობს ინფორმაციის მრავალგანზომილებიანი კუბით წარმოდგენაში, რომელშიც მოსახერხებელია ინფორმაციის მანიპულირება.

იმისათვის, რომ კარგად გავაანალიზოთ, თუ რატომ არის ხელსაყრელი ინფორმაციის წარმოდგენა კუბის სახით და მისი ანალიზი, განვიხილოთ იგი ერთ-ერთ ორგანიზაციაში პროდუქციის მიმოქცევის მაგალითზე.


პირველ ეტაპზე ხდება ინფორმაციის თავმოყრა, რომელიც შეეხება საქონლის შემოსვლას, დატვირთვას, შეკვეთას, ანგარიშისწორებას და ა.შ. ამის შემდეგ უნდა შესრულდეს დოკუმენტბრუნვასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის გადაწყვეტა, ბოლოს კი დგება საკითხი, სისტემიდან საჭირო ინფორმაციის დროულად მისაღებად.

სისტემის მიმართ მოთხოვნა შესაძლოა გაუჩნდეს ორგანიზაციის ნებისმიერ თანამშრომელს, მაგალითად, თუ რა რაოდენობის პროდუქციად დარჩენილი სარეალიზაციოდ, როგორ არის დაკვიფული არსებული მონაცემები, რა მოგება დაგვიტოვა გაყიდულმა პროდუქციამ და ა.შ. მუშაობის პროცესში წარმოქმნილ ყველა შესაძლო მოთხოვნის დასაქმაყოფილებლად, ერთ-ერთი ოპტიმალური ვარიანტია **OLAP** ტექნოლოგიის გამოყენება და არსებული ინფორმაციის კუბი წარმოდგენა. **OLAP** სისტემის მუშაობის ზოგადი პრინციპი საკმაოდ ძარტივია, პირველ ეტაპზე ანგარიში წარმოვადგინოთ 4.1 ცხრილის სახით, რომლშიც არსებული მონაცემები განთავსდება სამგანზომილებიან კუბში:

#### ცხრ.4.1

შალაში	პროდ. დასახელ	იავერი	თბამრვალი	მარტი	აპრილი
თბილისი	უთო	10	22	15	47
	მტკერსასრუტი	2	7	5	14
	ჩაიდანი	17	34	20	71
ჯამი		29	63	40	132
გორი	მაცივარი	2	0	3	5
	ჩაიდანი	5	6	3	14
	ტელეფონი	12	22	7	41
ჯამი		19	28	13	60
ზუგდიდი	უთო	7	7	5	19
	ტელეფონი	10	12	15	37
	მტკერსასრუტი	2	3	0	5
ჯამი		19	22	20	61

4.1 ნახაზზე წარმოდგენილია სამგანზომილებიანი კუბი. განზომილებათა რაოდენობა შევიძლება შევირჩეს ნებისმიერი.



#### ნახ.4.1. მონაცემები სამგანზომილებიან კუბში

თუ მნიშვნელობათა განსაზღვრას ვაწარმოებთ ვერტიკალურად, მაშინ მივიღებთ ანგარიშთა 4.2 ცხრილს:

ცხრ.4.2


ქალაქი	იავეარი	თებერვალი	მარტი	აპრილი
თბილისი	29	63	40	132
გორი	19	28	13	60
ზუგდიდი	19	22	20	61
ჯამი	67	113	73	253

კუბთან მუშაობა საშუალებას გვაძლევს დავაჯვეუფოთ მონაცემები და წარმოვადგინოთ სხვადასხვა ჭრილში. ეს არის პრობლემათა გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი. მონაცემთა ასეთი სახით წარმოდგენა აიღლებს ინფორმაციასთან მუშაობას.


იმისათვის, რომ მივიღოთ კარგი შედეგი, აუცილებელია ეკრენზე გამოვიდეს არა მთლიანად კუბი არამედ მხოლოდ ის ნაწილი, სადაც წარმოდგენილია ჩვენთვის საჭირო ინფორმაცია, თუ არ გვაინტერესებს კონკრეტული ინფორმაცია მაგ. რომელიმე ქალაქის შესახებ, სადაც აწარმოებენ პროდუქციის გაყიდვას თავიდანვე ამოვაგდებთ განზომილებას „ქალაქი“.

OLAP- სისტემასთან მუშაობა მომზმარებლისათვის უნდა იყოს იმული და მინიმალური დროის განმავლობაში მიეწოდოს მაქსიმალურად ამომწურავი პასუხი დაყენებულ მოთხოვნაზე.


4.2 და 4.3 ნახაზებზე მოცემულია ჩვენი მაგალითისათვის რეალიზებული მომზმარებლის ინტერფეისის ფრაგმენტები პროდუქციის რეალიზაციის ჯამური თანხებისა და ამ თანხების ქალაქების მიხედვით გადანაწილების შესახებ. პროგრამირების სამუშაო გარემოდ გამოყენებულია ვიზუალური, ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამების პაკეტი Borland C++ Builder. „+“ სიმბოლო საშუალებას იძლევა კმართოთ მრავალფაქტორიანი ანალიზის ცხრილები. მაგალითად, 4.4 ნახაზზე წარმოდგენილია თანხების განაწილება მხოლოდ თვეების მიხედვუთ, ხოლო 4.5 ნახაზზე ქალაქებისა და თვეების მიხედვით.




ნახ.4.2. ჯამური რეალიზაციის თანხები



ნახ.4.3.. თანხები ქალაქების მიხედვით




ნახ.4.4. პროდუქციის რეალიზაცია თვეების მიხედვით



ნახ.4.5. პროდუქციის რეალიზაცია ქალაქებისა და თვეების მიხედვით

4.6 ნახაზზე მოცემულია პროდუქციის რეალიზაციის სურათი სამივე ფაქტორის გათვალისწინებით: ქალაქი, პროდუქცია და თვეები. ამასთანავე, ცხრილის სტრიქონებსა და სვეტებში მოცემულია ჯამური თანხების (Sum) მნიშვნელობები ქალაქების და თვეების მიხედვით.



ნახ.4.6. ცხრილი სამი ფაქტორის გათვალისწინებით


ამგვარად, OLAP-კონცეფცია არის ინფორმაციის მოპოვების ინსტრუმენტი, რომლის გამოყენება შესაძლებელა მრავალფაქტორიული ანალიზისათვის. ამ კონცეფციის რეალიზაცია ვიზუალური, ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამების ინსტრუმენტების საშუალებით იძლევა მოქნილი და ეფექტური ინტერფეისი აგების საშუალებას მრავალფაქტორიული ამოცანების გადასაწყვეტად, რომელთა ინფორმაცია განთავსებულია რელაციურ მონაცემთა ბაზებში.

#### 4.2. ავტომატიზებული საბანკო სისტემის პროცესების ანალიზი და ინფორმაციული ნაკადების დიაგრამები

ფუნქციონალური მოდელი წარმოადგენს მონაცემთა ნაკადების დიაგრამების ნაკრებს (მნდ), რომელიც აღწერს ოპერაციის არსეს [29]. მნდ ასახავს სისტემაში არსებულ მნიშვნელობების ფუნქციურ დამოკიდებულებას, შემავალი და გამომავალი მნიშვნელობების ჩათვლით. მნდ – არის გრაფიკი, რომელზეც მოცემულია მონაცემთა მოძრაობა მათი წარმოშობის წყაროებიდან მოშემარებლამდე, გარეკვეული პროცესების გავლით. მნდ ასახავს პროცესებს, რომლებიც გარდაქმნის მონაცემებს, მათ საცავს, ნაკადებს და მათი წარმოშობის ობიექტებს.


**პროცესები:** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროცესები გარდაქმნის მონაცემთა მნიშვნელობებს. ყველაზე ქვედა დონის პროცესები წარმოადგენს ფუნქციებს გარე ეფექტების გარეშე. ასეთი ფუნქციების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ: „ორი რიცხვის ჯამის გამოთვლა”, „საბანკო ბარათით ჩატარებული გატარების საკომისიო ნაერთის გამოთვლა”. მონაცემთა ნაკადის მთლიანი გრაფი ასევე წარმოადგენს პროცესს, თუმცა უფრო მაღალი დონისას. პროცესს შეიძლება გააჩნდეს გარე ეფექტები, თუ იგი შეიცავს არაფუნქციურ კომპონენტებს, როგორიცაა მონაცემთა საცავი ან გარეშე ობიექტები.

მონაცემთა ნაკადების დიაგრამაზე პროცესი გამოსახულია ელიფსის სახით, რომლის შიგნითაც თავსდება პროცესის სახელი. ყოველ მათგანს აქვს შემავალი და გამომავალი მონაცემების ფიქსირებული რაოდენობა (ნახ.4.7).




#### **ნაზ.4.7. პროცესთა ნაკადების დღიურამის ფრაგმენტი**

**მონაცემთა ნაკადები:** მონაცემთა ნაკადები აკვშირებს ერთ აბიექტს (ან პროცესს) მეორესთან. მათი მაგალითები მოცემულია 4.8 ნახ.აზზე. ისინი გამოისახება ისრების სახით და აკავშირებს ერთმანეთთან მონაცემების შრარმოებლებსა და მომშემარებლებს. პირველ მაგალითზე ნაჩვენებია მონაცემთა კოპირება, ორ აბიექტზე ერთიდაიმავე მნიშვნელობის გადაცემისას, მეორეზე – სტრუქტურის გელებად დაყოფა, სხვადასხვა აბიექტზე სხვადასხვა გელების გადაცემისას.




#### **ნახ.4.8. მონაცემთა ნაკადების დიაგრამის ფრაგმენტი**

**აქტიური ობიექტები:** აქტიური ობიექტი ეწოდება ისეთ ობიექტს, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა მოძრაობას, მათ მიწოდებას და მოხმარებას. როგორც წესი, აქტიური ობიექტები დაკავშირებულია მონაცემთა ნაკადების დიაგრამების შესასვლელებით და გამოსასვლელებითან. 4.9 ნახაზზე ისინი გამოსასვლია მართვული ხდებით.



#### ნახ.4.9. აქტური ობიექტების დაგრამის ფრაგმენტი

**მონაცემთა საცავი:** მონაცემთა საცავი არის პასიური ობიექტი მონაცემთა ნაკადების დიაგრამაზე, რომელშიც მონაცემები ინახება შემდგომ გამოყენებამდე. მისი მაგალითები მოცემულია 4.10 ნახაზზე. მონაცემთა აგრეგატული საცავები, როგორიცაა მაგალითად სიები და ცხრილები, უზრუნველყოფს მონაცემთა შეღწევას იგივე თანმიმდევრობით, როგორც ისინი იქნენ მიღებული.




#### ნახ.4.10. მონაცემთა საცავის დაგრამის ფრაგმენტები

**მართვის ნაკადები:** მონაცემთა ნაკადების დიაგრამა გვიჩვენებს მნიშვნელობების გამოთვლის ყველა გზას, მაგრამ არ გვიჩვენებს გამოთვლის თანმიმდევრობას.

გამოთვლის თანმიმდევრობის გადაწყვეტილება დაკავშირებულია პროგრამის მართვასთან და მიღება სპეციალური ფუნქციებით, ეწ. პრედიკატებით. ისინი ქმნის შესაბამის პირობებს პროცესების ჩასატარებლად. როგორც წესი, პრედიკატების ჩართვა ფუნქციურ მოდელში აუცილებელი არაა. ფუნქცია, რომელიც ღებულობს გადაწყვეტილებას პროცესის გაშვებაზე წარმოქმნის მართვის ნაკადს და მონაცემთა ნაკადების დიაგრამაზე გამოისახება წყვეტილი ისრით.

4.11 ნახაზზე გამოსახულია მართვის ნაკადის მაგალითი: კლიენტს, რომელსაც სურს ანგარიშიდან ფულის მოხსნა, შეაქვს ATM-ში პაროლი და თანხის რაოდენობა.



ნახ.4.11. მართვის ნაკადის დიაგრამის ფრაგმენტი

მუხედავად იმისა, რომ მართვის ნაკადების ჩართვა მონაცემთა ნაკადების დიაგრამაზე სასარგებლოა, გასათვალისწინებელია, რომ ეს იწვევს მის დინამიკურ მოდელში შემავალი ინფორმაციის დუბლირებას.

პროცესები მონაცემთა ნაკადების დიაგრამაზე საბოლოოდ რეალიზებულ უნდა იქას როგორც ობიექტის ოპერაციები. ამასთან ზედა დონის პროცესების რეალიზაცია შეიძლება განსხვავდებოდეს მათი წარმოდგენისგან, რადგან მათი რეალიზაციისას წარმოებს მათი ოპტიმიზაცია.

ყველა ოპერაცია შეიცავს მის სიგნატურას, ანუ ოპერაციის სახელს, რაოდენობას, თანმიმდევრობას, მისი პარამეტრებისა და მის მიერ გაცემული მნიშვნელობების ტიპებს და მისი ეფექტების აღწერას. ოპერაციის ეფექტების აღწერისათვის შეიძლება გამოვიყენოთ: მათემატიკური ფორმულები, ცხრილისებური ფუნქციები, განტოლებები, რომლებიც აკავშირებენ შემავალ და გამომავალ მნიშვნელობებს, ოპერაციის აქსიომატური გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების მიღების ცხრილები, ფსევდოკოდი და ბუნებრივი ენა.

ოპერაციის აღწერის მაგალითი, რომელშიც მისი ეფექტებია ასახული ბუნებრივი ენით, მოცემულია 4.12. ნახ.აზზე. ეფექტის აღწერისას გამოყენებულია ოპერაციები: „გატარების შეწყვეტა”, „მოთხოვნის გაცემა”, „ფულის გაცემა”, „ანგარიშის დებეტირება”, „ანგარიშის დაკრედიტება”.

ოპერაცია: „ანგარიშის შეცვლა” (ანგარიში, თანხა, გატარების ტიპი)  
შედეგი: ფული, ქვითარი

თუ თანხა უნდა მოიხსნას ანგარიშიდან და იგი აღემატება ანგარიშის ბალანსს, მაშინ - „გატარების შეწყვეტა”.

თუ თანხა იხსნება და იგი ნაკლებია ბალანსზე, მაშინ  
“თანხის დებეტირება” და “ფულის გაცემა”.

თუ ანგარიშზე ფული შეიტანება, მაშინ „ანგარიშის დაკრედიტება”.

თუ შეტანილია მოთხოვნა, მაშინ „მოთხოვნის გაცემა”.

ნებისმიერ შემთხვევაში ქვითარი უნდა შეიცავდეს:

ATM-ის ნომერის, თარიღის, დროს, ანგარიშის ნომერის, გატარების ტიპს, თანხას, ანგარიშის ახალ ბალანსს.

#### ნახ.4.12. ოპერაცის აღწერის მაგალითი

ინფორმაციული ტექნოლოგიის ყველა ოპერაცია შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად: მოთხოვნები, მოქმედებები და აქტიურობები.

მოთხოვნად ჩაითვლება ოპერაცია ობიექტის გარეგანი მახასიათებლებისათვის უკურეაქციის გარეშე.

მოქმედებად იწოდება ოპერაცია, რომელსაც გააჩნია სისტემის ობიექტზე მოქმედი გვერდითი მოვლენები. ყოველი მოქმედება განისაზღვრება ობიექტის ატრიბუტების და კავშირების ცვლილებით.

აქტიურობა ეწოდება ობიექტის მიერ ან ობიექტზე წარმოებულ ოპერაციას, რომლის შესრულებას სჭირდება გარკვეული დრო. მას ახასიათებს გარეშე მოვლენები. აქტიურობები შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ აქტიურ ობიექტებს, რადგან პასური ობიექტები უბრალოდ მონაცემთა შემნახველებია.

### 4.3. კორპორაციული მართვის სისტემის Web-აპლიკაციის დამუშავება Internet-Intranet გარემოში .NET-პლატფორმაზე

განიხილება კორპორაციული მართვის სისტემების ვებ-აპლიკაციების დაპროექტების და რეალიზაციის საკითხები. საფინანსო ბანკის კლიენტთა მომსახურების მაგალითზე ილუსტრირებულია მათი ინტერფეისული კომპონენტების აწყობისა და მონაცემთა სერვერული ბაზების ორგანიზების ამოცანები. სისტემა დამუშავებულია .NET-პლატფორმაზე, C#, ASP.NET, ADO.NET და SQL Server ობიექტ-ორიენტირებული ინსტრუმენტების გამოყენებით [45].

კორპორაციული სისტემები და მათი მართვის მექანიზმები ხასიათდება განსაკუთრებული სირთულით, დიდი ინფორმაციული ნაკადების ოპერატორულად დამუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების მცირე დროის არსებობის თვალსაზრისით, რაც აუცილებლად მოითხოვს ამ ორგანიზაციაში თანამდროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საფინანსო ბანკები (და არა მხოლოდ აქ) საინფორმაციო-მომსახურების სისტემების დაპროექტებას WEB ტექნოლოგიით, ნაცვლად სტანდარტული Windows დანართებისა (აპლიკაციებისა). აქტუალურად მიგვაჩნია ასეთი სისტემების შემუშავება .NET-პლატფორმაზე, C#, ADO.NET და ASP.NET დაპროგრამების ვიზუალური, ობიექტ-ორიენტირებული, ინტეგრირებული ინსტრუმენტების გამოყენებით [8,15].

დასაპროექტებული მართვის ინფორმაციული სისტემის ძირითადი მოთხოვნები ასე განისაზღვრა:

- ინფორმაციის უსაფრთხოების და დაცვის მაღალი დონე;
- სისტემასთან ურთიერთობის გამარტივებული და მისი მომსახურების სიადვილე;
- სისტემის მომხმარებლებთან ურთიერთობის მეგობრული ინტერესების არსებობა.

ნაშრომში შემოთავაზებულია საბანკო სისტემაში ვებ-ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ინფორმაციული სისტემების დაპროექტების და მისი შემდგომი რეალიზაციის საკითხები.

ისეთ საფრანგესო ორგანიზაციის ფილიალებში, როგორიცაა ბანკი, ინტერნეტ- ინტრანეტის პირობებში გაიზრდება უსაფრთხოება და სისტემის დაცვა. ინტრანეტი იცავს ორგანიზაციას თავისი შიდა ფაილებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის წვდომისაგან გარე პირთათვის. იგი წმინდა გამოიყენება ფაილების და მეილების ორგანიზაციის წევრთათვის ერთობლივი წვდომისათვის, და ამავე დროს გარე პირთათვის იგივე ინფორმაციის ბლოკირებისათვის.

კორპორაციის შიგა ვებ-პროგრამები, რომელიც შეზღუდულია სპეციფიკური მომხმარებლისა თუ კომპიუტერებისათვის, დიდად გამოსაყენებელია ფინანსურ ბანკებში, რამეთუ შიგა ქსელის დამონტაჟებით და ინტრანეტის გაყვანით, ყველა აუცილებელი ოპერაცია სრულდება და ამავდროულად ვირუსების, ტროიანების და ა.შ. საფრთხე მკვეთრად მცირდება.

ჩვენ ვიზილავთ კლიენტ-სერვერულ სისტემას, სადაც გვაქვს მხოლოდ ერთი დიდი სერვერი, რომელიც მოთავსებულია ბანკის (პირობითად) სათაო ოფისში. დანარჩენ ფილიალებში მოთავსებული კომპიუტერები კი წარმოადგენს კლიენტებს. ანუ საქმე გვაქვს ცენტრალურებულ სისტემასთან, რაც მკვეთრად ამცირდებს ადმინისტრირების ხარჯებს.

ვინდოუსის-პროგრამების შემთხვევაში სისტემის „მწყობრიდან გამოსვლის“ სისტემი გაცილებით მაღალია, ამიტომაც საჭიროებს მუდმივი თვალყურის დავნებას ადმინისტრატორის მიერ. ამ შემთხვევაში აუცილებელია პროგრამული უზრუნველყოფის დაყენება ყველა მომხმარებლის კომპიუტერზე. ინსტალირების პროცესი მოითხოვს დროს, ხოლო ახალი ვერსიების გამოსვლა კი ხელს უწყობს ამ დროის გაზრდას. რადგან როდესაც პროგრამული უზრუნველყოფის ახალი ვერსია გამოდის საჭიროა მისი ყოველ

კომპიუტერზე ხელახლი დაინსტალირება, რაც თავისთვად გამოიწვევს დროის ხარჯვას.

ვებ-პროგრამის შემთხვევაში ყველა ეს პრობლემა იხსნება. რადგან ვებ პროგრამა ჩაწერილია სერვერზე, და პროგრამისტთა ერთი ჯგუფიც კი საქმარისია, რათა ყველა ხარჯზე ადგილზევე, სერვერზევე აღმოიფხვრას.

როდესაც ვინდოუსის პროგრამებთან გვაქვს საქმე, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ კომპიუტერზე, სადაც ინსტალირდება ეს პროგრამა, უნდა იყოს დაინსტალირებული მთელი რიგი სხვა პროგრამები რათა ამ უკანასკნელმა იფუნქციონიროს. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ვებ-პროგრამისთვის კი სულერთია კლიენტის კომპიუტერზე რომელი ოპერაციული სისტემა იქნება დაინსტალირებული, ის ერთნაირად კარგად იმუშავებს, როგორც Windows-ის, ასევე Linux და Unix ოპერაციულ სისტემებში [34].

ვებ-პროგრამა აგებული გვაქვს Visual Web Dedeveloper 2005 Express-ის საშუალებით, რომელიც არის Microsoft Visual Studio 2005 ოჯახის წევრი და ASP.NET-ზე ვებ პროგრამების დაწერის საუკეთესო საშუალებას იძლევა. როგორც Express გამოცემა, ის წარმადგენს Visual Studio Standard-ის უფრო გაუმჯობესებულ ვარიანტს [35].

Visual Web Developer საშუალებრად აწყობილია ვებ პროგარმების დასაწერად და იყენებს ახალ ვებ-პროფილს, რომელიც მენიუს და ფანჯრის ვებ-პროგრამირებისთვის ოპტიმიზირებულ ვარიანტებს გვთავაზობს. პროგრამირების გარემო შეიცავს HTML კოდის რედაქტორს, ვებ გვერდების გაუმჯობესებულ დიზაინერს, ახალ საპროექტო სისტემას, მონაცემებთან მუშაობის უკეთეს მხარდაჭერას და XHTML-ის მოლიან მხარდაჭერას. ერთიანად ეს თვისებები აძლევს პროგრამისტს საშუალებას სწრაფად, ადგილად და ეფექტურად გამოიმუშაოს ვებ პროგრამა.

ვებ პროგრამის კოდის ძირითადი ნაწილი დაწერილია C#-ზე და ASP.NET-ზე. კოდის დინამიკური ნაწილი ASP-ზე, ხოლო სტატიკური ნაწილი HTML-ზე. მონაცემთა სერვერ-ბაზად შერჩეულია MS SQL Server, ხოლო დაპროგრამების ენად C# .NET. MS SQL Server პაკეტი კორპორაციული სისტემებისთვის დღეისათვის მეტად ეფექტურია

მასშტაბურობის, სწრაფქმედების და მწარმოებლურობის თვალსაზრისით [36,65,66].

ახლა განვიხილოთ კონკრეტული საილუსტრაციო მაგალითი ჩვენი სისტემიდან, კერძოდ კლიენტებისათვის საბანკო ანგარიშებების შეტანის (ან გატანის) მაგალითისათვის. იმისათვის, რომ სისტემა დაცული იყოს არასაქციური შეღწევებისაგან, გამოვიყენეთ აუტენტიფიკაციის მექანიზმი, რისთვისაც პირველ რიგში მომხმარებელი შეიტანს თავისი იდენტიფიკატორს და პაროლს.

სწორი აუტენტიფიკაციის შემდეგ მომხმარებელი მიიღებს სისტემის მთავარ გვერდს, რომელზეც გამოსახულია ვალუტის გაცვლის კურსი, მენიუ და ღილაკები (ნახ.4.13).

Address :  <http://localhost:1891/Bank/Admin/main.aspx>



The screenshot shows a web interface for a bank's administrative panel. At the top, there are two red buttons: "თქმულმაცია კლიენტზე" (Client Side) and "თქმულმაცია ანგარიშზე" (Bank Side). Below them, the message "you are logged in" is displayed next to a "Logout" link. There are three yellow buttons: "თქმულმაცია გვერდზე", "სალაროს თქმულმაცია გვერდზე", and "კონვერტაცია გვერდზე". A table below lists currency exchange rates:

Currency	OfficialCourses	Buy	Sell
USD/GEL	1.7820	1.7950	1.7720
EUR/GEL	2.1200	2.0000	2.3500
EUR/USD		1.1000	1.2550
GBP/GEL	3.0862	3.0000	3.2100
RUR/GEL	0.0622	0.0550	0.0720

#### ნახ.4.13. ინტერფეისის მთავარი გვერდი

„ინფორმაცია კლიენტზე“ ღილაკით ოპერატორი გადავა ვებ-გვერდზე, რომელზეც მას შეუძლია იხილოს ინფორმაცია კონკრეტულ კლიენტზე. ღილაკით “ინფორმაცია ანგარიშზე” გამოყენებისას ოპერატორი მოხვდება გვერდზე, რომელზეც მას შეუძლია ნახოს კლიენტის ანგარიშები.

თუ ოპერატორს სჭირდება ინფორმაცია კლიენტის ანგარიშების შესახებ, მას შეუძლია გადავიდეს გვერდზე „ინფორმაცია ანგარიში“, შესაბამისი სახელწოდების ღილაკით. კლიენტის მონაცემების (სახელი

და გვარი) შეტანით, სპეციალურად განკუთვნილ ტექსტურ კელებში, ის იხილავს ინფორმაციას კლიენტის ანგარიშების შესახებ. გამოტანილი იქნება შემდეგი ინფორმაცია: სახელი, გვარი, ანგარიშის ნომერი, ანგარიშის ტიპი, ბალანსი, ოვერდრაფტი, კრედიტი და ვალუტის ტიპი (ნახ.4.14).

### ინფორმაცია ანგარიშზე

Name	Surname	AccountNumber	TypeofAccount	Balance	Overdraft	Loan	Currency
Irma	Berdzenishvili	333010525	Current	1400.0000	0	0	GEL

სახელი  გვარი

### ნახ.4.14. გვერდი: „ინფორმაცია ანგარიშზე”

თუ კლიენტს სურს თანხის შეტანა ანგარიშზე, ამ შემთხვევაში ოპერატორი უნდა გადავიდეს გვერდზე „თანხის შეტანა”. აქ ოპერატორს აქვს საშუალება გადაამოწმოს კლიენტის ანგარიშები, რათა დადასტურდეს, რომ ის ანგარიში, რომელზეც კლიენტს შემოაქვს ფული, არსებობს. ეს შესაძლებელია ანგარიშის ნომრის მითითებით და შემდეგ ღილაკით „ანგარიშის ნახვა” (ნახ.4.15). გამოტანილი იქნება ინფორმაცია მითითებული ანგარიშის შესახებ. თანხის შეტანისას კელში “თანხა” ოპერატორმა უნდა მიუთითოს თანხის მნიშვნელობა და დანიშნულება.

Address

ინფორმაცია კლიენტზე	ინფორმაცია ანგარიშზე
ანგარიშის ნომერი	<input type="text"/>
<input type="button" value="ანგარიშის ნახვა"/>	
you are logged in <a href="#">Logout</a>	<input type="text" value="თანხა"/>
	<input type="text" value="დანიშნულება"/>
<a href="#">თემატიკური</a> > <a href="#">სადაცის თემატიკური</a> > <b>თანხის შეტანა</b> <b>თანხის გატანა</b> <a href="#">კონვენტაციები</a> >	

### ნახ.4.15. გვერდი: „თანხის შეტანა”

თანხის შეტანის დროს კლიენტის ანგარიშზე არსებული ბალანსი იცვლება. ოპერატორმა უნდა მოახდინოს ბალანსის რედაქტირება, რაც შესაძლებელია Edit ღილაკით. შესატანი თანხის მითითებით და update ღილაკით ოპერატორი ახორციელებს ცვლილებების შეტანას მონაცემთა ბაზაში კლიენტის ბალანსის შესახებ, კერძოდ, შეტანილი თანხა ემატება არსებულ ბალანს (ნახ.4.16).

მწვარმაცხა ანგარიშზე								
ანგარიშის ნომერი	333010525			ანგარიშის ნაწილი				
თანხა	300							
დანაშაულება	ანგარიშზე თანხის შეტანა							
	AccountNumber	TypeofAccount	Balance	Overdraft	Loan	Currency	Name	Surname
Edit	333010525	Current	1700.0000	0	0	GEL	Irma	Berdzenishvili

#### ნახ.4.16. თანხის შეტანის საბოლოო შედეგი

იგივე ხდება თანხის გატანისას, ოღონდ საპირისპირო ნიშნით. არსებულ ბალანსს აკლდება გამოტანილი თანხა.

დასასრულ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვებ-დანართების აგების პროცესების ავტომატიზაციით მიიღება მაღალი ხარისხის საიმედო პაკეტები. განსაკუთრებით ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორიცაა NET-პლატფორმა და C#, ASP.NET.

### 4.4. ავტომატიზებული ანალიზის სისტემის დაპროექტება სატენდერო კომისიის ექსპერტებისთვის

მოცემულ პარაგრაფში აღწერილია სატენდერო პროცესის ხელშემწყობი კომპიუტერული სისტემა, რომლის მიზნია სატენდერო კომისიის ექსპერტებისათვის აუცილებელი საინფორმაციო ბაზისა და მისი ოპერატიული ავტომატიზებული ანალიზის ჩატარების

განხორციელება. კონცეპტუალური მოდელი დაპროექტებულია ORM-დიაგრამისა და მისი შესაბამისი ER-მოდელის საშუალებით [44]. მონაცემთა ბაზა რეალიზებულია Ms SQL სერვერზე.

დღეს, მეტად აქტუალური გახდა ტენდერის ჩატარება წებისმიერ სფეროში, მშენებლობა იქნება ეს, სარემონტო სამუშაოები, მომარავება, ამა თუ იმ პროდუქციის შესყიდვა, თუ რომელიმე სხვა პროექტის განხორციელება. ტენდერს აცხადებს ორგანიზაცია, რომელსაც სურს გარკვეული მოცულობის ამა თუ იმ სამუშაოს შესრულება. ფირმები, რომელთაც სურს ამ სამუშაოს შესრულება, აკეთებენ ოფიციალურ განაცხადს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.


უმეტესად ასეთი საქმიანობით სხვადასხვა ტიპის სპეციალიზებული ფირმებია დაინტერესებული. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია საჭირო იურიდიული დოკუმენტაციის შეკრება სხვადასხვა დაწესებულებებიდან, ასევე აუცილებელია სატენდერო მოსაკრებლის გადახდა ტენდერის მოთხოვებში მითითებულ ბანკის ანგარიშზე. ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით შესასრულებელი სამუშაო დეტალურადაა წარმოდგენილი UML Activity-დიაგრამაზე (ნახ.4.17).

კონცეპტუალური მოდელის დასაპროექტებლად გამოყენებულია ობიექტ-როლური მოდელირება (ORM), რომელიც კონცეპტუალური მოდელირების განვითარებულ ტექნიკას წარმოადგენს.

ობიექტ-როლური მოდელირება მიახლოებულია ბუნებრივ სალაპარაკო ენასთან. ესაა მოდელირება ფაქტების საფუძველზე, სადაც საპრობლემო არე განიხილება, როგორც ობიექტების ერთობლიობა, რომლებიც თამაშობს გარკვეულ „როლებს“.

ობიექტ-როლური მოდელირების მეთოდი აქტუალურია და ფართოდ გამოიყენება საზღვარგარეთაც [24,37]. აღნიშნული ინსტრუმენტული საშუალებანი ემსახურება მონაცემთა ბაზის დაპროექტების ავტომატიზაციას.

UML-ტექნოლოგიის საფუძველზე პროგრამული პროდუქტების შექმნა მოითხოვს საკვლევი ობიექტის მოთხოვნილებათა განსაზღვრის, ობიექტ-ორიენტირებული ანალიზის, ობიექტ-ორიენტირებული დაპროექტებისა და რეალიზაციის (ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამების) ეტაპების განხორციელებას.



**ნახ.4.17. სატენდერო პროცესის მომზადების აქტიურობის დღაგრამა**

ობიექტ-როლური მოდელირების მეთოდი გამოიყენება საგნობრივი სფეროს პლატფორმის ეტაპზე და ახორციელებს ექსპერტების (დამპროექტებლების) მიერ გარკვეული ცოდნის, ფაქტების ფიქსირებას, რომელიც აუცილებელია ORM-დაგრამის (ობიექტ-როლური მოდელის) ასაგებად.

სატენდერო ამოცანების გადაწყვეტის ხელშემწყობი კომპიუტერული სისტემის აგების მიზნით შეიძლება შემდეგი ზოგადი ფაქტების ჩამოყალიბება, რაც შეესაბამება ზემოთ ნახაზზე მოცემულ აქტიურობათა დაიაგრამას:

„არსებობს ფირმა რომელიც აცხადებს ტენდერს, აგრეთვე ფირმა (ფირმები), რომელიც მონაწილეობს ტენდერში, და ბოლოს - გამარჯვებული ფირმას აქვთ რეკვიზიტები და ჰყავს მენეჯერი, აქვს საკუთარი ანგარიშის ნომერი ბანკში. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტები თავსდება კონვერტში, ილუქტება და იგზავნება ტენდერის მოთხოვნებში მითითებულ მისამართზე. აქვე მითითებულია ტენდერის ჩატარების თარიღი და დრო.


ტენდერის ჩატარების დროს ყველა მონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენელი, ვალდებულია გამოცხადდეს მითითებულ მისამართზე. სატენდერო კომისიის წევრები საჯაროდ გახსნიან დალუქტულ კონვერტებს, შეამოწმებენ იურიდიულად საჭირო დოკუმენტაციის არსებობას და შეადგენენ ოქმს ტენდერის დაწყებისა და მასში მონაწილე ორგანიზაციების შესახებ. თუ დოკუმენტაციას აკლია რომელიმე აუცილებელი დოკუმენტი, ან არასწორადა წარმოდგენილი, ასეთი ფირმა მოიხსნება ტენდერიდნ.

მომდევნო პერიოდში ტენდერის კომისიის წევრები დეტალურად გაეცნობან შემოთავაზებულ წინადადებებს, გადამოწმებენ საბუთებს, მსჯელობის შემდეგ ამოირჩევნ საუკეთესო (მისაღებ) წინადადებას და შემდგომ დაასახლებენ ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციას. დამარცხებულ ფირმებს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს ტენდერის ჩატარებელი ფირმის გადაწყვეტილება, რაც ხდება შემდგომი იურიდიული დავის საგანი.

გამარჯვებული ფირმის ანგარიშზე გადაირიცხება სამუშაოს დაწყებისათვის აუცილებელი თანხა და ა.შ.“

ასეთი არაფორმალიზებული აღწერიდან ფორმალიზებულზე გადასასვლელად არის საჭირო სწორედ ფაქტების გამოკვეთა,


რომლებიც შემდგომ ობიექტ-როლური დიაგრამისთვის გამოგვადება. 4.18 ნახაზზე მოცემულია „ტენდერის ჩატარების“ პროცესის ფაქტების გადატანა ORM-დიაგრამაზე.



**ნაზ.4.18. სატენდერო პროცესის ORM-დიაგრამა**

Ms Studio.Net პროგრამული ჰაკეტი, კერძოდ ს Vისით  
საშუალებას გვაძლევს და-დიაგრამიდან ავტომატურად ავაგოთ  
საპროცედურო სფეროს კონცეპტუალური მოდელი, და-დიაგრამა,  
რომელიც ჩვენი შემთხვევისთვის მოცემულია 4.19 ნახაზზე. ERM  
(Entity Relation Modeling)-ის საფუძველზეც აიგდა რელაციურ

მონაცემთა ბაზების ლოგიკური სტრუქტურა. მონაცემთა ბაზის დაპროექტების მიზნით ვიყენებთ SQL-სერვერს [31,38,83].



ნახ.4.19. „ტენდერის“ საპრობლემო სფეროს ER-მოდელი

4.20 ნახაზე მოცემულია ტენდერის ჩატარების ხელშემწყობი კომპიუტერული სისტემის TENDER-მონაცემთა ბაზის ცხრილების ფრაგმენტი.

The screenshot shows the SQL Server Enterprise Manager interface with three open windows:

- Firm participating in the tender** (tender):
 

	Column Name	Data Type	Length	Allow Nulls
▶	firmcode	int	4	
	saxeli	char	10	✓
	qalaqi	char	10	✓
	misamarTi	char	53	✓
	tel	char	10	✓
	faqsi	char	19	✓
- List of firm** (tender) on 'USER-EOAD098E2':
 

	Column Name	Data Type	Length	Allow Nulls
▶	firmcode	int	4	✓
	dasaxeleba	char	10	✓
	fasi	money	8	✓
- Prize list** (tender) on 'USER-EOAD098E2F':
 

	Column Name	Data Type	Length	Allow Nulls
▶	dasaxeleba	char	10	
	modeli	char	10	
	raodenoba	char	10	✓
	fasi	money	8	✓

#### ნაზ.4.20. ტენდერის მონაცემთა ბაზის ფრაგმენტის ცხრილების სტრუქტურა

ამგვარად, დასმული და გადაწყვეტილია ამოცანა საწარმოო ფინანსთა სატენდერო პროცესს ხელშემწყობი კომპიუტერული სისტემის საინფორმაციო ბაზის ავტომატიზებული დაპროექტებისათვის მონაცემთა ობიექტ-როლური მოდელირებისა და UML-ტექნოლოგიის საფუძველზე. ასეთი პროგრამული პროდუქტის ინტეგრირებული გამოყენების საფუძველზე შესაძლებელია საპრობლემო სფეროს ობიექტ-როლური მოდელირებისა და დაპროგრამების პროცესების ავტომატიზაცია, რაც საგრძნობლად ამცირებს სისტემების აგების დროს და აუმჯობესებს მის ხარისხს.

#### **4.5. მეოთხე თავის დასკვნები**


1. რეალიზებულია გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემის გრაფო-ანალიზური პროგრამული აპლიკაცია მრავალფაქტორული ამოცანებისათვის;
2. გაანალიზებულია ავტომატიზებული საბანკო სისტემის პროცესები და აგებულია შესაბამისი ინფორმაციული ნაკადების დიაგრამები;
3. რეალიზებილია საბანკო კორპორაციული სისტემის Web-აპლიკაცია Internet-Intranet-გარემოში NET-პლატფორმაზე, რაც უზრუნველყოფს მოქნილი კლიენტ-სერვერული სისტემის ფუნქციონირებას;
4. დაპროექტებული და რეალიზებულია ავტომატიზებული ანალიზის სისტემა სატენდერო კომისიის ექსპერტებისთვის

## V თავი


### ესაკერტულ შეფასებათა ავტომატიზებული დამუშავების სისტემის რეალიზაცია

#### 5.1. სამუშაო გარემო: Visual Studio.NET პლატფორმა

ექსპერტულ შეფასებათა დამუშავების ავტომატიზებული სისტემის “Expert” სადემონსტრაციო ვერსიის ფრაგმენტი შერულებულია Ms SQL Server 2005 პაკეტის გამოყენებით Visual Studio.NET პლატფორმაზე. ქვემოთ წარმოდგენილია ამ სისტემის ინტერფეისები (ნახ.5.1-5.), ბაზები და პროგრამული კოდის ლისტინგები:



##### ნახ.5.1. SQL Server 2005 -> SQL Server Business Intelligence Development Studio



## ნახ.5.2. სასტარტო გვერდი

### ლისტინგი-დ1

```
// Form2.cs --- ექსპერტის ინტერფეისი - ფაქტორის შეფასების  
შეტანა -----  
using System;  
using System.Collections.Generic;  
using System.ComponentModel;  
using System.Data;  
using System.Drawing;  
using System.Text;  
using System.Windows.Forms;  
  
namespace Expert  
{  
    public partial class Form2 : Form  
    {  
        public Form2()  
        {
```

```

        InitializeComponent();
    }

    private void button1_Click(object
sender, EventArgs e)
{
    try
    {

DataSet1TableAdapters.QueriesTableAdapter ins =
new
Expert.DataSet1TableAdapters.QueriesTableAdapter(
);

ins.SpAddRelation(Convert.ToInt32(CBEXPERT.Select
edValue),
Convert.ToInt32(CBMizani.SelectedValue),
Convert.ToInt32(CBKriteriomı.SelectedValue),
Convert.ToInt32(CbFaqtorı.SelectedValue),
Convert.ToInt32(textBox1.Text));
    this.Close();
}
catch (Exception ex)
{
    MessageBox.Show("chawera ver
ganxorciela, sheamowmet shevsebuli gaqvT Tu ara
yvela veli");
}

}

private void bindningexpert()
{
}

}

private void button2_Click(object
sender, EventArgs e)

```

```
        {
            this.Close();
        }

        private void Form2_Load(object
sender, EventArgs e)
{
    // TODO: This line of code loads
    data into the 'dataSet1.Kriteriumebi' table. You
    can move, or remove it, as needed.

    this.kriteriumebiTableAdapter.Fill(this.dataSet1.
    Kriteriumebi);
    // TODO: This line of code loads
    data into the 'dataSet1.Factorebi' table. You can
    move, or remove it, as needed.

    this.factorebiTableAdapter.Fill(this.dataSet1.Fac
    torebi);
    // TODO: This line of code loads
    data into the 'dataSet1.Miznebi' table. You can
    move, or remove it, as needed.

    this.miznebiTableAdapter.Fill(this.dataSet1.Mizne
    bi);
    // TODO: This line of code loads
    data into the 'dataSet1.Expert' table. You can
    move, or remove it, as needed.


    this.expertTableAdapter.Fill(this.dataSet1.Expert
    );
    // TODO: This line of code loads
    data into the 'dataSet1.Expert' table. You can
    move, or remove it, as needed.

    this.expertTableAdapter.Fill(this.dataSet1.Expert
    );
```

```
        }



    private void BsFaqtori_CurrentChanged(object sender, EventArgs e)
    {
        }

    }
}
```





### **ნაბ.5.3-1. Form2.C# - პროგრამის შედეგი**

საილუსტრაციოდ ვიხილავთ განათლების საუნივერსიტეტო სისტემის სასწავლო პროცესის სრულყოფის პრიბლემას და მისი გადაწყვეტის ერთ ვარიანტს ექსპერტულ შეფასებათა საფუძველზე (იხ. დანართი).



ნახ. 5.3-2. Form2.C# - პროგრამის შედეგი. ამორჩევის შესაძლებლობები



ნაბ. 5.3-2. Form2.C# პროგრამის შედეგი - გაგრძელება.

## ლისტინგი-დ2

```
// Form1.cs --- ექსპერტის ინტერფეისი - ფაქტორის  
// მიხედვით ღონიაძიებათა შეფასების შეტანა -----  
using System;  
using System.Collections.Generic;  
using System.ComponentModel;  
using System.Data;  
using System.Drawing;  
using System.Text;  
using System.Windows.Forms;  
  
namespace Expert  
{  
    public partial class Form1 : Form  
    {  
        public Form1()  
        {  
            InitializeComponent();  
            this.Refreshgrid();  
        }  
  
        private void toolStripButton1_Click(object  
sender, EventArgs e)  
        {  
            this.Refreshgrid();  
        }  
  
        private void Refreshgrid()  
        {  
  
DataSet1TableAdapters.SpGetRelationTableAdapter  
ad = new  
Expert.DataSet1TableAdapters.SpGetRelationTableAd  
apter();  
  
spGetRelationDataTableBindingSource.DataSource =  
ad.GetData();
```

